გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 აპრილი **პარასკევი** 2010

№ 081 (13069) ფასი 60 თეთრი



## ისტორიული შეთანხმება სამხრეთაფრიკელებთან

რაგბი. პრესკონფერენცია >> გვერდი 13

# ლივერპულს შეძლებია




ლივერპული-ბენფიკა 4:1

ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

>> გვერდი 6

1/2 ფინალი

ჰამბურგი-ფულჰემი

ატლეტიკო-ლივერპული

მატჩები 22 და 29 აპრილს გაიმართება

# თასის სურნელი



XXIX ტურის წინათქმა

>> გვერდი 2

2009 წლის 18 ოქტომბერი. დინამო-სიონი 0:2



კიმ კლაისტერსი

## ანამ და კიმმა წააგეს

ამერიკის პონტე ვედრას ტურნირზე გამოსვლა დაასრულა **ანა ტატიშვილმა**. ქართველმა საათსა და 10 წუთში ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 2:6 დაუთმო ბელარუს **ოლგა გოვორცოვას** (*ვრცლად მე-14 გვერდზე*).

პარალელურად მიმდინარე მარბელიის ტურნირზე კი უდიდესი სენსაცია მოხდა. წინა კვირას მაიამის „პრემიერ" კატეგორიის ჩემპიონატის ტრიუმფატორმა **კიმ კლაისტერსმა** მეორე წრის მატჩი წააგო ყველასთვის უცნობ ესპანელ **ბეატრის გარსია-ვიდაგანთან**, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 258-ე ადგილს იკავებს.

შეხვედრა 2 საათსა და 11 წუთს გაგრძელდა და ესპანელმა სამ სეტში მოიპოვა კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება - 7:5, 4:6, 6:4.

# თასის სურნელი

...გული გვიგრძნობს, მოახლოებული ტური უფერული არ უნდა იყოს, თანაც, ჩვენი წინათგრძნობა მხოლოდ იმას არ ემყარება, რომ სეზონის ფინიში მოახლოვდა - უბრალოდ, ხუთიდან, სულ მცირე, ოთხ მატჩს უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა აქვს. ამასაც თავი რომ დავანებოთ, ათიდან სამი გუნდი „ფიქრით" ხომ ოთხი დღის მერე ჩასატარებელი უმნიშვნელოვანესი მატჩებისკენ იქნება: შეგახსენებთ, რომ 14 აპრილს საქართველოს თასის ნახევარფინალის განმეორებითი მატჩებია დანიშნული. თანაც, ორივე ნახევარფინალურ წყვილში გარკვეული ჯერჯერობით არაფერია და იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ სათასო პაექრობების გამო რამდენიმე გუნდმა ამ ტურში გადახალისებული (გნებავთ, ექსპერიმენტული დაარქვით) შემადგენლობით იასპარეზოს. ვერც ვერავის გავამტყუნებთ: ჩემპიონატში გუნდს არანაირი მოტივაცია რომ არ ექნება და ევროთასების საგზურის მოსაპოვებლად მხოლოდ თასზე წარმატებულ ასპარეზობას რომ საჭიროებს, როგორ გინდა, ამ ტურში მაქსიმალური კონცენტრაცია თუ... „თავდადება" მოსთხოვო?

მოკლედ, ისეთი ტური გველოდება, „სათასო სურნელი" რომ უნდა გაჰყვეს, ოღონდ, ეს არ ეხება არც ერთადერთ დღევანდელ მატჩს და არც კვირას ჩასატარებელ ასევე ერთადერთ შეხვედრას. სამაგიეროდ, ხვალინდელი სამივე დაპირისპირება მართლაც „სათასო გავლენით" უნდა წარიმართოს. აქედან გამომდინარე კი, სატურნირო ცხრილშიც გარკვეულ ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ, ოღონდ, ეს მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ცვლილებები ცხრილის ორ სხვადასხვა პოლუსზე მყოფ გუნდებს არ შეეხება: ამ ტურის შემდეგაც „ოლიმპს" ვერავინ წაართმევს პირველ ადგილს, ისევე, როგორც „გაგრას" - უკანასკნელს...

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ოლიმპი* | 28 | 20 | 6 | 2 | 56-14 | 63 | 12 | 3 | 0 | 32-3 | 39 | 8 | 3 | 2 | 24-11 | 24 |
| 2. დინამო | 28 | 16 | 7 | 5 | 42-15 | 55 | 10 | 2 | 2 | 25-5 | 32 | 6 | 5 | 3 | 17-10 | 23 |
| 3. ზესტაფონი | 28 | 15 | 9 | 4 | 43-22 | 54 | 8 | 4 | 2 | 27-11 | 28 | 7 | 5 | 2 | 16-11 | 26 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 28 | 13 | 10 | 5 | 37-26 | 49 | 6 | 7 | 1 | 23-13 | 25 | 7 | 3 | 4 | 14-13 | 24 |
| 5. სპარტაკი | 28 | 8 | 9 | 11 | 32-44 | 33 | 4 | 6 | 3 | 18-15 | 18 | 4 | 3 | 8 | 14-29 | 15 |
| 6. სამტრედია | 28 | 8 | 7 | 13 | 35-50 | 31 | 7 | 2 | 5 | 19-19 | 23 | 1 | 5 | 8 | 16-31 | 8 |
| 7. სიონი | 28 | 6 | 12 | 10 | 20-32 | 30 | 2 | 6 | 6 | 8-17 | 12 | 4 | 6 | 4 | 12-15 | 18 |
| 8. ბაია | 28 | 5 | 8 | 15 | 22-36 | 23 | 4 | 5 | 6 | 17-22 | 17 | 1 | 3 | 9 | 5-14 | 6 |
| 9. ლოკომოტივი | 28 | 3 | 10 | 15 | 13-35 | 19 | 2 | 4 | 7 | 7-17 | 10 | 1 | 6 | 8 | 6-18 | 9 |
| 10. გაგრა | 28 | 3 | 6 | 19 | 22-48 | 15 | 3 | 3 | 8 | 11-13 | 12 | 0 | 3 | 11 | 11-35 | 3 |

შენიშვნა: *ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.
ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

## ზესტაფონი-სამტრედია

09.04. ზესტაფონი. ცენტრალური

**19:30**

წინა მატჩები: 2:0, 4:2, 3:2

არბიტრი: ლ. კვარაცხელია.
ასისტენტები: ლ. თოდრია, ა. კოკაია
მეოთხე მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

ორივე გუნდის თხოვნით ეს მატჩი დაგეგმილზე ერთი დღით ადრე ტარდება და საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობაც გაგებით მოეკიდა ამ თხოვნას. ამასთან, არ გვბეზრდება იმის სიამოვნებით აღნიშვნაც, რომ „ზესტაფონის" ეს საშინაო შეხვედრაც საღამოს საათებში, ხელოვნურ განათებაზე უნდა ჩატარდეს. ანუ, ზესტაფონის სტადიონზე ანშლაგი, ფაქტობრივად, გარანტირებულია, მით უფრო, რომ მშობლიური გუნდის საქომაგოდ სამტრედიიდანაც, ალბათ რამდენიმე ასეული გულშემატკივარი ჩამოვა.

„იმერულ დერბიში" ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, მასპინძლები მიიჩნევიან; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სატურნირო ცხრილიც ამის დასტურია და სტატისტიკაც: ამ სეზონის წინა სამივე დაპირისპირება ხომ „ზესტაფონმა" მოიგო. თუმცა, ჩემპიონატის დაწყების წინ ოქროს მედლების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მიჩნეულ „ზესტაფონს" ამ ბოლო დროს პრობლემები მოეძალა. **გია გეგუჩაძის** გუნდმა ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგა და ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს აქამდე თუ მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა, ახლა უკვე „დინამოსაც" ჩამორჩება. ამას ბევრი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი მთავარი კი, რაღა თქმა უნდა, საკადრო პრობლემებია. აი, ახლაც, „სამტრედიასთან" შეხვედრაში მასპინძლებს 4 წამყვანი ფეხბურთელი (**ნიკოლოზ გელაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ხიდეშელი, რატი წინამძღვრიშვილი**) არ ეყოლება. თუმცა „ზესტაფონის" დუბლებში არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა თამაშობს და მათგან საუკეთესოებს გეგუჩაძე კვლავაც მისცემს თავის გამოჩენის შანსს - როგორც წინა ტურში იყო, როცა „ლოკომოტივთან" შეხვედრაში „ზესტაფონის" 19 წლის ფორვარდმა **ნიკოლოზ ჩიხლაძემ** უმაღლეს ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა!

## დინამო-სიონი

10.04. თბილისი. ეროვნული

**16:30**

წინა მატჩები: 0:0, 0:2, 1:0

არბიტრი: ჯ. ვუმბურიძე.
ასისტენტები: ზ. ფიფია, ზ. მენთეშაშვილი
მეოთხე მსაჯი: თ. ვვანცელაძე

Live პირველ არხზე

ამ ტურის ცენტრალურ შეხვედრად ძველი მეტოქეების ხვალინდელი დაპირისპირება მივიჩნიეთ. რა თქმა უნდა, „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ოთხი დღის მერე ჩასატარებელ სათასო მატჩზეც მოუწევთ ფიქრი, მაგრამ **კახა კაჭარავას** გუნდს ხომ ჩემპიონატშიც საკმარისი მოტივაცია აქვს დარჩენილი. სხვანაირად ვერც იქნება: „დინამოს" წინაშე ყოველ სეზონში მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მიზნებია დასახული და ჯერჯერობით გუნდი (კონტინგენტიდან გამომდინარე) ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

სხვათა შორის, ხვალინდელი მატჩი იმითიც არის საინტერესო, რომ სწორედ „დინამო" და „სიონი" ასპარეზობენ ამ ბოლო დროს ყველაზე წარმატებულად. ყოველივე ეს კი ორივე გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე ნათლად აისახა: „დინამომ" მეორე ადგილზე გადაინაცვლა, „სიონმა" კი, ფაქტობრივად, გაინაღდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა. ეგ კი არა, **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდს რეალურად ხელეწიფება, საპატიო მეხუთე ადგილისათვისაც რომ იბრძოლოს. ამის წინაპირობას კი „სიონის" ფეხბურთელთა უმრავლესობის ჩინებული კონდიციები იძლევა - გუნდის მარჯვენა ნახევარმცველი **ვლადიმერ უგრეხელიძე** ბოლო მატჩებში მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. რაც მთავარია, მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ „სიონის" გამოცდილი ფეხბურთელები, რომელთაგან უმრავლესობა სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონი იყო... „დინამოს" შემადგენლობაში: **ალექსანდრე გოგობერიშვილი, გივი დიდავა, ლაშა ნოზაძე, ლევან მელქაძე, ლაშა ჭელიძე...**

მასპინძელთაგან კი, ბოლოს და ბოლოს, გუნდის... ფორვარდებისა თუ ნახევარმცველების გააქტიურებას ველოდებით, თორემ, მცველების ბომბარდირული(!) თვისებების იმედად როდემდე უნდა იყვნენ?

დაბოლოს, ისიც გვინდა შეგახსენოთ, რომ ამ გუნდების მეორე წრის მატჩში „დინამო" 0:2 დამარცხდა და საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ „სიონმა" ყველაზე ტიტულოვანი ქართული გუნდი სტუმრად დაამარცხა!



2009 წლის 18 ოქტომბერი. დინამო-სიონი 0:2. ანგარიში გელა ხუბუამ (მარცხნივ) გახსნა

## ვიტ ჯორჯია-გაგრა

10.04. რუსთავი. ფოლადი

**16:00**

წინა მატჩები: 0:4, 5:1, 1:0

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი.
ასისტენტები: კ. ტეფნაძე, დ. კურტანიძე
მეოთხე მსაჯი: ო. ხეცაძე

...ქვეყნის მოქმედი ჩემპიონისთვის რუსთავის „ფოლადის" სტადიონი იღბლიანი ნამდვილად ვერ აღმოჩნდა - უკვე ოთხი მატჩია, **გელა გომელაურის** გუნდი ამ სარბიელზე მოგებას ვერ ახერხებს. მოკლედ, ისეთი სიტუაციაა, რომ ძალიან მალე „ვიტ ჯორჯიას", როგორც ექსჩემპიონს, ისე მოვიხსენიებთ. თუმცა ამ შემთხვევაშიც ობიექტური მიზეზი არაერთია. „ვეტერინართა" წლევანდელ ასპარეზობას მთლად წარუმატებელსაც ვერ ვუწოდებთ. უბრალოდ, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მეორე ეტაპის დაწყებიდან დღემდე, ფაქტობრივად, ყველა მატჩში გუნდი არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობს, თანაც, ტრავმები უფრო იშვიათად იყო ამის მიზეზი. წამყვანი ფეხბურთელების ლამის „ყოველდღიურმა" დისკვალიფიკაციამ ის შედეგი მოიტანა, რომ „ვიტ ჯორჯია" პირველ სამეულს ჩამორჩა...

თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ხვალინდელი მატჩის ნომინალური მასპინძლებისთვის სეზონის უმთავრესი შეხვედრა თასის საპასუხო ნახევარფინალი უნდა იყოს. მაგრამ არ გვინდა, დავიჯეროთ, რომ „ვიტ ჯორჯია" უბრძოლველად დანებდება აუტსაიდერ „გაგრას". არადა, სტუმრებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსები ჯერ კიდევ აქვთ და გვჯერა, ამისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. ყოველ შემთხვევაში, წინა ტურში „დინამოსთან" მატჩში „გაგრას" თამაშში უფრო მეტი პოზიტიური ჩანდა, ვიდრე წინა შეხვედრებში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ახალი მწვრთნელის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ, უფრო სწორად იმ მწვრთნელების, გარკვეული პაუზის შემდეგ ერთად („ოლიმპში" თანამშრომლობის შემდეგ) რომ ბრუნდებიან **- ანატოლი პისკოვეცისა და ვარლამ კილასონიასი...**

## სპარტაკი-ბაია

10.04. გორი. ქართლი

**16:00**

წინა მატჩები: 1:0, 1:4, 2:0

არბიტრი: ლ. ხილაგავა.
ასისტენტები: გ. ჩიგოვიძე, ი. უკლება
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

კალენდრის მიხედვით, „სპარტაკს" მეტოქისთვის მესამე წრის შეხვედრაში უნდა ემასპინძლა, მაგრამ გორში ერთი სტადიონიდან („ქართლი") მეორეზე („თ. ბურჯანაძე") გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, 12 თებერვლის შეხვედრა ზუგდიდში ჩატარდა. შესაბამისად, შეიცვალა მეოთხე წრის მატჩის ჩატარების ადგილიც და **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ახლა მასპინძლის როლში იქნება.

ამ ბოლო დროს „სპარტაკი" წარუმატებლად თამაშობს - უკანასკნელად გუნდმა სწორედ... 12 თებერვლის მატჩში გაიმარჯვა! თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ „სპარტაკისთვის" ჩემპიონატი დიდი ხნის წინ „დასრულდა" - გუნდი ვერც პრიზიორებში მოხვდება და არც გავარდნის საფრთხე დაემუქრება. თუმცა ერთი მეტად სერიოზული სტიმული მაინც დარჩა - ოთხშაბათს „ სპარტაკს" თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ელოდება „დინამოსთან"...

„ბაიას" კი ქულები სულ უფრო მეტად სჭირდება - ზუგდიდურ კლუბს გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 4 ქულა აშორებს. ჰოდა, აქედან გამომდინარე, რატომღაც გვგონია, რომ ხვალინდელ შეხვედრაში ფავორიტებად... სტუმრები უნდა მივიჩნიოთ. სატურნირო მოტივაციას რომ დავანებოთ თავი, ზუგდიდურმა კლუბმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად მოუმატა, თან ნურც ის დაგვავიწყდება, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს ოთხი, ერთმანეთზე რთული მატჩი ჰქონდა - „დინამოსთან", „ვიტ ჯორჯიასთან", „ზესტაფონთან" და „ოლიმპთან". ამ ოთხ ლიდერთან „ბაიამ" 3 თამაში ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო. ყოველივე ეს კი ზუგდიდური კლუბის პოტენციალზე მეტყველებს.

და კიდევ, ამ წყვილზე: ეს გუნდები ერთმანეთს თასის მეოთხედფინალში შეხვდნენ და ორი მატჩის ჯამში წარმატება (ნახევარფინალის საგზური) „სპარტაკს" ხვდა წილად. მოკლედ, ხვალ „ბაიას" რევანშის მშვენიერი შანსი ეძლევა...

## ლოკომოტივი-ოლიმპი

11.04. თბილისი. ამერი

**16:00**

წინა მატჩები: 1:2, 1:3, 0:2

არბიტრი: მ. ბეჟუაშვილი.
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჟაშვილი

ეს ერთადერთი მატჩია, რომელიც კვირას უნდა ჩატარდეს, თანაც, „სპარტაკი"-„ბაიას" დაპირისპირების მსგავსად ამ შემთხვევაშიც კალენდარში გარკვეული ცვლილება მოხდა. ანუ, მესამე წრის მატჩი რუსთავში ჩატარდა, მაშინ, როცა კალენდრის მიხედვით, მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გუნდისთვის „ოლიმპი" კვირას მასპინძელი უნდა ყოფილიყო...

რა თქმა უნდა, ეპითეტები კარგია, მაგრამ ამით ქულებს ვერავინ მოგიმატებს. „ლოკომოტივი" თითქმის ყველა მატჩში ცდილობს, თანამედროვე ფეხბურთთან მიახლოებული თამაში აჩვენოს, მაგრამ გუნდის სატურნირო მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელოა. „ყველა მატჩიც" შემთხვევით არ გვიხსენებია - **გელა სანაიას** გუნდს იმავე „ოლიმპთან" ჩატარებულ წინა სამივე დაპირისპირებაში ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია. თუმცა მეტოქის ფეხბურთელთა კლასის წყალობით, ის სამივე შეხვედრა „ოლიმპის" გამარჯვებით დასრულდა.

საინტერესოა, რომ ამ სამ მატჩში „ოლიმპმა" მეტოქის კარში 7 გოლის გატანა მოახერხა და ყველა... ბრაზილიელთა ანგარიშზეა - **ანდერსონ აკინომ** ხუთჯერ ისახელა თავი, თითოჯერ - **ჟერონიმომ და სალესმა**. ეს ორი ამჟამად სამშობლოშია, აკინო კი კვლავაც აგრძელებს საქართველოს ჩემპიონატში გოლების გატანას და დიდოსტატურ (30 გოლი) ნიშნულსაც უახლოვდება. ასევე გრძელდება „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის **თემურ მახარაძის** წაუგებელი სერიაც...

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# გია ხურციძე

# ტორპედო ძალით ჩამომართვეს და თავადაც არ მიხედეს

## ქუთაისური კლუბისთვის სახელის შეცვლა მდიდარი წარსულის წაშლის ტოლფასიაო...

**თბილისის „დინამოს“ ძველ მეპატრონეთა დარად, ქუთაისის „ტორპედოს“ ექსპრეზიდენტი გია ხურციძეც აცხადებს, რომ 4 წლის წინ კლუბი უსამართლოდ, იძულების წესით ჩამოართვეს და „ტორპედოს“ დასაბრუნებლად სამართლებრივ ბრძოლას იწყებს. უკიდურეს შემთხვევაში, ხურციძე და მისი პარტნიორები კლუბის აქციების გარკვეული პროცენტის დაბრუნებაზეც იქნებიან ყაბულს. სანაცვლოდ კი „ტორპედოს“, რომელიც პირველი ლიგის ლიდერია და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას მალე გაიფორმებს, დაფინანსების პირობას დებენ. როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ, უცხოეთში მყოფ ხურციძეს დავუკავშირდით.**

**- თანმიმდევრობა რომ არ დავარღვიოთ და მკითხველმა იოლად გააკეთოს დასკვნები, საუბარი დავიწყოთ იმით, თუ როგორი სიტუაცია იყო ქუთაისის „ტორპედოში“ თქვენი პრეზიდენტობის დროს...**

- როცა პარტნიორებთან ერთად კლუბი ჩავიბარეთ, გუნდი აუტსაიდერთა შორის იყო და რეალურად ემუქრებოდა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე. „ტორპედოში“ გარკვეული ინვესტიცია ჩავდეთ - გამოცდილი ფეხბურთელები დავიმატეთ, ზოგიც უცხოეთიდან ჩამოვიყვანეთ, მთავარ მწვრთნელად კი გამოცდილი რევაზ ძოძუაშვილი მივიწვიეთ. ავიყვანეთ ლევან კორღალიძე, დავით გამეზარდაშვილი, გიორგი ყიფიანი, კახა კვეტენაძე... შევინარჩუნეთ მეკარე ნუკრი რევიშვილი, რომელიც ახლა მახაჩყალის „ანჟიშია“ და ეროვნულ ნაკრებშიც რამდენიმე მატჩი აქვს ნათამაშები... ერთი სიტყვით, გუნდი გავაძლიერეთ, უმაღლესში ადგილი შევინარჩუნეთ, მერე კი შევეჭიდეთ იმ მიზნებს, რაც „ტორპედოს“ მდიდარი წარსულს ეკადრება და შეეფერება. მოწინავე სამეულშიც ვიყავით და ხუთეულშიც, მაგრამ საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავედით.

**- ვინ იყვნენ თქვენი პარტნიორები?**

- აქციათა 60 პროცენტი, ანუ საკონტროლო პაკეტი, ჩვენი იყო, დარჩენილი 40 პროცენტი კი თურქ პარტნიორს ეკუთვნოდა, რომელსაც საკუთარი ბიზნესის გარდა, თურქულ კლუბებთანაც საკმაოდ სოლიდური კონტაქტები ჰქონდა. დღეს ეროვნულ ჩემპიონატში რომ გამოირჩევიან გიორგი ჭედია და მეკარე მაქსიმე ქვილითაია, სწორედ ჩვენ მივიწვიეთ „ტორპედოში“. ქვილითაია ტყიბულის „მეშახტიდან“ ჩამოვიყვანეთ. ჩვენს დროს გამოჩნდა დუბლებში ბაქარ მირცხულავა, რომელიც დღეს ლისაბონის „ბენფიკაში“ ირიცხება და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი გახლავთ. ძოძუაშვილის გარდა, კლუბში ჯემალ ხერხაძე, რევაზ ბურკაძე და მიხეილ კვერნაძე მუშაობდნენ... ეს ქუთაისის და მთლიანად ქართულ ფეხბურთში პატივსაცემი ხალხია. ჰკითხეთ მათ და გეტყვიან, რა და როგორ მოხდა... კლუბი რომ ჩავიბარეთ, ჯერ დავალიანებები გავისტუმრეთ - წყალი, ელექტროენერგია... სხვათა შორის, „ტორპედო“ იძულებით რომ ჩამოგვართვეს, იმ მომენტში კლუბს ერთი თეთრიც კი არ ჰქონია ვალი და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ! მეტსაც გეტყვით - „ტორპედოს“ ბავშვთა გუნდებში გადასახადებიც კი გავაუქმეთ და მწვრთნელებს ჩვენ ვუხდიდით ხელფასებს... მშობლები მადლობას გვიხდიდნენ... გარდა ამისა, „ტორპედოს“ ბაზაც შევაკეთეთ და 70-80 ფეხბურთელს დღეში სამჯერადი კვება ჰქონდა, კომფორტული ავტობუსიც შევიძინეთ... ერთი სიტყვით, ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ და ყველა მადლიერი იყო... „დიდოსტატის მარჯვენის“ არ იყოს, „დამიჭირეს მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“ - ჩემს შემთხვევაშიც ასე გამოვიდა. ახლა ისე არ გამიგოთ, თითქოს სვეტიცხოვლის ამგებს ვედრები, ამას როგორ ვიკადრებ, მაგრამ სწორად გამიგეთ - „ტორპედოში“ სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია და კლუბი სრულიად უსამართლოდ, იძულების წესით ჩამოგვართვეს. მერე კი თავადაც არ მიხედეს და გააპარტახეს „ტორპედო“.

**- მაშინ კლუბის ბუღალტერიაში თითქოს დარღვევები აღმოჩინეს და სწორედ ეს გახდა 2006 წელს თქვენი დაპატიმრების მიზეზი...**

- არანაირი დარღვევა არ ყოფილა! უბრალოდ, შეცდომა იყო. კლუბის ჭაბუკთა გუნდებისთვის უეფა ყოველწლიურად გამოყოფს თანხას - დაახლოებით 28-29 ათას ლარს. ეს უეფას საჩუქარია. ბავშვთა გუნდებს ჩვენი ხარჯით ვინახავდით, სანამ თანხას უეფადან მივიღებდით. როცა ფული გადმოირიცხა, კლუბისთვის ავტობუსი შევიძინეთ. აი, სად იყო დარღვევა, რაზეც მოგვედავნენ. ეს ადმინისტრაციულ სასჯელს ან გარკვეულ ფულად ჯარიმას ითვალისწინებს... „შავი ფული თეთრდებაო“ და... თუმცა ვერ დაგვიმტკიცეს... ამიტომაც ვამბობ, რომ უსამართლოდ მომექცნენ - უბრალოდ, კლუბის ჩამორთმევა უნდოდათ და ეს დარღვევა თითზე დაიხვიეს... არადა, ჩვენს დროს ქუთაისში ფეხბურთი ყვაოდა. თუ ვინმეს კლუბისთვის თანადგომა სურდა, მოსულიყო ჩვენთან - რა, დავუშალეთ ვინმეს?! როცა პატიმრობიდან გავთავისუფლდი, „ტორპედოს“ ჯერ კიდევ არ ჰყავდა პატრონი - უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის შესატანი 30 ათასი ლარიც ვერ შეაგროვეს. წარმოგიდგენიათ? ქუთაისში ფეხბურთი ისე უყვართ, ქომაგებს შორის თითო ლარი ვერ მოგროვდებოდა? სირცხვილია უბრალოდ...

**- კლუბი იძულების წესით ჩამომართვესო, თქვით. მაინც როგორ მოხდა ეს?**

- პირდაპირ წამომიყენეს ულტიმატუმი - კლუბი სხვა მფლობელზე უნდა გადაფორმდესო! თავდაპირველად ვინმე კვიკვინიაზე გადააფორმეს, მერე ვახტანგ კეკუაზე და სახელიც შეუცვალეს - „ტორპედო 2008“ დაარქვეს. კლუბი ახლაც კეკუაზეა გაფორმებული. ასეთი ბრენდი ერთი ხელის მოსმით განადგურდა...

**- როგორც გავიგეთ, კლუბის დაბრუნებისთვის იბრძვით...**

- დიახ, ეს არის ჩემი და ჩემი პარტნიორების მიზანი. ჩვენ სამართლებრივად ვიბრძოლებთ. რაც თბილისის „დინამოში“ მოხდა, იგივე განმეორდა „ტორპედოშიც“. ხომ გახსოვთ? - „დინამოს“ მერაბ ჟორდანია და მისი მეგობრები რომ პატრონობდნენ, გუნდი მაშინ ბრწყინავდა სწორედ...

**- მერაბ ჟორდანიამ და მისმა მეგობრებმა სათანადო დოკუმენტაცია შეაგროვეს და ფეხბურთის ფედერაციაში სარჩელი შეიტანეს. ამ მიმართულებით თუ იმუშავეთ?**

- მე ჯერჯერობით უცხოეთში ვარ, თუმცა საბუთები უკვე გროვდება. ფედერაციაში ამ ყველაფერს წარადგენს ვლადიმერ კაკაურიძე, რომელიც თავის დროზე კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო... დამავიწყდა, მეთქვა, რომ კლუბთან ერთად ბაზაც და სტადიონიც წაგვართვეს - ეს ნამდვილი ყაჩაღობაა.

**- კლუბის ამჟამინდელ მფლობელ კეკუას თუ ელაპარაკეთ - ან თქვენ, ან თქვენი პარტნიორები?**

- მე არ მილაპარაკია. კეკუას უკან სახელმწიფო დგას და ბუნებრივია, თავად სახელმწიფოს ნება უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენა. ფაქტია, კლუბი წაგვართვეს, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, დავსხდეთ და დავილაპარაკოთ ყოველგვარი სასამართლოების გარეშე, შევაჯეროთ აზრები, ვითანამშრომლოთ. მეტსაც გეტყვით - მე და ჩემი პარტნიორები, უკიდურეს შემთხვევაში, იმაზეც თანახმანი ვართ, რომ „ტორპედოს“ აქციათა გარკვეული პროცენტი მაინც დაგვიბრუნონ. თუნდაც ასე ამოვუდგებით კლუბს მხარში და. ქუთაისის „ტორპედო“ ყოველთვის მოწინავეთა შორის იყო, ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონი და თასიც არა ერთხელ აიღო. კლუბს ძველი დიდება უნდა დავუბრუნოთ. „ტორპედოს“ ასაღორძინებლად ჩვენს კავშირებსაც გამოვიყენებთ.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, რომელ კავშირებზეა ლაპარაკი...**

- ბიზნესპარტნიორობის გარდა, თურქულ კლუბებთან საფეხბურთო კავშირებიც მაქვს. რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ.

**- დაბოლოს ერთი კითხვა, რომელიც ამ თემას არ ეხება - წლების წინ თქვენი ვაჟი ზურაბ ხურციძე ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობდა, ბოლოს ზუგდიდის „მგლებში“ იყო, მერე კი უცხოეთს მიაშურა. სად არის ახლა ზურა?**

- უკრაინაშია, მოლაპარაკება მიდის კიევის „ობოლონთან“ და ვნახოთ, ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ, ზაფხულში გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

***P.S.*** *ობიექტურობისთვის, ქუთაისის „ტორპედოს“ ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთანაც გვსურდა დალაპარაკება, მაგრამ გუშინ ეს ვერ მოხერხდა. უახლოეს ნომრებში მათ პოზიციასაც გაგაცნობთ.*

U 21



ოთარ გაბელია

# თემურ ქეცბაია კვიპროსზე მუშაობს

## შვეიცარიამდე გაბელია ერთ ამხანაგურ მატჩს ითხოვს

როგორც ცნობილია, 30 მაისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისში შვეიცარიელ თანატოლებს უმასპინძლებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ევროპელები თბილისში თამაშს ითხოვდნენ, უსაფრთხოებისა და აეროპორტის გამო. ადრე ორი ვარიანტი იყო - ზესტაფონი სწორედ აეროპორტის გამო გამოირიცხა, „ლოკომოტივზე“ კი მატჩი უხარისხო საფრის გამო ვერ გაიმართება. მართალია, ვაკის არენაზე მალე სარემონტო სამუშაოები უნდა დაიწყოს, მაგრამ 30 მაისამდე ბალახის საფრის გაუმჯობესება ვერ მოხერხდება.

საქართველო-შვეიცარიის მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მასზეა დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა ქართველი ახალგაზრდები ევროპის 2011 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელებას. ამის გამო, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** განსაკუთრებულად ემზადება და 30 მაისამდე ამხანაგური მატჩის გამართვა სურს. იყო შემოთავაზებები ინგლისის, ომანისა და ლუქსემბურგის ნაკრებებისგან... საბოლოოდ, მოლაპარაკებები მხოლოდ ბრიტანელებთან გაგრძელდა, თუმცა ქართული მხარის მიერ შეთავაზებული თარიღი მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

გაბელიას მატჩის გამართვა 20 მაისს სურდა, რაც ზოგადადაც მიუღებელია. საბოლოოდ, უფრო სასურველი 23 მაისი გამოდგა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტური 20 მაისს იმართება. ახალგაზრდულის მთავარ მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ ბოლო ტურამდე სამეულში მოხვედრილი და გასავარდნი გუნდების ვინაობა გაირკვეოდა, სხვა შემთხვევაში, თუკი კლუბები ფეხბურთელებს არ გამოუშვებდნენ, მატჩის გამართვა აზრს კარგავდა, გაბელიას გეგმა ჩაიშლებოდა. ამ პრობლემას მეორეც ემატებოდა - მაისში უეფას ახალგაზრდული ნაკრებებისთვის სათამაშო დღეები არ გამოუყვია და აქედან გამომდინარე, გაბელია ლეგიონერებსაც ვერ დაიხმარდა.

23 მაისი კი მეტ-ნაკლებად მისაღები თარიღია. გამოჩნდა ახალი ვარიანტიც - მიმდინარეობს მოლაპარაკება კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციასთან, შუამავალი კი, თურმე, **თემურ ქეცბაიაა**. ეს ამბავი გაბელიამ გაგვიმხილა.

*„ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. თემური დღეს ჩამოფრინდება და საბოლოო პასუხიც გვეცოდინება“,* - ამბობს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

**მერაბ მამულაშვილი**

საფეხბურთო თემიდა

# როდის გაწევრიანდებით უეფას სამსაჯო კონვენციაში?

თბილისს ფიზმომზადებაში ფიფასა და უეფას ინსტრუქტორი, პოლონელი **გჟეგოჟ კრშოსეკი** ეწვია. მისი ამოცანა ქართველი არბიტრების შემოწმებაა.

*„კრშოსეკმა გვაჩუქა სპეციალური აპარატურა, რომლითაც დგინდება, ზუსტად რამდენ წამში გაირბინა მსაჯმა მოკლე დისტანცია. ეს კი საბოლოო ტესტირების ზუსტი მონაცემების შედგენისთვისაა საჭირო“,* - გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის წარმომადგენელმა **მერაბ მალალურაძემ**.

*„უეფამ დამავალა, შევამოწმო აღმოსავლეთ ევროპის 26 ქვეყანაში არსებული ვითარება. გავეცნობი ფიზიკური მომზადების ტესტებს და უეფას ზუსტ მონაცემს მივაწვდი - რომელი არბიტრი აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. მსგავსი სახის ტესტირება, ყველა ეროვნულ ფედერაციაში წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც ჩატარდება და საერთო ვითარებაზე რეალური წარმოდგენა გვექნება. უეფაში ბევრი ქვეყანაა გაერთიანებული და შეუძლებელია, ყველგან ორჯერ ჩავიდეთ. მალე გვეცოდინება, ქართველი არბიტრები როგორი მომზადებულები არიან“,* - ამბობს კრშოსეკი.

17-18 აპრილს კი თბილისში უეფას სამსაჯო სპეციალისტი ესტუმრება, რომელიც საქართველოზეა მომაგრებული და უეფას სამსაჯო კონვენციაში გაწევრიანებაში დაგვეხმარება.

*„უეფას სამსაჯო კონვენციაში ჯერ არ გაწევრიანებულვართ, რადგან მის მოთხოვნებს დღემდე ვერ ვაკმაყოფილებდით - თუნდაც იმით, რომ ტესტირებაზე კონტროლი საერთაშორისო პარამეტრებით არ ხორციელდებოდა. ხარვეზები გვქონდა საორგანიზაციო კუთხითაც, ტალანტებისა და მენტორებისთვის სხვადასხვა პროგრამები იყო ასამოქმედებელი, არ ტარდებოდა რეგულარული სემინარები დამწყები, ელიტური მსაჯებისთვის. უეფა ამ პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარება. 17-18 აპრილს კი სემინარი ქართველი მწვრთნელებისთვის ჩატარდება“,* - გვითხრა სამსაჯო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ლევან ფანიაშვილმა**.

უეფას სამსაჯო კონვენციასთან მიერთება კარგია თუნდაც ჩვენი მსაჯების დასაწინაურებლად და ფინანსური კუთხითაც - ამ კონვენციაში გაწევრიანებულ ყველა ქვეყნის სამსაჯო კომიტეტს უეფა წელიწადში 200 ათას ევროს ურიცხავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



U 17 ამერიკული ტურნეს შეჯამება. ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია

## ჟორჟიკაშვილი ლეგიონერებს დააკვირდება


კობა ჟორჟიკაშვილი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ვაშინგტონიდან დაბრუნდა, სადაც საერთაშორისო ტურნირ The Challenge for the Tiffany Trophy Cup-ში მიიღო მონაწილეობა. სამ მატჩში ქართველებმა ორჯერ ფრედ ითამაშეს და ერთხელ დამარცხდნენ. პირველ შეხვედრაში კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ამერიკულ „DC-იუნაიტედთან“ 3:3 ითამაშა, შემდეგ ინგლისურ „ვესტ ჰემთან“ 1:2 დამარცხდა, ბოლოს კი ადგილობრივ „ანანდალე იუნაიტედს“ დაუზავდა - 1:1. ჟორჟიკაშვილი მიიჩნევს, რომ ამერიკულმა ტურნირმა თავისი მთავარი ფუნქცია - საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შესაძლებლობებზე დაკვირვება, პირნათლად შეასრულა. 17-წლამდელთა თავკაცს ვაშინგტონური ამბების გარდა, სამომავლო გეგმებზეც გავესაუბრეთ.

- სასურველი იქნებოდა, ტურნირი გამარჯვების გარეშე არ დაგვესრულებინა, მაგრამ ეს არაა ტრაგედია. შედეგს ჩვენთვის ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ მომეცა შესაძებლობა, ძლიერ მეტოქეებთან თამაშებში მენახა გუნდის რეალური ძალა და პერსპექტივა. სანამ ტურნირზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებდე, ვისარგებლებ შემთხვევით და თანადგომისთვის მადლობას გადავუხდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს საელჩოს აშშ-ში და აშშ-ის საელჩოს საქართველოში. სწორედ მათი მხარდაჭერით მოხერხდა საკმაოდ რთული პროცედურების გავლა და ვაშინგტონში გამგზავრების უფლების მოპოვება.

**- ტურნირის დონე როგორი იყო?**

- ეს საკმაოდ ცნობილი და პრესტიჟული ტურნირია. მასში ყოველწლიურად მონაწილეობენ ევროპის, ამერიკისა და სხვა კონტინენტების გამორჩეული კლუბები. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ვაშინგტონში შარშან ჩემპიონი მადრიდის „რეალის“ 17-წლამდელთა გუნდი გახდა და კლუბის ხელმძღვანელობამ ეს იმდენად მნიშვნელოვან ჯილდოდ მიიჩნია, რომ საკლუბო მუზეუმში გამოფინა... მოხარული ვარ, ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა რომ მოგვეცა. ჩვენი ფეხბურთელებისთვის ეს დიდი გამოცდილება იყო. საქართველოს ჭაბუკთა ლიგასა და ამ დონეს შორის უდიდესი განსხვავებაა და კარგია, საქართველოს ნაკრების კანდიდატებმა ეს რომ გამოცადეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თამაშის ხარისხს გუნდი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა, რაც არაა გასაკვირი - როცა პირველი შეხვედრა ჩავატარეთ, ვაშინგტონში დღე-ნახევრის ჩასულები ვიყავით და აკლიმატიზაცია არ გვქონდა გავლილი. „DC იუნაიტედი“ სწრაფ და ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ტექნიკითა და ტაქტიკით ჩვენ ვაჯობეთ. მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ფრეს დავჯერდით.

**- როგორც ჩანს, ყველაზე მეტად „ვესტ ჰემთან“ გაგიჭირდათ...**

- ჩვენი ყველაზე ძლიერი მეტოქე, რაღა თქმა უნდა, „ვესტ ჰემი“ იყო, რომელსაც ინგლისსა და მთლიანად ევროპაში, ერთ-ერთი საუკეთესო აკადემია აქვს. „ვესტ ჰემის“ აღზრდილები არიან ფერდინანდი, ლამპარდი, დაფი, კერიკი... „ვესტ ჰემის“ 17-წლამდელთა გუნდიდან ინგლისის ნაკრებში სამი ფეხბურთელი თამაშობს. საქართველოს ნაკრები მას „DC იუნაიტედთან“ მატჩის მეორე დღეს შეხვდა, მაშინ როცა წინადღეს „ვესტ ჰემს“ არ უთამაშია და დასვენებული მოემზადა ჩვენთან შეხვედრისთვის. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩვენი ძირითადი ბირთვი მეორე ტაიმისთვის შემომენახა. პირველ ტაიმში 4-5-1 სისტემით ვითამაშეთ, რითაც მოწინააღმდეგეს ფლანგები ჩავუკეტეთ. პირველი ნახევარი 0:1 წავაგეთ, მეორე ტაიმში კი მოედანზე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები შევუშვი და თამაში 4-3-3-ით გავაგრძელეთ. საბოლოოდ, შეხვედრა 1:2 წავაგეთ, მაგრამ მაყურებელმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. მეორე ნახევარში სრულ უპირატესობას ვფლობდით და ნამდვილად შეგვეძლო, მარცხისგან თავი დაგვეღწია. მესამე მატჩი ხელოვნურ საფარზე ჩავატარეთ და საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. იმის გარდა, რომ მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა. გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავუშვით, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამ კომპონენტზე ბევრი მუშაობა გვმართებს. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ, რადგან ზუსტად დავინახე, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ღირსეულად ვიასპარეზოთ.

**- ვაშინგტონის ტურნირზე გაისისთვისაც ხომ არ მიგიღიათ მიწვევა?**

- დიახ, მომავალი წლის აპრილისთვისაც დაპატიჟებულები ვართ და თუ ამ პერიოდს ნაკრების ოფიციალური მატჩები არ დაემთხვა, ალბათ, წავალთ კიდეც.

**- ვაშინგტონში რომელმა ფეხბურთელებმა დატოვეს თქვენზე კარგი შთაბეჭდილება?**

- რამდენიმე მათგანის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან ამას შესაძლოა, მათი მოდუნება მოჰყვეს. ამ ასაკში ფეხბურთელს არამყარი ფსიქიკა აქვს და ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში მოსახვედრად დიდი ბრძოლა და შრომა დასჭირდება.

**- ადრეც გითქვამთ, რომ გუნდის შემადგენლობაში საკმაო ცვლილებები მოხდება...**

- დიახ, ნაკრები ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და კიდევ ბევრი კანდიდატი მყავს სანახავი. ის შემადგენლობა, რომელიც ვაშინგტონში გვყავდა წაყვანილი, ოპტიმალური ნამდვილად არაა. ამ ფეხბურთელების ნაწილი გუნდში დარჩება, ნაწილს კი სხვა მოთამაშეებით შევცვლით. არჩევანი ნამდვილად გვაქვს.

**- ალბათ, საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველებზეც აპირებთ დაკვირვებას.**

- აუცილებლად. კარგია, რომ უცხოურ კლუბებში არაერთი ჩვენი თანამემამულე თამაშობს - უკრაინულ „დნეპრში“ არველაძე, „ჩერნიგოვოში“ სიჭინავა, ბერძნულ პაოკ-ში ფირცხალავა, ბელგიურ „ბეერსხოტში“ ტარყაშვილი, იტალიურ „ფიორენტინაში“ მესხი, გერმანულ „ზანკტ პაულიში“ ფურცელაძე... ლეგიონერების ჩამონათვალი ამით არ შემოიფარგლება, ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველა მათგანს მიეცემა, ზოგს ზაფხულში თბილისში დავაკვირდებით, ზოგს კი ადგილზე ჩავაკითხავთ და იქ ვნახავთ მათ შესაძლებლობებს. ცალკე ვიტყოდი „ბაიერნის“ მცველ ლუკას ჰუფნაგელზე, რომელიც როგორც იცით, დედით ქართველია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას დიდი სურვილი აქვს, რომ საქართველოს ნაკრების ღირსება დაიცვას და ამაში ოჯახიც ხელს უწყობს. იმედია, ასეც მოხდება.

**- ნაკრების შემდეგი შეკრება როდისთვისაა დაგეგმილი?**

- ივნისში მინიმუმ ექვსკვირიან შეკრებას მოვაწყობთ და საერთაშორისო ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. იგეგმება პალანგის ტურნირზე გამგზავრება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, გაცილებით ძლიერ შეჯიბრებაზე წავიდეთ. როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპს საქართველო მასპინძლობს და ამიტომაც ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია - ქართველი გულშემატკივრების წინაშე თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

1001 სევდა

# ...ბავშვების რაოდენობა 30 პროცენტამდე შემცირდა!

## ნორჩი დინამოელის აღმასრულებელ დირექტორს კატასტროფის ეშინია

რეზო ბარამიძე 33 წლის ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ამ ასაკის მიუხედავად, მწვრთნელობის გვარიანი გამოცდილება აქვს - 18 წლიდან ბავშვებთან მუშაობს და ეამაყება, რომ ლევან ყენიას გზაზე დაყენებაში წვლილი შეიტანა. საერთოდაც, ბარამიძე უკვე კარგადაა ცნობილი, სხვადასხვა ტურნირში წარმატებებს აღწევდა და თავისი ნიშაც შექმნა. „ნორჩი დინამოელის“ ხელმძღვანელობამ მას ნდობა გამოუცხადა და სკოლის აღმასრულებელ დირექტორად დანიშნა. ვფიქრობ, ჩვენი ინტერვიუ საყურადღებო იქნება მათთვის, ვისაც ქართული ფეხბურთის ბედი ანაღვლებს:

**- ბატონო რეზო, ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და სახელოვანი საფეხბურთო სკოლა ჩრდილში მოექცა, რადგან ვერ ხერხდება სკოლის მოდერნიზაცია. არადა, ბევრი ახალი და კეთილმოწყობილი სკოლა გამოჩნდა...**

- ოთარ შენგელია რომ არ იყოს, ამ მდგომარეობასაც ვერ შევინარჩუნებდით. სამწუხაროდ, ეს იმხელა ობიექტია, მხოლოდ ერთი კაცის შრომა არ ეყოფა. ვცდილობთ, სკოლით ინვესტორები დავაინტერესოთ, რადგან მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

**- რა არის ყველაზე დიდი პრობლემა?**

- წყლის გადასახადი, რომელიც იმდენად დიდია, უკვე მოედნის მორწყვისაც გვეშინია. ერთი მორწყვა 500-600 ლარი გვიჯდება, არადა, უწყლოდ მოედანი როგორ შევინახოთ? ერთხელ 900 ლარიც კი გადაგვახდევინეს!

**- წლის განმავლობაში წყლის გადასახადი რა თანხას შეადგენდა?**

- ბოლო ერთი წლის დავალიანება 12 ათასი ლარი იყო, მაგრამ ეს კიდევ ნორმალური ციფრია, რადგან ბოლო დროს მოედნებს ხომ იშვიათად ვრწყავდით. საბოლოოდ, ამის გამო ვერ ვახერხებდით მოედნის ისე მოწესრიგებას, როგორც შესაძლებელი იყო. თქვენი გაზეთიდან შევიტყვე ძალიან სასიხარულო ამბავი - მიწისა და ქონების გადასახადი თბილისში მნიშვნელოვნად შეამცირესო. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია და თუ წყლის გადასახადიც შემცირდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ გამოთავისუფლებული სახსრები სკოლის განვითარებას მოხმარდება და ბავშვებისთვის დაწესებული გადასახადებიც შემცირდება. ეს ძალიან გვაიმედებს, თორემ აქამდე არსებული მდგომარეობით კატასტროფამდე მივედით და ბავშვთა ფეხბურთს საერთოდ დავლუპავდით. უზარმაზარმა გადასახადებმა აბსოლუტურად ყველა საფეხბურთო სკოლა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. თუ გადასახადები შემცირდება, წელში გავიმართებით, საწვრთნელი პროცესი უკეთ წარიმართება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მუშაობის ხალისი დაგვიბრუნდება... ძნელია, კარგად იმუშაო მაშინ, როცა სკოლას სერიოზული პრობლემები აქვს.

**- ინვესტორების დაინტერესება ახსენეთ. თანამშრომლობის სურვილი არავის გამოუთქვამს?**

- არის გარკვეული ინტერესი, მაგრამ ეს ხალხი სწორედ ისეთ წინადადებას ელოდა, რაც მთავრობისგან ახლა წამოვიდა. იმედია, ახლა დაიძვრება პროცესი და ბევრ ბიზნესმენს მოვიზიდავთ.

**- კონკრეტულად, რა სამუშაოების შესრულება გსურთ?**

- „ნორჩ დინამოელს“ ძალიან დიდი ტერიტორია აქვს - არის ერთი სტანდარტული, ორი შედარებით მცირე ზომის და ხუთი მცირე მოედანი. გვინდა ხელოვნური და ბუნებრივი საფრის შეცვლა, საერთო ინფრასტრუქტურის მოწყობა - გასახდელების, საშხაპეების, ადმინისტრაციული კორპუსის და ასე შემდეგ... მაგრამ საამისოდ, დიდძალი სახსრებია საჭირო. ამას ერთი კაცი ვერ გასწვდება.

**- ბელგიისა და ჰოლანდიის გამოცდილება მიწის ეფექტიანად ათვისების მაგალითებია. საქართველო, და კონკრეტულად „ნორჩი დინამოელის“ სკოლა, ამის საპირისპიროა. როგორც ვიცი, სკოლის ტერიტორიაზე სამი სტანდარტული მოედნის ჩადგმაა შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ ერთია ასეთი, დანარჩენი ექვსი კი მცირე და უფრო პატარა ზომის...**

- გეთანხმებით, მაგრამ სკოლა ხომ 1950 წელს ჩამოყალიბდა. ამიტომ, მასშტაბური რეკონსტრუქცია ძალიან წაგვადგებოდა, გავფართოვდებოდით და ტერიტორიას დღევანდელზე უკეთ ავითვისებდით. თუმცა საამისოდ, ისევ და ისევ ფინანსებია საჭირო. დღევანდელი მოედნები არსებული კონტინგენტის savარჯიშოდ სავსებით საკმარისია, მაგრამ ეს გაჭირვების პერიოდი ადრე თუ გვიან ხომ გაივლის? იყო დრო, როცა მოედნებს გვიან ღამემდე ვერ „ვასვენებდით“, რამდენიმე ჯგუფი ერთად ვარჯიშობდა.

> როცა საფეხბურთო ბუმი იყო, „ნორჩ დინამოელში“ მინიმუმ 1 500 ბავშვი ვარჯიშობდა, ახლა 400-450 თუ დარჩა...

**- საინტერესო თემას მივადექით: ეკონომიკურმა კრიზისმა ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა?**

- კატასტროფულად! რუსეთის აგრესიისა და მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბავშვების რაოდენობა ნელ-ნელა კლებულობდა. გაუჭირდა ქართულ ოჯახს, არ აქვს იმის საშუალება, ბავშვი ინგლისურზეც ატაროს და ფეხბურთზეც, ჩვეულებრივ სკოლაშიც ხომ გადასახადებია?! და ამის ლოგიკური შედეგია ის, რაც ბოლოს აღმოვაჩინეთ - ახლა ჯგუფებში ძველი რაოდენობის მესამედიც აღარ დადის.

**- შეგიძლიათ, ზუსტი ციფრები დაგვისახელოთ?**

- საფეხბურთო ბუმის დროს, „ნორჩი დინამოელი“ გატენილი იყო და 1500-მდე ბავშვი ვარჯიშობდა, იყო დრო, 1900-იც კი დადიოდა. ახლა მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა - მაქსიმუმ, 400-450 ბავშვი თუ ვარჯიშობს. ეს ძველი რაოდენობის 30 პროცენტიც არ არის. სხვას რას ჰქვია კატასტროფა? ეს არავის ბრალია, ზოგადი ვითარებაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული, რომ მათი რაოდენობა არ შემცირდება. ასეთივე ვითარებაა ლამის ყველა საფეხბურთო სკოლაში, იქ კიდევ უფრო ნაკლები, 100-150 ბავშვი თუ დადის. ანუ, ეს ზოგადად ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესის ამსახველი სურათია და ამიტომაც ვდარდობ - დროულად უნდა მივხედოთ საფეხბურთო სკოლებს, თორემ მალე უმაღლესი ლიგის გუნდების დაკომპლექტებასაც ველარ შევძლებთ, აღარაფერს ვამბობ მაღალი კლასის ფეხბურთელების აღზრდაზე.

**- რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გადასახადების საფასურის გაზრდაა. ამას ახლა ბევრი ოჯახი ვერ უძლებს და ფეხბურთი მხოლოდ მდიდრების ფუფუნებად გადაიქცა.**

- ჩვენთან გადასახადი დაახლოებით 40 ლარია, მაგრამ ნიჭიერ ბავშვებს არაფერს ვახდევინებთ, რათა ქართულმა ფეხბურთმა ტალანტი არ დაკარგოს. თუკი სპორტული პროფილის საწარმოებსა თუ შპს-ზე გადასახადებს შეამცირებენ, მაშინ ჩვენც ბევრად ამოვისუნთქავთ, გადასახადს თავადაც შევამცირებთ და რაც მთავარია, ბიზნესი ჩვენკენ გამოიხედავს. გვექნება ნორმალური სავარჯიშო პირობები, გასახდელები, საშხაპეები, მოედნები, სისუფთავე, წესრიგი, ბავშვებს უცხოურ ტურნირებზე თავისუფლად გავამგზავრებთ და ამით სკოლაც განვითარდება და მთლიანობაში - ქართული ფეხბურთი. ეს არ არის ზღაპარი, პატარა შეღავათიც კი საკმარისი იქნება, რომ ჯაჭვურ რეაქციას მოჰყვეს...

**- ლიცენზირების პირობებში უეფა კლუბებს საკუთარი საფეხბურთო სკოლის შექმნას სთხოვს. ნუთუ ამხელა ტრადიციის მქონე „ნორჩ დინამოელთან“ თანამშრომლობით უმაღლესი ლიგის არც ერთი კლუბი არ დაინტერესდა?**

- ბუნებრივია, ჩვენი სურვილიცაა, „ნორჩი დინამოელი“ რომელიმე კლუბთან რომ თანამშრომლობდეს, მაგრამ ჯერ კონკრეტული წინადადება არ არსებობს. არადა, სკოლას განვითარება და რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება სჭირდება. თანამედროვე მოთხოვნებს მხარი თუ არ ავუბით, ძველი ტრადიცია და სახელი ნელ-ნელა გაქრება. ჩვენი დღევანდელი შემოსავლებით ადმინისტრაციულ და კომუნალურ გადასახადებსაც ძლივს ავუდივართ, განვითარებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ჩვენ ვიყავით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი და აქ ბევრი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი გაზრდილა. სამწუხაროდ, შეიცვალა დრო, „დინამო“ დაიშალა სპორტსაზოგადოებად, საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდებად, ცალკე დარჩა ეროვნული სტადიონი და საფეხბურთო სკოლა. თუმცა ვიმეორებ - უიმედოდ არ ვართ, რადგან არიან სკოლის განვითარებით დაინტერესებული ადამიანები. გვაიმედებს თბილისის მერიის მიერ გადასახადების შემცირება. თუ ეს წყლის გადასახადსაც შეეხება, მეტი ინვესტორი გამოჩნდება. უკრაინაში, დონეცკის „მეტალურგის“ საფეხბურთო სკოლაში ვიყავი და გაოცებული დავრჩი - ინვესტორების რიგი უდგათ! ფაქტობრივად, ტენდერს ატარებენ, ვინ დააფინანსოს სკოლა. ეს იმიტომ, რომ მთავრობაა მოწადინებული. ჩვენთანაც იგივე პროცესები შეინიშნება და არ შეიძლება, ეს არ მაიმედებდეს.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვთა ფეხბურთი



ავტორის ფოტო

# კალა ფონდი ახალგახსნილ სკოლას დაეხმარება

გუშინ ახალციხის რაიონში ღირსსახსოვარი მოვლენა დაფიქსირდა – გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ფეხბურთის ასაღორძინებლად. პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა **კახი კალაძის** საქველმოქმედო ფონდმა ითავა. სკოლის მენეჯმენტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანსაღი თაობა" ახორციელებს.

ახალციხის სოფლებში ნიჭიერი თაობის მოძიების იდეა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტს **ირაკლი ქურდაძეს** ეკუთვნის. მისი და ქალაქის გამგეობის ურთიერთობით გადაწყდა, რომ სოფელ მუსხში უახლოეს მომავალში აშენდება საფეხბურთო მოედანი, კეთილმოწყობილი გასახდელებით, მინდვრის საფარითა და ტრიბუნით. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ათუნაშვილის განცხადებით, სავარჯიშო მოედნის პროექტი უკვე მზადაა და შესაბამისი სახსრებიც გამოიყოფა.

ახალციხეში საფეხბურთო ცხოვრება ივნისში გააქტიურდება. იგეგმება ტურნირი ახალციხისა და აწყურის თითქმის ყველა სოფლის მონაწილეობით.

გუშინ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „მუსხის" აღსაზრდელებს „კალა ფონდის" წარმომადგენელმა **ნესტან ნიჟარაძემ** სპორტული ინვენტარი და ყველა საჭირო ნივთი ჩაუტანა. ფონდი მზადაა, სამი წლის განმავლობაში აქტიურად ჩაერთოს სკოლის განვითარებასა და ნიჭიერი თაობის მოძიებაში. დღემდე უკვე მუსხსა და მეზობელ სოფლებში დაახლოებით 8-15 წლის 75-მდე მოზარდი გაისინჯა. საუკეთესოების გადარჩევის პროცესი მიმდინარეობს. ბავშვების სპორტულ აღზრდას ადგილობრივი მწვრთნელები უხელმძღვანელებენ.

**სალომე ხარატიშვილი**

## ამბები

### ცხადაძის შანსი

აზერბაიჯანის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ **რამინ მუსაევის** განცხადებით, სეზონის ბოლოს მისი ორგანიზაცია აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელს დაასახელებს და მას სოლიდურ პრიზს გადასცემს. საუკეთესო მწვრთნელის გამოსავლენი გამოკითხვა ჩვენს სამეზობლოში ყოველწლიურად ტარდება, მაგრამ აქამდე გამარჯვებულს მხოლოდ თასით აჯილდოებდნენ, ახლა კი ამ ჯილდოსთან ერთად, აზერბაიჯანული პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელი სოლიდურ თანხას მიიღებს.

ეს ინფორმაცია კი იმითაა საინტერესო, რომ აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვების სოლიდური შანსი **კახა ცხადაძეს** აქვს, რომლის „ინტერიც" აზერბაიჯანის პირველობას ერთპიროვნულად ლიდერობს, ბაქოელები უახლოეს მდევარ ლენქორანის „ხაზარს" ერთი ქულით უსწრებენ

### შეყილაძე დაკვირვებას განაგრძობს

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ზუგდიდის „ბაიას" ბაზაზე შეკრებას განაგრძობს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გელა შეყილაძე** და მისი ასისტენტები გუნდის წევრებს აკვირდებიან და ამავდროულად, ახალ კანდიდატებსაც ეძებენ. შეკრება მალე დასრულდება, შეყილაძე ჩატარებული სამუშაოთი კმაყოფილებას გამოთქვამს.

*„შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოვიდა, ჩავატარეთ ორჯერადი ვარჯიშები, გავმართეთ საკონტროლო მატჩები. ამ შეხვედრების შედეგებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მთავარია, გუნდი შეთამაშდეს და ახალი ნიჭიერი მოთამაშეები აღმოვაჩინოთ. მოხარული ვარ, რომ დასავლეთ საქართველოში უკვე ვიპოვეთ გამორჩეული მონაცემების მქონე რამდენიმე ფეხბურთელი"*, - ამბობს შეყილაძე.

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები შეკრებებს შემდგომშიც ინტენსიურად გამართავს. განსაკუთრებით დატვირთული ზაფხულის პერიოდი იქნება, როცა ნაკრების მწვრთნელები სელექციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ლეგიონი

# მარცვალაძემ ვეღარ იყოჩაღა

რუსეთის I დივიზიონის მე-3 ტურში ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა" კურსკის „ავანგარდს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **ედიკ საჯაია და ოთარ მარცვალაძე** სტუმართა გუნდის სასტარტოში იყვნენ, მარცვალაძე 68-ე წუთზე შეცვალეს. „ვოლგა" პირველად დამარცხდა, გუნდს 3 თამაშიდანძ 4 ქულა აქვს. ბრიანსკის „დინამო", სადაც **პაატა ჯინჭარაძე** და **გიორგი შელია** თამაშობენ, „კრასნოდართან" 1:5 შერცხვა. ჯინჭარაძემ 90 წუთი ითამაშა, შელიამ - მეორე ტაიმი. ბრიანსკელებს ჯერ ქულა არა აქვთ.

რუმინეთის ჩემპიონატის 26-ე ტურში **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანი" ურჟიჩენის „უნირეას" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ხუბუტიამ შეუცვლელად ითამაშა, „გაზ მეთანი" 29 ქულით მე-12 ადგილზეა.

გუშინ ლვოვში მე-13 ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში „კარპატიმ" „ტავრიას" უმასპინძლა. მასპინძელთა რიგებში **სანდრო გურული** 75-ე წუთზე შევიდა, **ვასილ გიგიაძეც** სათადარიგო იყო, ის მოედანზე 84-ე წუთზე გამოჩნდა. „კარპატიმ" 1:0 იმარჯვა და 41 ქულა გაუხდა, რითაც მე-5 ადგილი გაიმყარა, „ტავრია" 36 ქულით მე-6 ადგილზე რჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები

### ელიტლიგა 1993

**I ჯგუფი. XV ტური**

მთ. გლობუსი-ნ/დინამო 3:1
შევარდენი-თბილისი 0:3
აკადემია 1-ოლიმპიკი 1 1:1
ბორჯომი-დინ. აკადემია 0:2
ოლიმპი-35 სკოლა1 0:2
ავაზა-ვიტ ჯორჯია 3:2

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინ. აკადემია | 15 | 13 | 1 | 1 | 57-7 | 40 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 38-14 | 33 |
| 3. ავაზა | 15 | 10 | 2 | 3 | 41-19 | 32 |
| 4. თს აკადემია 1 | 15 | 7 | 5 | 3 | 26-14 | 26 |
| 5. ბორჯომი | 14 | 7 | 3 | 4 | 28-25 | 24 |
| 6. ოლიმპიკი 1 | 15 | 6 | 6 | 3 | 34-23 | 24 |
| 7. მთ. გლობუსი | 14 | 5 | 4 | 5 | 26-23 | 19 |
| 8. ნ/დინამო | 15 | 4 | 1 | 10 | 23-39 | 13 |
| 9. თბილისი | 15 | 4 | 1 | 10 | 21-43 | 13 |
| 10. ოლიმპი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-25 | 13 |
| 11. 35 სკოლა1 | 15 | 3 | 4 | 8 | 20-34 | 13 |
| 12. შევარდენი | 15 | 0 | 0 | 15 | 5-69 | 0 |

### ელიტლიგა 1993

**II ჯგუფი. XV ტური**

ლიდერი 2009-35 სკოლა 2 2:0
აკადემია2-ოლიმპიკი 2 0:0
ამერი-საბურთალო 3:0
ძიზიყი-35 მეტეხი 3:0
მერანი- იმედი 4:2
ვეფხვები-კახეთი 3:1

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერანი | 14 | 12 | 1 | 1 | 46-13 | 37 |
| 2. ვეფხვები | 15 | 10 | 1 | 4 | 35-15 | 31 |
| 3. ამერი | 15 | 9 | 2 | 4 | 35-23 | 29 |
| 4. საბურთალო | 15 | 9 | 1 | 5 | 45-20 | 28 |
| 5. ლიდერი 2009 | 15 | 8 | 1 | 6 | 33-29 | 25 |
| 6. ოლიმპიკი 2 | 15 | 7 | 3 | 5 | 24-24 | 24 |
| 7. 35 სკოლა 2 | 14 | 6 | 2 | 6 | 24-29 | 20 |
| 8. ძიზიყი | 15 | 5 | 3 | 7 | 18-33 | 18 |
| 9. თს აკადემია 2 | 15 | 4 | 6 | 5 | 23-20 | 18 |
| 10. კახეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 19-37 | 16 |
| 11. იმედი | 15 | 2 | 2 | 11 | 12-33 | 8 |
| 12. 35 მეტეხი | 15 | 0 | 1 | 14 | 9-47 | 1 |

### ელიტლიგა 1994

**XVII ტური**

ლოკომოტივი-35 სკოლა 3:1
აკადემია 94-დერბი 3:1
ოლიმპიკი-ლიდერი 2009 1:0
შევარდენი-ნ. დინამო 1:5
მერანი-თბილისი 2:1
ამერი-ოლიმპი 1:2
მთ. გლობუსი-ახმეტა 4:1

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემია 94 | 17 | 12 | 2 | 3 | 40-13 | 38 |
| 2. ოლიმპი | 17 | 11 | 2 | 4 | 37-18 | 35 |
| 3. ნ. დინამო | 17 | 10 | 4 | 3 | 46-17 | 34 |
| 4. დერბი | 17 | 9 | 3 | 5 | 45-20 | 30 |
| 5. ლოკომოტივი | 15 | 9 | 2 | 4 | 31-16 | 29 |
| 6. ამერი | 16 | 9 | 2 | 5 | 29-15 | 29 |
| 7. ოლიმპიკი | 15 | 9 | 0 | 6 | 27-19 | 27 |
| 8. 35 სკოლა | 17 | 7 | 2 | 8 | 32-35 | 23 |
| 9. მერანი | 16 | 7 | 2 | 7 | 28-36 | 23 |
| 10. თბილისი | 17 | 3 | 4 | 10 | 27-43 | 13 |
| 11. ერთობა | 16 | 3 | 4 | 9 | 24-43 | 13 |
| 12. ლიდერი 2009 | 16 | 4 | 0 | 12 | 15-46 | 12 |
| 13. შევარდენი | 15 | 3 | 3 | 9 | 20-37 | 12 |
| 14. მთ. გლობუსი | 17 | 3 | 0 | 14 | 13-56 | 9 |

### ელიტლიგა 1995

**XIX ტური**

ჰერეთი-მთ. გლობუსი 3:0
დინ. აკადემია- გორი 96 1:1
შევარდენი-ოლიმპიკი 3:1
იმედი-ნ. დინამო 0:6
35 სკოლა-ოლიმპი 0:6
ვეფხვები-აკადემია 95 0:0
ავაზა-დერბი 5:1

*საბურთალო ისვენებს*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამო | 17 | 14 | 3 | 0 | 70-15 | 45 |
| 2. ოლიმპი | 18 | 14 | 2 | 2 | 67-23 | 44 |
| 3. თს აკადემია 95 | 18 | 14 | 2 | 2 | 43-8 | 44 |
| 4. ავაზა | 16 | 12 | 3 | 1 | 52-15 | 39 |
| 5. ვეფხვები | 18 | 9 | 5 | 4 | 30-18 | 32 |
| 6. ჰერეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 35-29 | 28 |
| 7. გორი 96 | 17 | 8 | 3 | 6 | 41-21 | 27 |
| 8. შევარდენი | 17 | 7 | 1 | 9 | 33-43 | 22 |
| 9. დინ. აკადემია | 18 | 6 | 3 | 9 | 38-23 | 21 |
| 10. 35 სკოლა | 18 | 5 | 4 | 9 | 34-54 | 19 |
| 11. იმედი | 17 | 5 | 2 | 10 | 20-45 | 17 |
| 12. მთ. გლობუსი | 17 | 3 | 5 | 9 | 18-39 | 14 |
| 13. დერბი | 18 | 3 | 1 | 14 | 18-72 | 10 |
| 14. ოლიმპიკი | 18 | 1 | 3 | 14 | 15-54 | 6 |
| 15. საბურთალო | 17 | 0 | 3 | 14 | 16-71 | 3 |

### ელიტლიგა 1996

**I ჯგუფი. XV ტური**

თს აკად. 96-საბურთალო 1 3:0
ოლიმპიკი-ნ. დინამო 2:0
ოლიმპი (რ)-დერბი 7:0
შევარდენი-თბილისი 0:1
ავაზა-კახეთი 6:2
35 სკოლა 1-ოლიმპი 1 გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 35 სკოლა 1 | 13 | 11 | 0 | 2 | 47-12 | 33 |
| 2. თს აკადემია 96 | 14 | 9 | 3 | 2 | 32-13 | 30 |
| 3. ოლიმპი 1 | 14 | 8 | 3 | 3 | 34-18 | 27 |
| 4. ოლიმპი (რ) | 14 | 8 | 2 | 4 | 32-15 | 26 |
| 5. თბილისი | 15 | 8 | 1 | 6 | 43-26 | 25 |
| 6. ოლიმპიკი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-18 | 25 |
| 7. ავაზა | 15 | 5 | 1 | 9 | 28-43 | 16 |
| 8. კახეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 21-42 | 16 |
| 9. შევარდენი | 15 | 3 | 7 | 5 | 14-17 | 16 |
| 10. საბურთალო 1 | 15 | 2 | 5 | 8 | 10-32 | 11 |
| 11. ნ. დინამო | 15 | 2 | 4 | 9 | 16-25 | 10 |
| 12. დერბი | 15 | 1 | 4 | 10 | 13-53 | 7 |

### ელიტლიგა 1996

**II ჯგუფი. XV ტური**

იმედი-ოლიმპი 2 4:0
ვეფხვები-მთ. გლობუსი 3:0
აკადემია 2-ამერი 0:3
აკად. 1-საბურთალო 2 1:2
მცხეთა-მიმინო 94 0:4
35 სკოლა 2-ბარეჯი 6:0

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იმედი | 15 | 13 | 1 | 1 | 44-8 | 40 |
| 2. მიმინო 94 | 15 | 11 | 2 | 2 | 34-7 | 35 |
| 3. ვეფხვები | 15 | 11 | 0 | 4 | 40-17 | 33 |
| 4. ამერი | 15 | 9 | 2 | 4 | 31-12 | 29 |
| 5. თს აკადემია 1 | 15 | 8 | 5 | 2 | 33-13 | 29 |
| 6. მცხეთა | 15 | 7 | 2 | 6 | 32-32 | 23 |
| 7. საბურთალო 2 | 15 | 5 | 1 | 9 | 29-38 | 16 |
| 8. 35 სკოლა 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 22-26 | 15 |
| 9. თს აკადემია 2 | 15 | 4 | 2 | 9 | 20-39 | 14 |
| 10. მთ. გლობუსი | 14 | 3 | 3 | 8 | 19-30 | 12 |
| 11. ოლიმპი 2 | 15 | 2 | 2 | 11 | 8-32 | 8 |
| 12. ბარეჯი | 14 | 0 | 1 | 13 | 4-62 | 1 |

### ელიტლიგა 1997

**XVIII ტური**

ჩემპიონი-კახეთი 5:1
მერანი-ავაზა 4:2
პრაიდი-ფერო/იმედი 0:1
საბურთ. 2-საბურთ. 1 0:3
მიმინო 94-ვეფხვები 1:1
ლოკომოტივი 97-გორი 2:2
მცხეთა-ნ. დინამო 0:1
თბილისი 2-თბილისი 1 5:3
ოლიმპი-35 სკოლა გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამო | 18 | 14 | 3 | 1 | 80-17 | 45 |
| 2. მერანი | 18 | 11 | 5 | 2 | 44-23 | 38 |
| 3. საბურთალო 1 | 18 | 12 | 1 | 5 | 48-27 | 37 |
| 4. გორი | 18 | 11 | 4 | 3 | 49-23 | 37 |
| 5. 35 სკოლა | 16 | 11 | 2 | 3 | 41-18 | 35 |
| 6. ჩემპიონი | 18 | 11 | 2 | 5 | 41-27 | 35 |
| 7. ოლიმპი | 17 | 10 | 4 | 3 | 40-15 | 34 |
| 8. ლოკომოტივი 97 | 18 | 9 | 3 | 6 | 50-23 | 30 |
| 9. ავაზა | 18 | 9 | 3 | 6 | 44-32 | 30 |
| 10. ვეფხვები | 18 | 8 | 5 | 5 | 34-24 | 29 |
| 11. იმედი | 18 | 8 | 2 | 8 | 41-31 | 26 |
| 12. პრაიდი/ფერო | 18 | 6 | 3 | 9 | 24-36 | 21 |
| 13. თბილისი 2 | 18 | 6 | 0 | 12 | 23-42 | 18 |
| 14. მიმინო 94 | 18 | 5 | 1 | 12 | 25-44 | 16 |
| 15. მცხეთა | 17 | 3 | 4 | 10 | 20-35 | 13 |
| 16. თბილისი | 18 | 3 | 1 | 14 | 24-53 | 10 |
| 17. საბურთალო 2 | 18 | 1 | 1 | 16 | 17-100 | 4 |
| 18. კახეთი | 18 | 0 | 0 | 18 | 6-81 | 0 |

### ელიტლიგა 1998

**XVIII ტური**

ჩემპიონი-აკადემია 2 2:0
შევარდენი-საბურთალო 2:0
იმედი-აკადემია 98 0:2
მორკინალი-ავაზა 2:1
მერანი-ოლიმპიკი 4:0
ოლიმპი-35 სკოლა 1 2:0

*35 სკოლა 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 51-12 | 42 |
| 2. საბურთალო | 17 | 12 | 3 | 2 | 78-32 | 39 |
| 3. შევარდენი | 17 | 10 | 5 | 2 | 45-28 | 35 |
| 4. 35 სკოლა 1 | 16 | 9 | 6 | 1 | 47-29 | 33 |
| 5. მერანი | 17 | 10 | 1 | 6 | 44-30 | 31 |
| 6. ავაზა | 17 | 8 | 3 | 6 | 51-34 | 27 |
| 7. მორკინალი | 16 | 8 | 2 | 6 | 42-42 | 26 |
| 8. ჩემპიონი | 16 | 4 | 5 | 7 | 19-32 | 17 |
| 9. თს აკადემია 98 | 17 | 4 | 4 | 9 | 24-26 | 16 |
| 10. თს აკადემია 2 | 17 | 4 | 2 | 11 | 23-47 | 14 |
| 11. 35 სკოლა 2 | 15 | 3 | 4 | 8 | 25-39 | 13 |
| 12. ოლიმპიკი | 14 | 1 | 2 | 11 | 11-39 | 5 |
| 13. იმედი | 16 | 0 | 0 | 16 | 5-75 | 0 |

### ელიტლიგა 1999

**XVIII ტური**

ჩემპიონი-ავაზა 0:2
საბურთალო-35 სკოლა 1:1
მორკინალი-შავნაბადა 3:0
აკადემია 2-აკადემია 99 1:2
შევარდენი-მთ. გლობუსი 9:1
ოლიმპი 2-ოლიმპი 1 5:6
ნ. დინამო-ოლიმპიკი 5:0
თბილისი 2-თბილისი 1 1:7
ირაო 2-ირაო 1 გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამო | 18 | 17 | 0 | 1 | 93-17 | 51 |
| 2. შევარდენი | 17 | 14 | 1 | 2 | 73-27 | 43 |
| 3. თბილისი1 | 18 | 13 | 2 | 3 | 87-33 | 41 |
| 4. ავაზა | 18 | 13 | 1 | 4 | 50-21 | 40 |
| 5. ირაო 1 | 17 | 12 | 1 | 4 | 58-29 | 37 |
| 6. აკადემია 99 | 18 | 11 | 3 | 4 | 41-22 | 36 |
| 7. მორკინალი | 17 | 9 | 4 | 4 | 49-37 | 31 |
| 8. ჩემპიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 48-38 | 29 |
| 9. საბურთალო | 18 | 7 | 5 | 6 | 59-44 | 26 |
| 10. 35 სკოლა | 18 | 6 | 6 | 6 | 33-44 | 24 |
| 11. თბილისი 2 | 17 | 5 | 5 | 7 | 36-47 | 20 |
| 12. ოლიმპი 1 | 18 | 5 | 2 | 11 | 53-68 | 17 |
| 13. მთ. გლობუსი | 18 | 4 | 3 | 11 | 38-63 | 15 |
| 14. შავნაბადა | 18 | 3 | 5 | 10 | 19-49 | 14 |
| 15. ოლიმპი 2 | 18 | 3 | 3 | 12 | 35-98 | 12 |
| 16. ირაო 2 | 17 | 2 | 2 | 13 | 21-61 | 8 |
| 17. ოლიმპიკი | 17 | 1 | 2 | 14 | 12-55 | 5 |
| 18. თს აკადემია 2 | 18 | 0 | 3 | 15 | 11-63 | 3 |

### ელიტლიგა 2000

**XII ტური**

გორი-35 სკოლა 1 2:4
მიმინო 94-ჩემპიონი 3:4
გაგრა-35 სკოლა 2 7:0
ტგ 2000-ირაო 1:4
შევარდენი-ავაზა გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩემპიონი | 12 | 11 | 1 | 0 | 37-9 | 34 |
| 2. ტგ 2000 | 12 | 8 | 2 | 2 | 44-18 | 26 |
| 3. 35 სკოლა 1 | 12 | 7 | 3 | 2 | 36-21 | 24 |
| 4. ირაო | 11 | 7 | 2 | 2 | 31-22 | 23 |
| 5. ავაზა | 11 | 6 | 1 | 4 | 23-10 | 19 |
| 6. გაგრა | 12 | 5 | 1 | 6 | 30-30 | 16 |
| 7. გორი | 11 | 3 | 1 | 7 | 18-28 | 10 |
| 8. მიმინო 94 | 11 | 1 | 3 | 7 | 19-28 | 6 |
| 9. შევარდენი | 10 | 0 | 2 | 8 | 9-30 | 2 |
| 10. 35 სკოლა 2 | 12 | 0 | 2 | 10 | 8-59 | 2 |

## საქართველოს ჩემპიონატი

**II ლიგა. აღმოს. XVI ტური**

თიანეთი-ლიდერი 2009 3:1
აბული-ზოოვეტი 1:2
გვარდია-ალგეთი 0:3
ივერია-დილა 2:2
სპარტაკი 2-ავაზა 1:1
დუშეთი-35 სკოლა 2 0:2

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი 2 | 15 | 9 | 4 | 2 | 27-15 | 31 |
| 2. 35 სკოლა 2 | 16 | 9 | 4 | 3 | 30-20 | 31 |
| 3. დილა | 16 | 9 | 3 | 4 | 41-20 | 30 |
| 4. ზოოვეტი | 16 | 9 | 2 | 5 | 27-17 | 29 |
| 5. თიანეთი | 16 | 8 | 3 | 5 | 33-28 | 27 |
| 6. დუშეთი | 16 | 8 | 1 | 7 | 27-26 | 25 |
| 7. ავაზა | 15 | 7 | 4 | 4 | 31-13 | 25 |
| 8. გვარდია | 16 | 6 | 1 | 9 | 20-28 | 19 |
| 9. ლიდერი 2009 | 16 | 4 | 4 | 8 | 19-29 | 16 |
| 10. ალგეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 27-35 | 15 |
| 11. ივერია | 16 | 3 | 4 | 9 | 16-30 | 13 |
| 12. აბული | 14 | 0 | 3 | 11 | 8-45 | 3 |

**თბილისის ჩემპიონატი. U 19**

XVIII ტური

ავაზა-აკადემია 91 2:3
ოლიმპიკი-35 სკოლა 1 3:3
ივერია-მაუდი/ვეფხვები 2:4
სასკო-გურჯაანი 6:0
შევარდენი-აკადემია 92 0:3
იმედი-35 მეტეხი 0:3
რეფერი-ოლიმპი გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემია 91 | 18 | 16 | 2 | 0 | 50-11 | 50 |
| 2. 35 სკოლა 1 | 18 | 14 | 3 | 1 | 53-21 | 45 |
| 3. ავაზა | 18 | 14 | 1 | 3 | 53-16 | 43 |
| 4. სასკო | 18 | 13 | 0 | 5 | 67-24 | 39 |
| 5. ივერია/მაუდი | 18 | 12 | 2 | 4 | 42-18 | 38 |
| 6. თს აკადემია 92 | 18 | 6 | 4 | 8 | 32-33 | 22 |
| 7. ოლიმპი | 17 | 6 | 3 | 8 | 28-40 | 21 |
| 8. ვეფხვები | 18 | 6 | 2 | 10 | 31-39 | 20 |
| 9. ალაზანი 2007 | 18 | 6 | 2 | 10 | 20-35 | 20 |
| 10. ოლიმპიკი | 17 | 4 | 6 | 7 | 28-37 | 18 |
| 11. შევარდ. 1906 | 18 | 5 | 1 | 12 | 26-39 | 16 |
| 12. 35 მეტეხი | 17 | 3 | 2 | 12 | 29-53 | 11 |
| 13. იმედი | 18 | 2 | 1 | 15 | 14-55 | 7 |
| 14. რეფერი | 17 | 1 | 3 | 13 | 29-81 | 6 |

**პირველი ლიგა. XXII ტური**

ჭიათურა-ჰერეთი 5:0
გურია-მესხეთი 1:0
ტორპედო 2008- ბათუმი 1:1
ჩიხურა-35 ს. კ. 1:1
კოლხეთი (ხ)-კოლხეთი (ფ) 1:2
მერცხალი-IBSU 0:0

*მარტვილი ისვენებდა*

**11 აპრილი**

ნ. დინამოელი-მეშახტე

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო 2008 | 21 | 16 | 3 | 2 | 57-11 | 51 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 19 | 13 | 3 | 3 | 46-19 | 42 |
| 3. ბათუმი | 21 | 12 | 6 | 3 | 32-11 | 42 |
| 4. ჩიხურა | 21 | 11 | 5 | 5 | 30-19 | 38 |
| 5. გურია | 20 | 11 | 3 | 6 | 35-24 | 36 |
| 6. ნ/დინამოელი | 19 | 9 | 5 | 5 | 34-36 | 32 |
| 7. მარტვილი | 20 | 9 | 2 | 9 | 30-28 | 29 |
| 8. მერცხალი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-24 | 25 |
| 9. IBSU | 20 | 6 | 6 | 8 | 29-25 | 24 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 21 | 7 | 2 | 12 | 28-38 | 23 |
| 11. ჰერეთი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-43 | 19 |
| 12. ჭიათურა | 20 | 6 | 0 | 14 | 24-46 | 18 |
| 13. მეშახტე | 20 | 5 | 3 | 12 | 27-53 | 18 |
| 14. მესხეთი | 21 | 6 | 2 | 13 | 18-33 | 17 |
| 15. 35 ს. კ. | 20 | 3 | 4 | 13 | 19-41 | 13 |

*მესხეთს დაკლებული აქვს 3 ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა — 1/4 ფინალები. საპასუხო მატჩები

# რომ არა ტორესი, ანუ რას გადაურჩა ლივერპული

## პეტრიჩის ბენეფისი, ზამორას 25 წამი

ცოტაც და, წუხელ „ენფილდზე" გუშინწინდელი „ოლდ ტრეფორდი" განმეორდებოდა, თუმცა საქმეში **ფერნანდო ტორესი** ჩაერია და მან შეძლო ის, რაც „მანჩესტერის" ფორვარდებმა ვერ მოახერხეს; გადამწყვეტ მომენტში მისთვის მეორე, ხოლო „ლივერპულისთვის" მე-4 გოლი გაიტანა და ინგლისური გუნდი ევროპის ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა. თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით...

**რაფაელ ბენიტესის** გუნდი „ბენფიკას" მასპინძლობდა, რომელმაც პირველ მატჩში **ოსკარ კარდოსოს** დუბლის წყალობით 2:1 მოიგო. „ენფილდზე" ანგარიში ფრიად საეჭვო სიტუაციაში გაიხსნა, **სტივენ ჯერარდის** ჩაწოდებულს თავით **დირკ კუიტი** დაუხვდა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მასპინძელთა გასახარად, რეფერი **ბიორნ კუიპერსმა** სხვანაირად განსაჯა და გოლი ჩათვალა - 1:0.

ნათქვამია, ერთხელ ცოცხიც გაისვრისო - 34-ე წუთზე „ლივერპულის" სწრაფი კონტრშეტევა ბრაზილიელმა **ლუკასმა** გოლით დააგვირგვინა. პასი ამჯერადაც ჯერარდისა იყო, ლუკასმა გამოცდილი ფორვარდივით მოატყუა **ჟულიო სეზარი** და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო.

59-ე წუთზე „ლივერპულმა" საოცარი სისწრაფით გაითამაშა კონტრშეტევა, რომელიც ტორესის პირველი გოლით დასრულდა, **ჯონსონმა** ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა, **მასკერანომ ბენაიუნი** მოძებნა, იოსიმ დრიბლინგით მეტოქეები შემოიკრიბა და პასი მარჯვნივ კუიტს გაუკეთა, რომლის ჩაწოდებულსაც ტორესი ერთი შეხებით გაუმკლავდა. ეს ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე თქვენ ამ ფრაზას წაიკითხავთ - 3:0. მატჩის სიუჟეტი საერთო ჯამში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას იმეორებდა „მანჩესტერსა" და „ბაიერნს" შორის. აქ უკვე „გამოიღვიძა" მანამდე „მთვლემარე" ოსკარ კარდოსომ. 70-ე წუთზე საჯარიმოსთან დირკ კუიტი **რამირესზე** დაჯარიმდა და კარდოსომ საჯარიმო დარტყმით შეაგდო - მან ბურთი კედელში ქვემოდან გააძვრინა (როგორც ეს **ვესლი სნეიდერმა** მოსკოვში ცსკა-ს წინააღმდეგ გააკეთა), ბურთი ოდნავ შეეხო ჯერარდს და **პეპე რეინამ** მისი აღება ვეღარ შეძლო - 3:1. ეს კარდოსოს მე-9 გოლია გათამაშებაში, აქედან 3 მან „ლივერს" გაუტანა. თამაშის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი რჩებოდა, „ბენფიკას" ერთი გოლიღა სჭირდებოდა მიუნხენელთა გმირობის გამეორებამდე, მაგრამ სწორედ აქ ჩაერია ტორესი საქმეში, რომელმაც მასკერანოს პასით დუელი მოიგო ორიოდე წუთის წინ შეცვლაზე შესულ გოლკიპერ **მორეირას**, ბურთი თავზე გადაუგდო და „ლივერპული" ევროპის ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა - 4:1.

ესპანური დუელი „ატლეტიკოსა" და „ვალენსიას" შორის „კალდერონზეც" ფრედ დასრულდა, მაგრამ „მესტალიაზე" გატანილი გოლების წყალობით ბრძოლას **კიკე ფლორესის** გუნდი აგრძელებს, „ღამურებს" ესპანეთის ჩემპიონატზე მოუწევთ გადართვა. 11 სეზონია „ატლეტიკო" ევროთასებზე ნახევარფინალში არ გასულა.

ორი გერმანული გუნდიდან ბრძოლას ერთი აგრძელებს, „ჰამბურგმა" კიდევ უფრო დამაჯერებლად, 3:1 მოუგო ლიეჟის „სტანდარდს" სტუმრად და ორი მატჩის ჯამში 5:2 სხვაობით ნახევარფინალში გავიდა. ანგარიში პირველივე ტაიმში **მლადენ პეტრიჩმა** თავით გაიტანა, მას შემდეგ, რაც **ზე რობერტომ** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა. 33-ე წუთზე „სტანდარდის" კაპიტანმა **დე კამარგომ** აშკარა თამაშგარედან კარისკენ ზურგით მდგომმა თავურით გაათანაბრა - 1:1. ზუსტად ორ წუთში „ჰამბურგი" ისევ დაწინაურდა, გოლი კვლავ პეტრიჩმა გაიტანა, მაგრამ რა გოლი! მარცხენა ფლანგიდან **დენის აოგოს** ჩაწოდების შემდეგ, მან მაკრატელათი, არცთუ ახლო მანძილიდან გაიტანა - 1:2. ამ წყვილის გამარჯვებულიც აქ გაირკვა, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეცვლაზე შესულმა **გერერომ** ერთიც გაიტანა ბელგიელთა კარში. გავარდა გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი", რომელიც შინაც დამარცხდა „ფულჰემთან" - 0:1. **ბობი ზამორამ** ევროპის ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა, ფორვარდმა თავი 25-ე წამზე (!) გამოიჩინა.

22 და 29 აპრილს ნახევარფინალებია: „ატლეტიკო" „ლივერპულს" დაუპირისპირდება (ფერნანდო ტორესი მშობლიური გუნდის წინააღმდეგ), ხოლო „ჰამბურგი - „ფულჰემს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ატლეტიკო-ვალენსია 0:0 (2:2)

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, დომინგესი, ხუანიტო, ა. ლოპესი - რეიესი (46. ხურადო), ასუნსაო, რ. გარსია, სიმაო - აგუერო (95. სალვიო), ფორლანი (84. კამაჩო).

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ალექსისი (80. ნავარო), მადურო, მ. ფერნანდეში, ალბა - ბარახა, სილვა - ხოაკინი (70. ჟიგიჩი), პ. ერნანდესი, მატა (70. ვისენტე) - ვილია.

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 12-10 (5-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 50 000

### ლივერპული-ბენფიკა 4:1 (1:2)

**ლივერპული (4-4-2):** რეინა - ჯონსონი, კარაგერი, კირიაკოსი, აგერი - კოუიტი, მასკერანო, ლუკასი, ბენაიუნი (91. ელ ჟარი) - ჯერარდი (88. აკვილანი), ტორესი (86. ნგოგი).

**ბენფიკა (4-4-2):** ჟულიო სეზარი (80. მორეირა) - ამორიმი, ლუიზაო, სიდნეი, ლუიზი - რამირესი, ხ. გარსია, კ. მარტინსი (67. კარდეცი), დი მარია - აიმარი (86. კოენტრაო), კარდოსო.

**გოლები:** 1:0 კოუიტი (27), 2:0 ლუკასი (34), 3:0 ტორესი (59), 3:1 კარდოსო (70), 4:1 ტორესი (82)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-12; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 8-10 (6-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 42 277

### სტანდარდი-ჰამბურგი 1:3 (1:2)

**სტანდარდი (4-3-2-1):** ბოლატი - კამოზატო, ვ. რამოსი, სარი, პოკონიოლი - ვიტსელი, ნიკაისე (89. მანგალა), კარსელა-გონსალესი (76. დალმა) - დე კამარგო, იოვანოვიჩი - მბოკანი.

**ჰამბურგი (4-4-2):** როსტი - დემელი, ბოატენგი, მატისენი, აოგო - ტეშე, იაროლიმი, ზე რობერტო, პიტროიპა (76. ტროხოვსკი) - პეტრიჩი (66. გერერო), ვან ნისტელროი (89. ბერგი).

**გოლები:** 0:1 პეტრიჩი (20), 1:1 დე კამარგო (33), 1:2 პეტრიჩი (35), 1:3 გერერო (94)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 21-10; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 10-8 (5-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 27 000

### ვოლფსბურგი-ფულჰემი 0:1 (1:2)

**ვოლფსბურგი (4-3-1-2):** ბენალიო - პეკარიკი (35. დეჟაგა), შიმუნეკი (76. რევერი), ბარძალი, შაფერი - რიტერი, ჟოსუე, გენტნერი (62. მარტინსი) - მისიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**ფულჰემი (4-2-3-1):** შვარცერი - ბერდი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი - მერფი, ეტუჰუ - დაფი, გერა (82. ნიულანდი), დევისი (86. რიისე) - ზამორა.

**გოლი:** 0:1 ზამორა (1)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 9-7; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 13-12 (7-8); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 24 843



ფერნანდო ტორესი დუბლს აღნიშნავს






ჩემპიონთა ლიგა

1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების ანალიზი



მანჩესტერს გადამწყვეტი გოლი არიენ რობენმა გაუტანა

# ოლდ ტრეფორდის ჯალათი

## ...და ლიონის ისტორიული შანსი

### მანჩესტერი-ბაიერნი 3:2 (1:2)

**გოლები:** 1:0 გიბსონი (3), 2:0 ნანი (7), 3:0 ნანი (41), 3:1 ოლიჩი (43), 3:2 რობენი (74)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ნანი (მანჩესტერი)

ახლა შეგვიძლია, დიდხანს ვისაუბროთ, რომ არავინ იფიქრებდა, **ლუის ვან გაალი** მიუნხენის „ბაიერნს" პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თუ გაიყვანდა... მაგრამ როცა **მიროსლავ კლოზეს** ფლორენციის „ფიორენტინასთან" მეოთხედფინალის პირველ მატჩში, მეტრნახევრიანი თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალეს, რითაც მიუნხენურმა კლუბმა ის თამაში მოიგო, უნდა გვეფიქრა, რომ რეკორდმაისტერი ნახევარფინალშიც გავიდოდა... „მანჩესტერის" გულშემატკივრებს უდავოდ ექნებათ პრეტენზიები იტალიელ მსაჯ **ნიკოლა რიცოლისთან**, რომელმაც 50-ე წუთზე ინგლისელებს **რაფაელი** გაუძევა. მოდი, ასე შევთანხმდეთ: რიცოლის ვერ დავძრახავთ იმის გამო, რომ რაფაელს მეორე გაფრთხილება მისცა, რადგან ამ უკანასკნელმა **ფრანკ რიბერის** მძლავრად დაქაჩა. მაგრამ ფაქტია, რომ რიცოლის არც იმ შემთხვევაში დაატყდებოდა კრიტიკის ქარცეცხლი, „მანჩესტერის" მარჯვენა მცველი რომ დაენდო...

მატჩის წინადღეს ინგლისური გაზეთები წერდნენ, შეიძლება, **უეინ რუნიმ** ითამაშოსო, მაგრამ მერე **სერ ალექს ფერგიუსონი** გამოვიდა და თქვა, რა სისულელეა, რუნის თამაში გამორიცხულია, პრემიერლიგის მომდევნო ტურში რომ დაგვეხმაროს, ამაზეც მადლობელი ვიქნებიო. ფერგი თავის კომენტარებში ისე ირწმუნებოდა, უეინის თამაში გამორიცხულიაო, რომ მატჩის წინა მიმოხილვაში რუნის შესაძლო თამაშის შესახებ დაწერა ლამის გადავიფიქრეთ, მაგრამ ვიცოდით რა, ფერგიუსონის გაიძვერობის ამბავი („მილანთან" მატჩის წინაც გაიძახოდა, რუნი ვერ ითამაშებსო), მაინც დავწერეთ. შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე კი ბომბი გასკდა: ფერგიუსონმა რუნი მარტო განაცხადში კი არ შეიყვანა, ძირითად შემადგენლობაშიც გაამწესა. სამაგიეროდ, განაცხადში არ იყვნენ **პარკი** და **გარი ნევილი**. რაფაელი დაცვის მარცხენა ფლანგზე დადგა, პოლ სქოულზი კი ნახევარდაცვაში გიბსონმა შეცვალა.

ტრადიციას არ უღალატა და შემტევი ტაქტიკა აირჩია ლუის ვან გაალმაც. ჰოლანდიელმა სასტარტოში გაამწესა როგორც **არიენ რობენი**, ისე **ფრანკ რიბერიც**. თავდასხმაში კი კვლავ **ივიცა ოლიჩისა** და **თომას მიულერის** ტანდემი დააყენა. პირველი მატჩისგან განსხვავებით, რობენთან ერთად, რეკორდმაისტერის ძირითადში ვიხილეთ **ბასტიან შვაინშტაიგერიც**, რომელიც ბავარიულ გრანდს „ალიანს არენაზე" დისკვალიფიკაციის გამო აკლდა.

ისევე, როგორც პირველი მატჩი, „ბაიერნისთვის" საპასუხოც შოკით დაიწყო, ოღონდ უფრო მძიმე შოკით, რადგან შვიდი წუთის შემდეგ „მანჩესტერი" უკვე 2:0-ს იგებდა! **გიბსონის** გოლში „ბაიერნის" მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი** უნდა დავადანაშაულოთ - მართალია, მანკუნიანელთა ნახევარმცველმა ძალიან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბუტმა ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა და თანაც, დარტყმაზე რეაგირება (თუ ამას რეაგირება ჰქვია) დიდი დაგვიანებით მოახდინა. რაც შეეხება **ნანის** პირველ, ბრწყინვალე გოლს: ეს უკვე მთელი „ბაიერნის" ჩათვლემის ბრალი იყო. მიუნხენელები რეტდასხმულებივით დარბოდნენ, როცა რუნიმ მარჯვენა ფლანგზე **ვალენსია** იპოვა, ამ უკანასკნელმა კი დიდხანს აწვალა **ჰოლგერ ბადშტუბერი**, მერე კი ჩააწოდა და ამ პასს ნანი ქუსლით გამოეხმაურა - მიუნხენელთაგან მისთვის ხელის შეშლა ვერავინ შეძლო, ნანიმ კი საოცნებო გოლი გაიტანა.

2:0, თანაც მეშვიდე წუთზე - ფერგიუსონი უკეთესს დასაწყისს ვერ ინატრებდა. მანჩესტერელებს მასირებული იერიშები რომ გაეგრძელებინათ და ტემპი არ დაეგდოთ, შეიძლება, მალევე მესამედაც დაელაშქრათ ბუტის კარი, მაგრამ დამშვიდდნენ. „ბაიერნს" კი გამოსაფხიზლებლად ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა. ვან გაალის ბიჭებმა პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი 39-ე წუთზეღა შექმნეს, როცა ოლიჩმა დარტყმა დააგვიანა, **ედვინ ვან დერ სარმა** კი, მისი ვიზავისგან განსხვავებით, დროულად დატოვა კარი და მომენტი განმუხტა. ისე, ამ მომენტში ნანის ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ ეს არ იყო განგებ ხელით თამაში, თორემ რიცოლის თერთმეტმეტრიანის დანიშვნას ალბათ ვერავინ დაასწრებდა...

>> მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

## 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების ანალიზი

« მე-6 გვერდიდან

41-ე წუთზე კი, ანგარიში „ბაიერნისთვის" გამანადგურებელი გახდა: **ქერიკის** აუტი, ვალენსია მარჯვენა ფლანგზე, ბადშტუბერს ისევ სძინავს, **დემიკელისმაც** თავი გაიბითურა, ვალენსიამ კი საჯარიმოსკენ გაისროლა, სადაც ბურთს ნანი დახვდა, რომელმაც ძლიერი დარტყმით, ბუტს მარცხენა, მაღალ კუთხეში გაუტანა. ჰანს-იორგი ამ შემთხვევაში უშანსოდ იყო.

ამრიგად, 3:0 და ამ მომენტში ალბათ თქვენც ჩვენსავით გაიფიქრეთ, რომ „მანჩესტერი" „მილანის" დარად, „ბაიერნსაც" შავ დღეს დააყრიდა. იმ მომენტში ყველას დაგვავიწყდა მიუნხენური კლუბის ხასიათი, რომ ეს გუნდი არასდროს ნებდება და ბოლომდე იბრძვის. ზუსტად ორ წუთში, მიუნხენელებმა სიცოცხლის ნიშანწყალი გამოამჟღავნეს: მიულერმა თავით ოლიჩს უპასა, ხორვატმა კი ქერიკს ორთაბრძოლა მოუგო და ვან დერ სარს მახვილი კუთხიდან გაუტანა. ცხადია, აუცილებლად ვისაუბრებთ რობენის გოლზეც, რომელიც ულამაზესი იყო, მაგრამ მნიშვნელობით, ოლიჩის გოლი, რობენისას ორჯერ აღემატებოდა. ვერ ვიტყვით, რომ „ბაიერნი" ნახევარფინალში ოლიჩმა გაიყვანა, რადგან ეს ფეხბურთელი ორივე მატჩის ჯამში მხოლოდ ორ ხეირიან მომენტში გამოჩნდა, მაგრამ ფაქტია, რომ ივიცამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტებში გაიტანა გოლი - როგორც „ალიანს არენაზე", ისე „ოლდ ტრეფორდზეც". „ბაიერნმა" პირველი 43 წუთის განმავლობაში კატასტროფული შთაბეჭდილება დატოვა და ის ფაქტი, რომ „მანჩესტერი" 3:0-ს იგებდა, აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ. მაგრამ ოლიჩმა გერმანული გრანდი შესვენებაზე დაიმედებული გაიყვანა - რაც უნდა იყოს, ბავარიელებს ნახევარფინალში გასვლისთვის მხოლოდ ერთი გოლიღა სჭირდებოდათ.

მერე იყო 50-ე წუთი და ზემოთ ხსენებული შემთხვევა, როცა რიცოლიმ რაფაელს მოედანი დაატოვებინა. არცაა გასაკვირი, მანკუნიანელებმა უკან რომ დაიხიეს. ფერგიუსონმა მაშინვე გაიყვანა რუნი და მის ნაცვლად თამაშში **ჯონ ო'ში** ჩართო, რითაც რაფაელის გაძევებით გამოწვეული სიცარიელე, ცენტრფორვარდის მოხსნის ხარჯზე ამოავსო. შესაბამისად, „მანჩესტერის" მთავარი ამოცანა გოლის არგაშვება გახდა. „ბაიერნმა" კი მასირებული შეტევები წამოიწყო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ვან გაალის გუნდი თავზეხელაღებულ შეტევებს ახორციელებდა. მიუნხენელები მშვიდად უტევდნენ, ბურთს ათამაშებდნენ, წინ მოკლე პასებით მიიწევდნენ და ვან დერ სარის კარისკენ მისადგომ გზებს ეძებდნენ. 59-ე წუთზე რიბერის უძლიერესი დარტყმა ვან დერ სარმა მოიგერია, მერე კი მიუნხენელებს „მანჩესტერის" კონტრშეტევა გამოეპარათ და ნანის გოლამდე ძალიან ცოტა დააკლდა - ბუტმა ივაჟკაცა.

74-ე წუთი: სიტყვები არ გვყოფნის, რომ რობენის გოლი აღვწეროთ... რიბერი კუთხურის ჩასაწოდებლად მოემზადა. კუთხურის ალმის სიახლოვეს მსხდომი „მანჩესტერის" ფანებმა ფრანგი გინებით აიკლეს - გასაგებია, ისინი გაბრაზებულები იყვნენ იმის გამო, რომ რაფაელი მსაჯს სწორედ რიბერიმ გააგდებინა. ფრანკი კი განრისხებული გაჰყურებდა საჯარიმოს და დაინახა ის... აბსოლუტურად თავისუფლად მდგომი არიენ რობენი, რომელიც ბურთს ისე ელოდა, როგორც ჯალათი თავის მსხვერპლს გილიოტინაზე. რიბერიმ რობენს ბურთი პიდაპირ ფეხზე დაასვა, ამ უკანასკნელმა კი შეუჩერებლად დაჰკრა და ბურთი მილიმეტრული სიზუსტით გაგზავნა ვან დერ სარისგან მარჯვენა დაბალი კუთხისკენ. ჰოლანდიელმა მეკარემ თავისიანებს ველარ უშველა, **ფრანც ბეკენბაუერს** კი იმ მომენტში ალბათ სუნთქვა შეეკრა - ზუსტად ისე, როგორც „ბაიერნის" ყველა ქომაგს.

ფერგიუსონმა მოედანზე ბერბატოვი შემოიყვანა, მაგრამ ფეხბურთისთვის პირველად მომზირალი ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ინგლისელები გოლის გამტანები აღარ იყვნენ. მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, **ტედი შერინგემმა** და **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** კარიერა დაასრულეს...

მიუხედავად ოლიჩის და რობენის გოლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში „ბაიერნი" გავიდა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ნანის ვასახელებთ. ის იყო საუკეთესო „მანჩესტერის" შემადგენლობაში მანამდე, სანამ ფერგიუსონის გუნდი იდეალურად ფუნქციონირებდა. ნანიმ პირველი გოლის მომენტში ტექნიკური სრულყოფილება დაგვანახვა, მეორე გოლის დროს კი ის, რომ ერთ-ერთი ყველაზე უკომპრომისო ფეხბურთელია. უეინ რუნის „ბაიერნის" მცველი დანიელ ვან ბუიტენი ხშირად ცენტრიდან გამოჰყავდა და შექმნილი დერეფნით ნანი იდეალურად სარგებლობდა. ნანის ფლეგმა ტიპად მოიხსენიებენ, მაგრამ თუ პორტუგალიელი მომავალში ხშირად ითამაშებს ხოლმე ისე, როგორც გუშინწინ „ბაიერნთან" იასპარეზა, ფაქტია, რომ მანჩესტერში **კრისტიანო რონალდოს** მალე დაივიწყებენ.

მატჩის უსუსტესი ფეხბურთელი კი ახალგაზრდა ჰოლგერ ბადშტუბერი იყო. დიდი ხანი არაა, რაც „ბაიერნის" მარცხენა მცველი პირველ გუნდში, დიდ ფეხბურთს თამაშობს და ეს იყო პირველი შეხვედრა, როცა ყველას გაახსენდა, რომ ბადშტუბერი მხოლოდ ამ სეზონის წინ გადაიყვანეს მოყვარულებიდან პროფესიონალებში. მეორე გოლის დროს ვალენსიამ ჰოლგერი ბავშვივით გააბრიყვა, რის შემდეგაც კიდევ უფრო დაშინდა და თავდაუჯერებელი გახდა.

პირველ ტაიმში სრული კატასტროფა, მეორე ტაიმში დიდი არაფერი, მაგრამ ჩვეულ სტილში თამაში, საბოლოოდ კი, „ბაიერნს" კიდეც გაუმართლა და კიდეც დაიმსახურა ნახევარფინალში თამაში. პირველი გოლი ბუტის ბრალი იყო, მეორე და მესამე ბადშტუბერისა, მაგრამ რეკორდმაისტერს პლუსებიც აქვს, მას ჰყავს ოლიჩი, რიბერი და რობენი... ეს პლუსები კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ვან გაალს „ბაიერნი" პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაეყვანა. ასე რომ, მიუნხენელები ჰეთ-თრიკზე ოცნებას აგრძელებენ.

სერ ალექს ფერგიუსონი: *„ბოლომდე თერთმეტი კაცით რომ გვეთამაშა, ზუსტად ვიცი, ნახევარფინალში გავიდოდით. სამწუხაროდ, რაფაელი გამოუცდელი ფეხბურთელია. სამწუხაროდ, მსაჯს „ბაიერნის" ყველა ფეხბურთელი რაფაელის გაძევებას სთხოვდა, რაც გერმანელებისგან ნაღდად არ არის გასაკვირი. ერთი მხრივ, ყველაფერი ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ, მეორე მხრივ კი უნდა ითქვას, რომ არ გაგვიმართლა."*

**ლუის ვან გაალი:** *„პირველ ტაიმში გვეძინა, მეორე ტაიმში კი, მადლობა ღმერთს, აგრესიულები გავხდით. შესვენებაზე ბიჭები დავარწმუნე, რომ ყველაფერი შესაძლებელი იყო. რაფაელის გაძევება სწორი გადაწყვეტილებაა. გოლის შემდეგ, რობენი მოედნიდან იმიტომ გამოვიყვანე, რომ რისკზე წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. მას თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა, მე კი ძალიან მინდა, რომ არიენმა შაბათს, „ლევერკუზენთანაც" ითამაშოს."*

| ბორდო–ლიონი | 1:0 (1:3) |
|---|---|

გოლი: 1:0 შამახი (45)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარუან შამახი (ბორდო)

ესეც ასე: ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარმა აღმოჩენამ, „ბორდომ", თავის წარმოდგენა მეოთხედფინალში, თანამემამულე „ლიონთან" დაასრულა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჯერ ერთი, „ლიონს" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს და ესეც რომ არ იყოს, „ლიონმა" მერვედფინალიდან თვით მადრიდის „რეალი" გააგდო, ჟირონდელების მთავარი მიღწევა კი, ამ სეზონში ის იყო, რომ „ბაიერნს" მოუგეს ორივე თამაში, თანაც, ჯგუფურ ეტაპზე, სადაც ამაზე უარესი სენსაციებიც ხშირად ხდება ხოლმე - თუნდაც, „ბარსელონა"-„რუბინი" გავიხსენოთ.

**ლორან ბლანის** ბიჭებს პირველი თამაში 1:3 ჰქონდათ წაგებული და შესაბამისად, ვალდებულები იყვნენ, მხოლოდ შეტევებზე ეფიქრათ. აქედან გამომდინარე, „ლიონი" დაცვაში დადგა და იმდენად კარგად, რომ „ბორდოს" პირველიდან ბოლო წუთამდე ძალიან გაუჭირდა მომენტების შექმნა. „ლიონის" ფეხბურთელები კი ხშირად მიმართავდნენ ტაქტიკურ ფოლებს, ბევრი გაფრთხილებაც მიიღეს და რაკი ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ მეკარე უგო ლორისიც ბრწყინვალედ თამაშობდა, „ოლიმპიკმა" მხოლოდ 0:1 წააგო და არსებობის ისტორიაში ნახევარფინალში პირველად გაალწია.

თუკი პირველ მატჩში, რომელიც „ლიონმა" 3:1 მოიგო, უაღრესად თვალსასეირო ფეხბურთი ვიხილეთ, ამჯერად, ორივე გუნდმა გაცილებით ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, ოღონდ, „ბორდო" უფრო მეტ მონდომებას იჩენდა, რაც ლოგიკურიც იყო. „ლიონი" კი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა. შესვენებამდე **მარუან შამახმა** გოლის გატანა შეძლო, რამაც მეორე ტაიმს ინტრიგა შესძინა, მაგრამ მეორე ნახევარში „ლიონი" კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდა საქმეს. ჟირონდელები კი უტევდნენ, მაგრამ რეალური მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ. 63-ე წუთზე სტუმრებს გაუმართლათ, როცა **ალი სისოხომ ლუდოვიჩის** მოცელვისთვის მეორე ყვითელი და შესაბამისად, წითელი ბარათი არ მიიღო. 87-ე წუთზე კი, **უგო ლორისმა ვენდელის** თავური დარტყმა ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია.

დიდი ხანია, „ლიონისგან" ასეთ წარმატებას ველოდით და აი, როგორც იქნა, „ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ბაიერნს" დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ „ლიონს" ისტორიული შანსი ეძლევა, ითამაშოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

**გოტფრიდ ლენცი**



მარუან შამახისა და ჟან-ალენ ბუმსონგის ორთაბრძოლა

ელ კლასიკოს წინ



ხოსეპ გვარდიოლა

# გვარდიოლა: თქვენი ხმა არ გავიგო, კლასიკომდე!

## არბელოა მესის აჩრდილი უნდა გახდეს

ესპანეთში უკვე „აღარ ახსოვთ" „ბარსელონას" ლიგური წარმატება და **ლეო მესის** გაბრწყინება, მედიაში სასაუბრო მხოლოდ ერთი თემაა - კარს მომდგარი „ელ კლასიკო". ჟურნალისტები პირდაპირ ნადირობენ „ბარსელონას" და „რეალის" ფეხბურთელებზე, რაც მათ საწვრთნელ პროცესზე უარყოფითად მოქმედებს. ამით შეშფოთებულმა **ხოსეპ გვარდიოლამ** მისთვის უჩვეულო აკრძალვა შემოიღო - ფეხბურთელებს თამაშამდე „ელ კლასიკოზე" საუბარი აუკრძალა. პეპმა ეს ვარჯიშზე თავად გამოუცხადა ფეხბურთელებს და დაამატა, რომ ამით „ინფორმაციის უნებურად გაჟონვას" აიცილებენ თავიდან. მოკლედ, „ბარსელონა" „ჩაიკეტა". „ბარსას" ფეხბურთელები კომენტარს არ აკეთებენ „ელ კლასიკოს" შესახებ.

გუშინ **ჟერარდ პიკეს** წიგნის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც თავად ფეხბურთელმა კატალონიურ და ესპანურ ენებზე შემდეგი შესავლით დაიწყო: *„კარგი იქნება, თუ დღეს არ ვილაპარაკებთ „რეალი"-„ბარსელონას" მატჩზე".* გვარდიოლამ განაცხადა, რომ მატჩამდე ერთადერთი იქნება გუნდში, რომელიც ჟურნალისტებს „კლასიკოს" შესახებ კითხვებზე უპასუხებს. ისიც, მხოლოდ დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ.

სამაგიეროდ, უფრო „გახსნილია" „სამეფო კლუბის" ბანაკი - მაგალითად, „ასისთვის" ცნობილი გახდა, რომ ლეო მესის „დაკეტვას" **ალვარო არბელოას** დაავალებენ (2007 წელს მან საკმაოდ კარგად გაართვა ამ ამოცანას თავი, როცა „ლივერპულში" ირიცხებოდა). ალვაროს მთავარი ამოცანა იქნება, არ მიალებინოს არგენტინელს ბურთი და თუ მესი ამას მაინც შეძლებს, გასაქანი არ მისცეს მას და შეძლებისდაგვარად შეუზღუდოს სივრცე, მოკლედ, მესიმ „ბერნაბეუზე" თავი კომფორტულად ვერ უნდა იგრძნოს. ამასთან, ოთხ ფეხბურთელს სპეციალური დავალება მიეცა, რომ მუდამ დაეხმაროს არბელოას, თუ მესი მას ინდივიდუალური ოსტატობით გასცდება. ესენია: **მარსელო, გაგო, ალბიოლი და გარაი.**

თუკი გვარდიოლა ფეხბურთელებს მედიასთან ლაპარაკს უკრძალავს, გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ **კრიშტიანო რონალდომ** სპეციალური პრესკონფერენცია უძღვნა „ელ კლასიკოს". უპირველესად მას დაეკითხნენ, იზიარებს თუ არა რომ მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, რაზეც მადეირელმა ხუმრობით მიუგო, ეგ როგორ, მე ხომ მასზე მაღალი, უფროსი და ჯანიანი ვარო, შემდეგ კი განაგრძო: *„მას ფანტასტიკური სეზონი აქვს. მან ძალიან ბევრი დიდებული მომენტი აჩუქა გულშემატკივრებს და ერთ-ერთი საუკეთესოა, როგორც დღეს, ისე ფეხბურთის ისტორიაში. ხალხი რონალდოსა და მესის დუელს ელის, მაგრამ ავიწყდება, რომ ჩვენ ორი არ ვთამაშობთ და ფეხბურთი სპორტის ინდივიდუალური სახეობა სულაც არაა. მე მინდა „რეალს" დავეხმარო ჩემპიონობის მოპოვებაში, ხოლო მესის სურს „ბარსელონას" მოაგებინოს ტიტული. იმედია, ლეო განაგრძობს გოლების გატანას, მაგრამ არა ამ შაბათს. მესი ფენომენია, მაგრამ ის მარტო არაა, „ბარსაში" მის ირგვლივ დიდებული ფეხბურთელები შეიკრიბნენ, მეტოქე კი სრულყოფილი გუნდია. ვიმედოვნებ, რომ მალე „რეალი" უფრო სრულყოფილი გუნდი გახდება, ვიდრე „ბარსა". დაე, შაბათს საუკეთესომ მოიგოს, იმედია საუკეთესო „რეალი" იქნება".*

**გუტიმ** კი „მარკასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო „ელ კლასიკო" იქნება კარიერაში. „რეალს" კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი, მაგრამ, იმედია, გაგებით მოეკიდებიან საკითხს და გამიშვებენ. მინდა ინგლისში ან იტალიაში თამაში, თუნდაც რომელიმე არაბულ ქვეყანაში. ფეხბურთს კიდევ ორ წელიწადს ვითამაშებ და მინდა ეს წლები უცხოეთში გავატარო. თუ ჩემი აზრი დააინტერესებთ, ვიტყვი, რომ **სესკ ფაბრეგასი** და **დავიდ სილვა** ძალიან კარგი შენაძენი იქნებიან „სამეფო კლუბისთვის".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## პრეციოზი: მესის მე ვყიდულობდი...

არა, „ჯენოას" პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზის ეს სიტყვები არ უთქვამს, მაგრამ ასე კი გამოუვიდა - მან აღიარა, რომ როცა „კომოს" ბოსი იყო, 15 წლის **ლეო მესის** გუნდში ჩარიცხვაზე უარი უთხრა. *„როცა „კომოს" პრეზიდენტი ვიყავი, ლეო მესი ჩვენთან სინჯებზე იმყოფებოდა, მაგრამ ჩვენ ის დავიწუნეთ. მე მესის თამაში 14 წლის ასაკიდან მახსოვს, ის მაშინაც ბრწყინვალე იყო, მაგრამ არ ავიყვანეთ იმიტომ, რომ, როგორც მაშინ გვეგონა, „კომოში" უფრო მნიშვნელოვანი საკითხები იყო გადასაწყვეტი. ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს".*

## როსი იტალიაში არ ბრუნდება

იტალიის ნაკრების ფორვარდმა **ჯუზეპე როსიმ** უარყო ხმები, თითქოს ის იტალიაში ბრუნდება სათამაშოდ. პრესა ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ფეხბურთელით „იუვენტუსია" დაინტერესებული. „ვილიარეალის" ფორვარდს პირადი პრობლემების გამო პრიმერას სეზონის გვარიანი ნაწილი გაუცდა, რადგან შინ, ამერიკაში იმყოფებოდა. *„მომავალ სეზონშიც „ვილიარეალში" ვითამაშებ, გუნდი კარგია, ახალი მწვრთნელიც, პრეზიდენტი დიდებული ადამიანია. მე ძალიან ბედნიერი ვარ „ვილიარეალში" თამაშით".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ბენიტესის ფულო-სოფია

**რაფა ბენიტესმა** განაცხადა, რომ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ასე დაფინანსებული „ლივერპულით" შეიძლებოდა, მან უკვე გააკეთა - რისი გამოწურვაც შეიძლებოდა, გამოწურულია, დანარჩენი კი ახალ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. რად უნდა ლაპარაკი, რომ ბენიტესის ეს მოულოდნელი გულწრფელობა მერსისაიდური კლუბის ამერიკელ მეპატრონეებს **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** დაზაფრავდა და მოულოდნელობისგან პირსაც დაალებინებდა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ესპანელმა მწვრთნელმა დასძინა, მზად ვარ გუნდს თუნდაც ახლანდელი „რეჟიმის" პირობებში, მომავალშიც ვუხელმძღვანელოო.

მაინც, რამ აიძულა ბენიტესი ასეთი ნაბიჯი გადაედგა? ალბათ, იმან, რომ უკვე მთელი კვირაა, კრიტიკის ობიექტია - პრემიერლიგის ბოლო ტურში, კვირას, „ბირმინგემთან" შეხვედრაში, მან მოედნიდან **ფერნანდო ტორესი** გაიყვანა, რაც ვერც გულშემატკივრებმა აპატიეს და ვერც ჟურნალისტებმა. თან, მოეგო მაინც - მერსისაიდელთა და ბირმინგემელთა შეხვედრა ფრედ დასრულდა, არადა, მეოთხე ადგილისთვის მებრძოლ „წითლებს" სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდათ. და აი, საყოველთაო წნეხის ქვეშ მოქცეულმა მწვრთნელმა უეცარი ტაქტიკური სვლა გააკეთა და მისკენ წამოსული შეტევის კლუბის მეპატრონეებისკენ მიმართვა სცადა.

აქვე აღსანიშნავია, რომ „ლივერპული" ახალ ინვესტიციებს ელოდებოდა. კომპანია Rhone Group „წითელთა" კლუბში 100 მილიონის ჩადებას აპირებდა, მაგრამ ახლა უკვე ისე ჩანს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ბენიტესმა თქვა:



მეტს რას მთხოვთ? რაფა ბენიტესი მიიჩნევს, რომ ამ ლივერპულმა შესაძლებლობები ამოწურა

*„ზოგიერთმა ფეხბურთელმა საჯაროდაც თქვა რა გვჭირდება და მე ამ ბიჭებს აბსოლუტურად ვეთანხმები. ახლანდელი შემადგენლობისგან მეტს ველარაფერს გამოვწურავთ. თუ წინ მორიგი ნაბიჯის გადადგმა გვინდა, ფული უნდა დავხარჯოთ. ზედა ოთხეულთან კონკურენციისთვის ინვესტიციაა საჭირო. აგერ უკვე ექვსი თვეა კლუბის მეპატრონეებისგან თანხას ველოდები და ვცდილობ, ამ თანხის მიღებამდე ყურადღება მთლიანად ფეხბურთისკენ გვქონდეს მიპყრობილი. ყველაზე მეტად* Rhone Group-*ს ველოდი, მაგრამ ახლა ეს კომპანიაც წავიდა და ჩვენ ისევ პირში ჩალაგამოვლებული დავრჩით. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ შემდეგი ექვსი თვის განმავლობაშიც იგივე გავაკეთო - თავჩაღუნულმა ვიმუშაო და იმედი დავიტოვო, რომ ადრე თუ გვიან ფულს მოგვცემენ. აგერ უკვე ექვსი წელიწადია ამ კლუბში ვმუშაობ და ყველა ღონეს ვხმარობ, რათა „ლივერპული" უმაღლეს დონეზე გამოდიოდეს. ერთი ხნის წინ, როდესაც ჩემი ხელშეკრულება მორიგი ხუთი წლით გავახანგრძლივე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ წინ სირთულეები მელოდა, მაგრამ გავიმეორებ რაც ზემოთ ვთქვი - ინვესტიციას ველოდი და მარტო მე კი არა, ფეხბურთელებიც ამ იმედით იყვნენ. ახლა, როდესაც გაირკვა, რომ ფულის მომცემი არავინ არის, ერთადერთი რაც მე და ბიჭებს დაგვრჩენია, ერთ მუშტად შეკვრა და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრია. რამენაირად, თავს უნდა გადავახტეთ".*

ამ სეზონში „ლივერპული" პირველივე დღიდან დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს - პირველსავე ტურში, 16 აგვისტოსვე წააგო „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 2:1. მას მერე მიდის მერსისაიდში მტყუან-მართლის გარჩევა და ბენიტესი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის დამნაშავე არ არის. და გასაკვირიც ის გახლავთ, რომ ამდენ ხანს ის სამსახურიდან არ გაუგდიათ, თუმცა, რა მოხდება როდესაც სეზონი დამთავრდება, გამოჩნდება.

ესპანელი სპეციალისტი დასძენს: *„სხვა გზა არ მაქვს, დადებითად უნდა განვეწყო და იმედი ვიქონიო, რომ ინვესტიცია მოვა. იმ დღეს „ბარსელონას" ვუყურებდი „არსენალის" წინააღმდეგ. ვეებერთელა სტადიონი, უდიდესი თანხები და მთელი სისტემა კიდევ უფრო მეტის მისაღებად. აი, რა მიმართულებით უნდა იმუშაო თუ უძლიერესებთან კონკურენცია გჭირდება.*

*რა ხდება „ლივერპულში" ძალიან ბევრმა ადამიანმა იცის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. შექმნილი მდგომარეობით მე ძალიან უკმაყოფილო გახლავართ. ხომ გახსოვთ, შარშან ამ დროს როგორ ფეხბურთს ვთამაშობდით? ჰოდა, თუ მომავალშიც იგივე გვინდა, ბევრი რამ უნდა შევცვალოთ და არა მხოლოდ მოედანზე.*

*შეცდომა ყველა მწვრთნელს მოსდის, მაგრამ ეს შეცდომა ყველა კლუბში თავისებურია. არის კლუბები, რომელთაც შეუძლიათ თავს 30-30-მილიონიანი შეცდომის უფლება მისცენ, ჩვენთან კი ეს დაუშვებელია. აქ, „ლივერპულში", მე შეიძლება ფეხბურთელი შევცვალო და ხალხმა ამის შესახებ მთელი კვირა ილაპარაკოს, გეგონება სამყაროს დასასრული დამდგარიყოს. ერთი სიტყვით, რაღაც შესაცვლელია და ამასთან დაკავშირებით, ჩემი იდეები მაქვს. ვიმედოვნებ, ახალი ინვესტორი ახალი ფულით მოვა და ჩემს იდეებზე მათთან უკვე კონკრეტულად ვილაპარაკებ. ჩემი საქმე „ლივერპულის" ოთხეულში ყოლა და ევროპულ შეჯიბრებებში მონაწილეობაა, თუმცა, ვფიქრობ, ამ ზაფხულს ფულიც მექნება. თანახმა ვარ, ჩვენ ახალი ფეხბურთელები გვჭირდება, მაგრამ მათი ფასი დასაშვებ ნორმას არ უნდა სცილდებოდეს. ზოგი ლევერპულელი ვარსკვლავი ამბობს, რომ გასაძლიერებლად სამი-ოთხი მოთამაშის დამატებაა საჭირო. კი ბატონო, ოღონდ, სამი-ოთხი ფეხბურთელის ყიდვას გარკვეული თანხა სჭირდება".*

მწვრთნელი და ფეხბურთელი

# დაფმა დაფდაფს დაჰკრა

**დემიენ დაფმა** რომელმაც გუშინ ევროლიგის მერვედფინალში „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ ითამაშა, განაცხადა, რომ მისი კარიერა „ფულჰემის" თავკაცმა, სახელგანთქმულმა **როი ჰოჯსონმა** გადაარჩინა. ვინც ევროლიგის თამაშებს თვალს ადევნებს, დაგვერწმუნება, რომ ირლანდიელმა ვარსკვლავმა მერვედფინალში, „იუვენტუსთან" ტრიუმფალურ გამარჯვებაში უდიდესი როლი შეიტანა და საერთოდაც, ლონდონური კლუბის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, არადა მანამდე, სამი წლის განმავლობაში „ნიუკასლ იუნაიტედში" გვარიანად იტანჯებოდა - ხან ცუდ ფორმაში იყო და ხანაც ტრავმები აწვალებდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი, ამ მდგომარეობიდან ჰოჯსონმა გამოიტაცა.

31 წლის დაფმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა: *„სტატისტიკიდანაც ძალიან კარგად ჩანს, რომ „ნიუკასლში" მთელი სამი წელიწადი ჩამივარდა. ამ მდგომარეობიდან „კრეივენ კოტეჯზე" გადმოსვლამ მიშველა. „ფულჰემში" ჩემი თითქმის დამთავრებული კარიერა თავიდან დაიწყო. მწვრთნელს, „ბექბერნის" დღეებიდან ვიცნობდი და რომ გავიგე, ჩემს გადაყვანას აპირებდა, ძალიან გამიხარდა. მასთან მუშაობის იდეამ თავიდან ამანთო. ჰოჯსონთან ურთიერთობის ყოველი წუთი დაუვიწყარია. „ნიუკასლში" ჩავარდნილი სამი წლის შემდეგ სწორედ ეს მჭირდებოდა. ეს სეზონი ჩემთვის დიდებულად მიდის".*




მოსაზრება



გლენ ჰოდლმა ლამაზი ფეხბურთის ფასი კარგად იცის

# 10, როგორც ფეხბურთის ჯადოსნური რიცხვი

**ვინც „ბარსელონასა" და „არსენალის" მეოთხედფინალურ დაპირისპირებას უყურა, შეუძლებელია არგენტინელი ვარსკვლავის ლეო მესის თამაშით არ აღფრთოვანებულიყო. წარსულში ცნობილ ფეხბურთელსა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელს გლენ ჰოდლს კი მესის ცქერამ კიდევ ერთხელ განუმტკიცა მოსაზრება, რომ ფეხბურთში 10 გრძნეული რიცხვია.**

*„როდესაც მოთამაშეს ათნომრიანი მაისურა აცვია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს წინაშე ფეხბურთში საბოლოო პროდუქტის შემოქმედი ადამიანი, გამთამაშებელია. მე ამ ნომერზე სიყმაწვილეში ვოცნებობდი. ათიანი ჩემი საოცნებო რიცხვი გახლდათ. ათნომრიანი მაისურა პელეს, მიშელ პლატინის და იმ ეპოქაში ბრაზილიური ფეხბურთის დიდოსტატ ზიკოს ეცვათ. მოგვიანებით ათიანები იყვნენ დიეგო მარადონა და ზინედინ ზიდანი. საოცარია, რომ მაისური ნომერი ათი არასდროს სცმია იოჰან კრუიფს, თუმცა რომ სცმოდა ეს გაცილებით ლოგიკური იქნებოდა. იოჰანი სწორედ ამ ყაიდის მოთამაშე გახლდათ, მაგრამ იცით, მე მას ვიცნობ და ვიცი, რომ ცდილობს ყოველთვის და ყველგან გამორჩეული იყოს.*

*შედარებით უფრო გვიან ათი ნომრები იყვნენ დენის ბერკამპი და ჯანფრანკო ძოლა. ისე, კრუიფისა არ იყოს ერიკ კანტონასგანაც ჩინებული ათი ნომერი გამოვიდოდა, მაგრამ მან „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ნომერი, ჯორჯ ბესტის ნაცვამი შვიდიანი აირჩია, ბოლომდე მას უერთგულა და დიდი ისტორიის დიდი ნაწილიც გახდა.*

*„ათნომრიანთა" ჯგუფის წევრებიდან კი კიდევ ერთი იტალიელი ჯანკარლო ანტონიონი მახსენდება. ნამდვილი ბალერონი იყო. ძალიან მინდოდა, მეც მისნაირი ფეხბურთელი ვყოფილიყავი.*

*ათნომრიანი მაისურა პირველად 11-წლამდელთა გუნდში ჩამაცვეს. შემდეგ, სკოლის გუნდშიც მეათე ნომრით ვთამაშობდი, მოგვიანებით კი „ტოტენჰემის" ათიანი გავხდი, თუმცა ხაზგასმით ჩემი „ათიანობა" პირველად ფრანგებმა აღნიშნეს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც „მონაკოში" გადავედი. „ო, თქვენ მეათე ნომერი ხართ" - მითხრეს მე და ეს ნათქვამი ყურში მუსიკად ჩამესმა.*

*დიახ, ასეთი რამ ინგლისში ჩემთვის არასდროს უთქვამთ, რადგან ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ინგლისში ხომ ათიანობას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა - ტალახიან მოედნებზე მხოლოდ გრძელი პასით თუ ითამაშებდი, ბურთი რაც შეიძლება შორს უნდა გადაგეგდო. იმხანად, 1980-იან წლებში ინგლისში გამთამაშებლობა მეტისმეტად ძნელი საქმე იყო, თითქმის შეუძლებელი, რადგან ჩვენ ევროპელებისგან განსხვავებულ ფეხბურთს ვთამაშობდით, იმავე სისტემას არ მივსდევდით და ხშირად, გუნდებში „მეათე ნომერი" არც გვყავდა. მეტსაც გეტყვით, აქ ამ ნომერს თავდამსხმელებს აცმევდნენ, მაგალითად გარი ლინეკერს. საფრანგეთში კი, ამ დროს, ალბათ პლატინის ეშხით, პოზიციას ნომრით მოიხსენიებდნენ.*

*ინგლისის ნაკრებში მეტწილად ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე მათამაშებდნენ და ამიტომ ხან 7-ს მაცმევდნენ, ხანაც 4-ს. არადა, ჩემს გონებაში ნომერი ათი შემოქმედებისა და უსაზღვრო შესაძლებლობების სიმბოლო იყო. ჩემთვის ფეხბურთელი მეათე ნომრით იყო კაცი, რომელსაც ერთი პასით მთელი თამაშის გახსნა შეეძლო, ორივე ფეხით თამაშობდა, გადამწყვეტი გოლი გაჰქონდა... და დღეს შეხედეთ ლეო მესის ბომბარდირს, მხატვარს, შეტევის დამწყებსა და დამამთავრებელს - ის იდეალური მეათე ნომერია.*

*ვუყურებდი „არსენალთან" მის თამაშს და ვხედავდი, რომ პირველ ტაიმში ორი ჰეთ-თრიკის შესრულება შეეძლო. გახსოვთ, სანამ პირველ გოლს გაიტანდა, სამი მომენტი რომ გაუშვა ხელიდან? გასულ სეზონში მესიმ 38 გოლი გაიტანა, მიმდინარეში კი უკვე 39 შეაგდო. ახლა ამას დაამატეთ ის მომენტები, რომლებიც შექმნა, მაგრამ გოლით ვერ დაამთავრა.*

*მესი ელექტრონის სიჩქარით თამაშობს, დინამიკურობის თვალსაზრისით ის უნიკალურია. თუ დააკვირდებით, ის თავიდან მშვიდად მიიწევს წინ, მაგრამ, როგორც კი გრძნობს, რომ გამწვავება შეუძლია, მთლიანად იცვლება. ხოლო თუ ხვდება, რომ ამ ეპიზოდში არაფერი გამოვა, ბურთს ჩავის ან ინიესტას დაუთმობს და ხელახალი აფეთქებისთვის იწყებს მზადებას.*

*მესი ნებისმიერი გუნდისთვის იდეალური ფეხბურთელია. მთავარია, ბუცები ჰქონდეს მორგებული და ფეხქვეშ ისეთი მოედანი იყოს, სადაც ბურთი გორავს.*

*საერთოდ, როგორც ჩანს, ესპანეთში უფრო ჩია ფეხბურთელები უყვართ, ინგლისში კი ძველებურად გოლიათებს ეძებენ. ესპანელები ეძებენ მესის, ინიესტას, ჩავის... ჩიას ჩინებული ფეხბურთის თამაში შეუძლია.*

*მესიმდე „ბარსელონაში" მეათე ნომერი რონალდინიოს ეცვა, „რეალში" კაკას აცვია, „მანჩესტერ იუნაიტედში" კი - უეინ რუნის. ფეხბურთი სახეს იცვლის, ტრადიცია კი ტრადიციად რჩება. ყოველ შემთხვევაში, მესის მაგალითი ამას ამტკიცებს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# სანტონმა სეზონი დაასრულა

**დავიდე სანტონისთვის** მიმდინარე სეზონი დასრულებულია - ასეთი ინფორმაცია იტალიურმა სპორტულმა პორტალებმა გაავრცელეს. ახალგაზრდა მცველს ფეხის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, „ნერაძურის" ექიმებმა მისთვის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს. დანის ქვეშ დაწოლის წინააღმდეგი თავად ფეხბურთელი იყო, რადგან ასეთ შემთხვევაში, მისი მუნდიალზე გამგზავრების შანსი ნულს უტოლდება. თუმცა, მილანური გრანდის მედიკებმა სხვა გამოსავალი ვერ მონახეს და ოპერაციის გაკეთება გარდაუვალი გახდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მკურნალობის პროცესი 5-6 კვირას წაიღებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავიდე ვარჯიშს მაისის მეორე ნახევარში განაახლებს. ამ დროისთვის, „ინტერს" რამდენიმე მატჩი თუ ექნება გასამართი და ისიც ყველაზე მნიშვნელოვანი - ბუნებრივია, გადამწყვეტ პაექრობებში **ჟოზე მოურინიო** ახლადგამოჯანმრთელებულ სანტონს ვერ დაეყრდნობა. მით უმეტეს, ფეხბურთელთა არჩევანი ისედაც საკმაოდ დიდი აქვს. თავად დავიდე იმედგაცრუებულია, რაც მისი კომენტარიდან კარგად ჩანს:

*„დიდი იმედი მქონდა, რომ მიმდინარე სეზონი ჩემთვის ყველაზე წარმატებული იქნებოდა. არ დაგიმალავთ, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მუნდიალზე გავემგზავრებოდი. სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. იმედია, რეაბილიტაციის პერიოდს წარმატებით გავივლი და საყვარელ საქმეს მალე დავუბრუნდები".*

**ლაშა წიკლაური**



დავიდე სანტონი

გამოძახილი

# აბეტეს შოკის მომგვრელი განცხადება...

„კორიერე დელო სპორტთან" საუბარში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** მართლაც რომ შოკის მომგვრელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ მიუბრუნდება „კალჩოპოლის" მასალებს და შეეცდება, ახალი მტკიცებულებები ამოიღოს. მოვუსმინოთ აბეტეს:

*„ისეთი მასშტაბური ოპერაცია, როგორიც „კალჩოპოლია", იტალიური ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტოა. მიუხედავად ამისა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი გამოძიებულია და ყველა დამნაშავე დასჯილია. უახლოეს მომავალში, ფედერკალჩო კიდევ ერთხელ მიუბრუნდება ცნობილ პროცესებს და შეეცდება ახალი მტკიცებულებები ამოიღოს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოძიება ისეთივე მასშტაბის იქნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ დამნაშავეები კიდევ გამოვლინდებიან".*

აი, ასეთი კომენტარი გააკეთა აბეტემ და იტალიური საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო. როგორც ჩანს, „კალჩოპოლი" ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ფედერკალჩოს პრეზიდენტის ამ განცხადებას ერთ-ერთი პირველი ტურინის „იუვენტუსი" გამოეხმაურა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალური წერილი გამოქვეყნდა, რომელსაც აქვე გაგაცნობთ:

*„ტურინის „იუვენტუსის" დირექტორთა საბჭო სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან. 2006 წლის პროცესების შედეგად, ყველაზე მეტად სწორედ ჩვენი კლუბის იმიჯი შეილახა და ბუნებრივია, დაინტერესებული ვართ საქმის ხელახალი გადახედვით. ვიტოვებთ იმედს, რომ ფედერკალჩო და სამართალდამცავი ორგანოები ობიექტურად გამოიძიებენ იმ პროცესებს, რომელთა გამო ოთხი წლის წინ „იუვენტუსი" უმკაცრესად დაისაჯა".*

საქმის ხელახალი გადახედვის პირველი ეტაპი 13 აპრილს დაიწყება და ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტის სხდომით გაიხსნება. ამ დღეს ბევრი ელის მოუთმენლად, მათ შორის სინიორ „კალჩოპოლი" **ლუჩანო მოჯი**. მისი ადვოკატი ირწმუნება, რომ კლიენტის უდანაშაულობას დაამტკიცებს და მის სრულ რეაბილიტირებას მოახდენს. აი, რას ამბობს **პაოლო ტროფინო:**

*„ლუჩანო ძალიან გახარებულია, რომ ფედერკალჩო ოთხი წლის წინ განვითარებულ მოვლენებს გადახედავს. ეს კიდევ ერთი შანსია იმისთვის, რომ მისი უდანაშაულობა დამტკიცდეს. თუ საშუალება მომეცემა, ყველას დავუმტკიცებ, რომ მოჯი კორუფციულ გარიგებებში არ მონაწილეობდა. ვფიქრობ, თვითონ „კალჩოპოლი" შეთითხნილი ისტორიაა. გარკვეული დოზით, კორუფცია ყველაფერშია და მათ შორის ფეხბურთშიც. არა მგონია, რომ ინგლისურ, ესპანურ ან გერმანულ ფეხბურთში ყველაფერი წესების და კონონების სრული დაცვით ხდებოდეს".*

არიან ისეთებიც, რომლებიც ჯან კარლო აბეტეს განცხადებას სერიოზულად არ აღიქვამენ. იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **სერჯო კამპანამ** პირდაპირ თქვა, ახალს ვერაფერს გავიგებთ, „კალჩოპოლი" დიდი ხანია დასრულდაო. ვერ გეტყვით, უფლებამოსილია თუ არა კამპანა „კალჩოპოლის" დასრულება-არდასრულების შესახებ აკეთოს განცხადებები, მაგრამ როგორც ჩანს, ბევრს აბეტეს ნათქვამი უბრალო პოპულიზმი ჰგონია. საქმე იმაშია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება და შესაბამისად, აბეტეს პოზიციების გამაგრება სჭირდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ლაშა წიკლაური**



ჯანკარლო აბეტე მიიჩნევს, რომ კალჩოპოლის სკანდალი არ ამოწურულა



მილანი

# ბრაიდამ კაკაუ უარყო


კაკაუ მილანში არ ითამაშებსო...

„მილანი" სკუდეტოს მაძიებელთა შორის გახლავთ, მაგრამ იტალიაში ბევრს არ სჯერა, რომ „როსონერის" პირველ ადგილზე გასვლის ძალა შესწევს. გუნდი თამაშის ხარისხის აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს და რომ არა „ინტერის" მიერ დაუგეგმავი ქულების დაკარგვა, სკუდეტოს ბედი დღეს გარკვეული იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში „როსონერის" საჩემპიონო ამბიციებს სკეპტიკურად უყურებენ, თავად მილანელები ოპტიმისტური განცხადებების გაკეთებას არ ერიდებიან. **ტიაგო სილვა** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი სკუდეტოსთვის ბოლო ტურამდე იბრძოლებს:

*„ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი, ლიდერს კი მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით. ვერაფრით ვხვდები, რატომ არ უნდა ჩავთვალო თავი სკუდეტოსთვის მებრძოლად. სწორედაც რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძვი და ასეთი განწყობაა მთელ გუნდში. თითოეულ თამაშს უდიდესი მოტივაციით ვხვდებით, ასეთი ენთუზიაზმი ადრე არასდროს მქონია. იტალიაში ტიტულების მოსაპოვებლად ჩამოვედი, სკუდეტო კი ჩემი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. სამწუხაროდ, არაერთი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავს, რაც მიზნის მიღწევას გვირთულებს. თუმცა, ტრაგედიას არ ვქმნით და ვცდილობთ, დანაკლისი არსებული რესურსით შევავსოთ".*

ტიაგო სილვამ **ლეონარდოს** შესახებაც ისაუბრა და მთავარი მწვრთნელი ქებით ცაში აიყვანა: *„ის, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, ლეონარდოს დამსახურებაა. ახალი ტაქტიკით გუნდის თამაში აშკარად გამოაცოცხლა, რამაც დადებითი შედეგი მოიტანა. მართალია, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვვარდით, მაგრამ ამან არ უნდა დაგვთრგუნოს. წელს სკუდეტოს მოპოვებას შევეცდებით, მომავალ სეზონში კი ლიგასაც დავუმიზნებთ. ყველა სიკეთესთან ერთად, ლეო შესანიშნავი ადამიანია. არაერთ მწვრთნელთან მიმუშავია, ყველა თავისუბურად საინტერესო იყო, მაგრამ პიროვნული თვისებებით, ლეონარდო აშკარად ყველასგან გამორჩეულია. „მილანი" ერთი დიდი ოჯახია, რაც დიდწილად სწორედ მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა".*

გუშინ, სპორტულმა ინტერნეტპორტალებმა მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს - თითქოს, „შტუტგარტის" თავდამსხმელი **კაკაუ** მომავალი სეზონიდან „მილანში" იასპარეზებს. გერმანიის ნაკრების ბრაზილიელ თავდამსხმელს შვაბურ კლუბთან სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება კონტრაქტი და თავისუფალი აგენტის სტატუსს იღებს. შესაბამისად, იქ გააგრძელებს კარიერას, საითაც გული გაუწევს. გავრცელებული ცნობის თანახმად, კაკაუ სწორედ „როსონერის" მესვეურებს შეუთანხმდა და ორწლიან ხელშეკრულებასაც გამოჰკრა ხელი, რომელსაც ზაფხულში გააფორმებს. ეს ამბავი, როგორც შემდგარი ფაქტი, ისე გავრცელდა, რამაც „მილანის" მესვეურები ძალიან გააკვირვა. გუშინვე, ჟურნალისტებთან საუბარი კლუბის დირექტორატის წარმომადგენელმა **არიედო ბრაიდამ** განიზრახა და შემდეგი განაცხადა:

*„ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან გავრცელდა ასეთი აბსურდული ინფორმაცია. კაკაუსთან არანაირი მოლაპარაკებები არ გაგვიმართავს და შესაბამისად, ვერც შეთანხმებას მივაღწევდით. სატრანსფერო საკითხებზე სეზონის დასრულების შემდეგ ვიზრუნებთ, დღეს ვინმეს გადაბირებაზე საუბარი ძალიან ადრეა. ხანდახან ჟურნალისტები ძალიან მაკვირვებენ, კაკაუსთან დაკავშირებით ნამდვილად მერვე საოცრება აღმოაჩინეს".*

**ლაშა წიკლაური**

ამბები

## პლატინიმ უკრაინას ორი თვე დაუთქვა

უკრაინაში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ჩატარება სერიოზული საფრთხის ქვეშაა. იმ ფონზე, როცა თანამასპინძელ პოლონეთში საქმეები კარგად მიდის, უკრაინაში დაბრკოლებები იმ მასშტაბისაა, უეფა უკვე საგანგებო ზომების მიღებაზე ფიქრობს. სწორედ ამან წარმოშვა **მიშელ პლატინისა** და უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩის** შეხვედრის აუცილებლობა.

*„ორ თვეში უკრაინამ უნდა გვიჩვენოს პროგრესის სერიოზული ნიშნები, - თქვა პლატინიმ იანუკოვიჩთან შეხვედრის შემდეგ და იქვე დასძინა, - თუმცა ეს არ არის ულტიმატუმი. უკრაინის პრეზიდენტი გარანტიას იძლევა, მისი ქვეყანა ევრო 2012-ს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება".*

გუშინ პლატინი უკრაინაში ბრძანდებოდა, სადაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ოთხ ქალაქში (კიევი, დონეცკი, ხარკოვი, ლვოვი) სტადიონების მშენებლობა, აეროპორტები და ზოგადად საფეხბურთო ინფრასტრუქტურა დაათვალიერა.

## გერეროს ხუთი მატჩი

ბუნდესლიგის დარჩენილ ტურებში „ჰამბურგის" მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას პაულო გერეროს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. პერუელ თავდამსხმელს სადისციპლინო კომიტეტმა 5-მატჩიანი (სწორედ ამდენი დარჩა სათამაშო ბუნდესლიგაში) დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ამას გარდა, გერეროს 20 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს.

საქმე ისაა, რომ სამხრეთამერიკელმა „ჰამბურგი"-„ჰანოვერის" საკვირაო მატჩის (0:0) შემდეგ ერთ-ერთ გულშემატკივარს წყლის ბოთლი ესროლა. გერეროს აპელაციისთვის 24 საათი მისცეს. სხვათა შორის, უდისციპლინობისთვის ფეხბურთელი თავად „ჰამბურგმაც" დასაჯა (50-100 ათასი ევროს ფარგლებში). ორშაბათს მან სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, საქციელიც მოინანია და ბოდიშიც მოიხადა, თუმცა... სასჯელს მაინც ვერ გადაურჩა.

## ბუფონი იუვედან მიდის?

როგორც „გაძეტა დელო სპორტი" წერს, „იუვენტუსი" მზადაა, გაყიდოს **ჯანლუიჯი ბუფონი** და ფრანგი გოლკიპერით ჩაანაცვლოს - ლაპარაკია „ლიონის" კარის დარაჯ **უგო ლორისზე**. „ბიანკონერი" ბუფონში 35 მილიონ ევროს მოითხოვს. უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს „მანჩესტერ სიტი" უმიზნებს. ამბობენ, კლუბის მეპატრონეები **რობერტო მანჩინის** საზაფხულო კამპანიისთვის სერიოზულ თანხას ჰპირდებიანო. ჰოდა, თუ „გაძეტას" დავუჯერებთ, ამ პროექტში საკვანძო ფიგურა სწორედ ბუფონი ყოფილა.

რაც შეეხება ლორისს, ცხადია ის ბედნიერია ტურინული პერსპექტივით. როგორც ამბობენ, ზაფხულში „ბებერი სინიორა" გვარიანად გადახალისდება. გუნდიდან წასვლას თურმე **მაურო კამორანეზი** და **დავიდ ტრეზეგეც** აპირებენ. სხვათა შორის, არ გამორიცხავენ, რომ ორივემ სწორედ „ლიონში" ამოყოს თავი.

## პირველი მექსიკელი მანიუში

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის ფორვარდი **ხავიერ ერნანდეს ბალკასარი** შეიძინა. ტიტულოვანი კლუბის ისტორიაში ეს პირველი მექსიკელი ფეხბურთელი იქნება. „მანიუ" არ ასახელებს თანხას, რომელიც „ჩივასის" (გვადალახარა) 21 წლის ფორვარდში (4 მატჩი მექსიკის ეროვნულ ნაკრებში) გაიღო. 1 ივლისიდან ერნანდესი ბრიტანეთში სამუშაო ვიზასაც მიიღებს. მის ბედნიერებას საზღვარი არ აქვს - „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშსა და თვით სერ **ალექს ფერგიუსონთან** მუშაობას ყველაზე ლამაზ ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდიო. ცნობისთვის, 2006 წელს სადებიუტო სეზონში მან 26 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საფრანგეთი. ლიგა 1

# სანამ ბორდო ლიგიდან ვარდებოდა...

## საფრანგეთი მარსელიოზას იმღერებს?




ჩემპიონატის შუაწელზე ლამის გამარჯვებულად მონათლული „ბორდო" უკვე მეხუთე ადგილზეა! მართალია, ჩემპიონს კონკურენტებთან 2-2 მატჩით ნაკლები აქვს, მაგრამ, თანდათან ცხადი ხდება, რომ ორი კურდღლის დევნაში ჟირონდელები ორივეს კარგავენ (ერთი უკვე დაკარგა). ოთხშაბათს თითქმის პირთამდე შევსებულ „ველოდრომზე" „მარსელმა" 3:0 გაანადგურა „სოშო" და ჩემპიონატის ლიდერობა იგდო ხელთ. თანაც სამხრეთელებს „ბორდოზე" მხოლოდ ერთი მატჩით მეტი აქვთ გამართული და სამი ქულით უსწრებენ.

ეს მე-14 ტურის გადადებული მატჩი იყო, რომლის მოგებითაც **დიდიე დეშამის** გუნდის სეზონში პირველად გალიდერდა. ლიგა 1-ში „ცხელი" სპრინტი გველის, ფინიშამდე 7 ტურილა რჩება.

თამაში დაიწყო და გამოჩნდა, რომ „მარსელის" შეტევები ძირითადად შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ჰატემ ბენ არფას** წყალობით ვითარდებოდა. სწორედ მან მოიპოვა მე-9 წუთზე პირველი კუთხური, რომელსაც **ლუჩო გონსალესის** ჩამოწოდება და **გაბრიელ ჰაინცეს** თავური მოჰყვა - 1:0. მე-18 წუთზე ტუნისელმა **იასინ მიკარიმ** საჯარიმოში **ლორან ბონარი** მოცელა და ბენ არფამ პენალტის ნიშნულიდან ანგარიში 2:0 გახადა. მესამე გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე ბენ არფას ნაცვლად შესულმა კოტდივუარელმა **ბაკარი კონემ** გაიტანა შესანიშნავი სოლო გარღვევის წყალობით - 3:0. შეგახსენებთ, რომ 1993 წლის შემდეგ „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონი არ გამხდარა.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„დიდებული საღამოა მთელი მარსელისთვის. ჩვენ ვჯობდით მეტოქეს, სამი გოლი გავუტანეთ და თავად კარი მშრალად შევინახეთ, უბრალოდ, შესანიშნავია. ბიჭებმა დავალება შეასრულეს და ყველანი ძალიან კმაყოფილები ვართ. არ მინდა საჩემპიონო შანსებზე ჯერ ლაპარაკი, მიზანს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივაღწიოთ. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონობა მარტო ჩვენ არ გვსურს, კონკურენტი საკმაოდ ბევრია".*

**ფრანსუა ჟილო** (სოშო): *„პირველ ტაიმში მეტოქეს მეტისმეტად ბევრი შანსი მივეცით გასატანად. მეორეში გუნდი უფრო აგრესიულად თამაშობდა, მაგრამ ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და ამან თავისი დაღი დაატყო თამაშს. „მარსელს" საჩემპიონო გუნდი ჰყავს, შეხედეთ, რა მაგარი ფეხბურთელები დარჩნენ სათადარიგოთა სკამზე".*


გაბრიელ ჰაინცე (მარჯვნივ) გოლს აღნიშნავს

**მარსელი-სოშო 3:0**

მარსელი (4-3-3): მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - გონსალესი, სისე (46. შეირუ), კაბორე - ვალბუენა (67. აბრიელი), ბრანდაო, ბენ არფა (79. კონე).

სოშო (4-2-3-1): დრეიე - ფატი, პერკისი, ბრეშე, მიკარი - გავანონი, კარლაო - ბუდებუზი (46. პრივატი), მარტინი (46. დრამე), მორის-ბელაი (75. დიასი) - ბუტენი.

გოლები: 1:0 ჰაინცე (9), 2:0 ბენ არფა (27-პენ), 3:0 კონე (92)

გაფრთხილება: 2-4; კუთხური: 3-7; ჯარიმა: 17-17; თამაშგარე: 3-4; კარში დარტყმა: 19-7 (8-1); ბურთის ფლობა: 55%-45%.

მაყურებელი: 46 136

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 30 | 17 | 8 | 5 | 54-30 | 59 |
| 2. ლიონი | 31 | 16 | 9 | 6 | 51-32 | 57 |
| 3. მონპელიე | 31 | 17 | 6 | 8 | 41-34 | 57 |
| 4. ოსერი | 31 | 16 | 9 | 6 | 31-25 | 57 |
| 5. ბორდო | 29 | 17 | 5 | 7 | 47-25 | 56 |
| 6. ლილი | 31 | 16 | 6 | 9 | 56-33 | 54 |
| 7. რენი | 31 | 14 | 7 | 10 | 46-31 | 49 |
| 8. ლორიანი | 31 | 14 | 7 | 10 | 46-32 | 49 |
| 9. მონაკო | 31 | 13 | 7 | 11 | 32-33 | 46 |
| 10. ვალანსიენი | 30 | 13 | 5 | 12 | 41-41 | 44 |
| 11. ნანსი | 31 | 12 | 6 | 13 | 40-44 | 42 |
| 12. პსჟ | 31 | 11 | 8 | 12 | 43-34 | 41 |
| 13. ტულუზი | 31 | 10 | 9 | 12 | 30-29 | 39 |
| 14. სოშო | 30 | 10 | 7 | 13 | 23-38 | 37 |
| 15. ნიცა | 31 | 10 | 6 | 15 | 31-45 | 36 |
| 16. ლანსი | 31 | 9 | 8 | 14 | 27-38 | 35 |
| 17. სტ. ეტიენი | 31 | 8 | 8 | 15 | 22-38 | 32 |
| 18. ბულონი | 31 | 5 | 9 | 17 | 23-51 | 24 |
| 19. ლე მანი | 30 | 5 | 6 | 19 | 26-48 | 21 |
| 20. გრენობლი | 31 | 3 | 6 | 22 | 21-50 | 15 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

წარმოგიდგენთ მონაწილეებს

# ჰონდურასი

ცნობილია, რომ კონკაკაფ-ის ზონისთვის გათვალისწინებული სამი საგზურიდან ორი, როგორც წესი, ამერიკისა და მექსიკის ნაკრებებს ერგებათ, მესამე საგზურის მფლობელის გამოცნობა კი თითქმის შეუძლებელია. ბოლო წლებში „მეორე ეშელონიდან“ კოსტა რიკა იყო დაწინაურებული და ამჯერადაც ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ უმაღლეს საფეხბურთო ფორუმზე სწორედ ეს გუნდი უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ შესარჩევის ფინიშზე „ტიკოსებს“ ყველასგან მივიწყებულმა ჰონდურასის ნაკრებმა გაუსწრო.



დღემდე ჰონდურასის ნაკრების მიმართ ფანები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. სტაჟიან გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, ახსოვთ ცნობილი ექვსდღიანი ომი სალვადორთან, რომელიც 1969 წლის ივლისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დამარცხებას (2:3) მოჰყვა. მაგრამ მას შემდეგ ჰონდურასი აღარ აღმოჩენილა მსგავსი ყურადღების ცენტრში.

სხვათა შორის, საინტერესო წარმოშობა აქვს სახელწოდება Honduras-ს. სინამდვილეში ის ასე ჟღერს - „ონდურასი“. ამ სახელის ავტორი **ქრისტეფორ კოლუმბია**. როდესაც დიადმა მოგზაურმა ადგილობრივ ნაპირებამდე მიცურა, შემდეგი სიტყვები წამოიძახა: „მადლობა ღმერთს, რომ გავაღწიეთ ამ გაუვალი ადგილებიდან“. ესპანურიდან „გაუვალი ადგილის“ თარგმანი არის - Honduras. ამ ვერსიის სიმართლეს ისიც ადასტურებს, რომ ის კონცხი, რომელთან ახლოსაც ჩაიარა ამერიკის აღმომჩენის ხომალდმა, რუკაზე ასეა აღნიშნული - Gracias a Dios („მადლობა ღმერთს“).

ჰონდურასის გულშემატკივრები მართლაც ღმერთს უნდა სწირავდნენ მადლობას, რადგან 2010 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზებუნებრივი ძალების დახმარებით მოხვდნენ. „კატრაჩოსებს“ სამხრეთ აფრიკის ბილეთების მოპოვებაში ამერიკელები დაეხმარნენ, რომლებმაც ბოლო ტურში კოსტა რიკას დაუდეს კვანტი, არადა, ეს უკანასკნელი უკვე ზეიმობდა ფინალურ ეტაპზე გასვლას. თანაც „იანკებმა“ ეს მეტად სასტიკად და უმოწყალოდ გააკეთეს - ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე გაათანაბრეს - 2:2. საბოლოოდ, შოკირებული კოსტა რიკა პლეი ოფის სათამაშოდ გაემგზავრა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში წააგო ურუგვაისთან, ჰონდურასი კი პირდაპირ მოხვდა 32 რჩეულს შორის.

პირველად და უკანასკნელად ჰონდურასის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე 1982 წელს მოხვდა - ის ესპანეთში კონკაკაფ-ის ზონის გამარჯვებულის რანგში ჩავიდა. ფინალურ ეტაპზე ჰონდურასელთა გამოსვლა დიდ მოულოდნელობად იქცა, პირველ რიგში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლისთვის - ესპანეთმა მსაჯის დახმარებით შეძლო სასიამოვნო ანგარიშის (1:1) მიღწევა. ჰონდურასმა, რომელსაც მაშინ ადგილობრივი სპეციალისტი **ხოსე დე ლა პასი** ავარჯიშებდა, მეორე შეხვედრაშიც ისახელა თავი, როცა გოლები გაცვალა ჩრდილოეთ ირლანდიასთან და ახლო იყო იუგოსლავიასთან მესამე მატჩში კიდევ ერთ სენსაციასთან, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მსაჯმა ლათინოამერიკელთა კარში პენალტი დანიშნა და **ვლადიმირ პეტროვიჩის** გოლმა ჰონდურასელთა შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედები საბოლოოდ დასამარდა.

■ ■ ■

ამის შემდეგ „კატრაჩოსები“ კონკაკაფ-ის ზონის ორი აშკარა ფავორიტის - აშშ-ისა და მექსიკის ნაკრებთა ჩრდილში მოექცნენ, ხოლო მესამე საგზურს ერთმანეთის მიყოლებით უთმობდნენ კონკურენტებს: კანადას, იამაიკას, კოსტა რიკას, ტრინიდადსა და ტობაგოს... წინა შესარჩევ ციკლში მათ ექვსგუნდიან ფინალურ რაუნდამდეც კი ვერ გააღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის სათავეში გამოცდილი ხოსე დე ლა პასი იდგა. შემდეგ გუნდმა ოქროს თასის (კონკაკაფ-ის ჩემპიონატი) 2005 წლის გათამაშება ჩააგდო. ამის შემდეგ დე ლა პასმა სამწვრთნელო კარიერის დასრულება გადაწყვიტა და პოლიტიკაში წავიდა, მისი ადგილი კი 2005 წლის იანვარს **რეინალდო რუედამ** დაიკავა.

კოლუმბიელმა სპეციალისტმა ფიასკო განიცადა 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ჰონდურასის ნაკრებში მისი სამწვრთნელო მოღვაწეობა ძალიან ცუდად დაიწყო. სალვადორთან „ამხანაგური“ მოგების შემდეგ, რუედას გუნდი დამარცხდა ჰაიტისთან (1:3), ვენესუელასთან (1:2) და პანამასთან (2:3), 2007 წელს ოქროს თასზე კი სამარცხვინო მარცხი იწვნია გვადელუპეს ნაკრებთან, რომელიც ფიფა-ს შემადგენლობაში არ შედიოდა. რუედას კარგად ესმოდა თავისი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ მაინც დაჰპირდა გულშემატკივრებს სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებელი ბილეთის მოპოვებას. კოლუმბიელმა დანაპირები დიდი გაჭირვებით აასრულა. პუერტო რიკოს სახით პირველი ბარიერი ჰონდურასმა იოლად დასძლია, სამაგიეროდ მეორე ეტაპზე გვარიანად იწვალა. გადამწყვეტ მატჩში მექსიკასთან „კატრაჩოსებს“ მხოლოდ მოგება აწყობდათ და მათთვის საბედნიეროდ, მეტოქეს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ღირსეული ანგარიშით წაგებაზე.

ჰონდურასს არც ფინალური ეტაპის სტარტი გამოუვიდა და მით უმეტეს გასაკვირი იყო, რომ „აცტეკებთან“ მატჩში მწვრთნელი სერიოზულ რისკზე წავიდა, როცა ორ გამოკვეთილ თავდამხსმელს - **პავონსა** და **კოსტლის** უკან ოთხი შემტევი ნახევარმცველი დაუყენა. მეორე გარდამტეხი მომენტი გახდა დიდი ანგარიშით გამარჯვება კოსტა რიკაზე, რომელიც იმ მომენტისთვის ლიდერობდა ფინალურ ჯგუფს. ეს მოგებაც უკვე ნახსენებ თავდამსხმელთა დუეტის დამსახურება იყო. მექსიკასთან და ამერიკასათან წაგების შემდეგ, ჰონდურასის ბედი სხვა გუნდებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, როგორც გითხარით, ფინიშზე ყველაფერი კარგად აეწყო. მოგვიანებით რუედამ აღიარა, რომ შესანიშნავად აცნობიერებდა თავისი გუნდის მინიმალურ შანსს, მაგრამ ბოლომდე სჯეროდა სასწაულის.

■ ■ ■

ჰონდურასის ნაკრების ბირთვი უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა, ამიტომაც ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდში კარდინალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. მეკარის პოზიციაზე ალტერნატივა არ ჰყავს **ნოელ ვალიადარესას**, რომელმაც მთელი შესარჩევი ტურნირი შეუცვლელად ითამაშა. ნოელი მეკარისთვის არც ისე მაღალია (179 სმ), სამაგიეროდ, შესანიშნავი ნახტომი და რეაქცია გააჩნია. ვალიადარესი კარიერის დასაწყისში დიდხანს ფიქრობდა ამპლუის არჩევაზე. საკუთარი კარის დაცვისა და სხვისი კარის აღების უნარი მან კლუბ „მოტაგუას“ რიგებში წარმოაჩინა - ამ გუნდში ჰონდურასელთა გოლკიპერი 1997-2004 წლებში გამოდიოდა. 1999 წელს პანამერიკულ თამაშებზე ვალიადარესი სწორედ ფორვარდის ამპლუაში მოგვევლინა.

ვალიადარესი არჩევანში არ შემცდარა, რადგან ჰონდურასის ნაკრებს თავდამსხმელი ისედაც ბევრი ჰყავს: ევროპაში ყველაზე ცნობილი **დავიდ სუასოს** გარდა, ეს გახლავთ **კარლოს კოსტლი** - 1982 წლის ჩემპიონატის მონაწილე მცველის **ალან კოსტლის** ვაჟი და ჰონდურასის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი **კარლოს პავონი**, მეტსახელად „მფრინავი ჩრდილი“. სოლიდური ასაკის მიუხედავად, პავონი მხოლოდ საჯარიმოში „მორიგეობით“ არ შემოიფარგლება და კვლავაც შეუძლია ოპონენტის ერთი ერთზე მოტყუება და მისი სისწრაფეში დაჯაბნა.

ნახევარდაცვაში მთავარ როლს თამაშობს ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენი **ამადო გევარა**, რომელიც არა მარტო გუნდის კაპიტანი, არამედ მისი ტვინი და ყველა შეტევის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. სხვათა შორის გევარა, რომელსაც დამოუკიდებელი ხასიათის გამო „მგელი“ შეარქვეს, ხშირად შედიოდა კონფლიქტში ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციასთან, რითაც სხვა მოთამაშეებსაც აჯანყებდა, თუმცა თავისი ნიჭის წყალობით ის მაინც იღებდა მიწვევას ეროვნულ გუნდში.

2010 წლის ჩემპიონატის წილისყრამ ისევ მოუმზადა ჰონდურასს ახალი შეხვედრა ესპანეთის ნაკრებთან, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ხვდება მომავალ ტურნირს. გარდა ამისა, ჰონდურასელების მეტოქეები იქნებიან **მარსელო ბიელსას** ხელში გამოცოცხლებული ჩილესა და შვეიცარიის ნაკრებები. ჯგუფი ძლიერია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰონდურასის ნაკრებისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ და მას მეტოქის შიში არ გააჩნია. 2001 წლის კოპა ამერიკის მეოთხედფინალში მან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი ბრაზილია გამოთიშა ბრძოლას, თანაც ბრაზილიელთა შემადგენლობას სარეზერვო სულაც არ ეთქმოდა. ასე რომ, ევროპის უძლიერესმა ნაკრებმა ზემოდან არ უნდა უყუროს მომავალ მეტოქეს. ყოველ შემთხვევაში, ჰონდურასი პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### ჰონდურასი

ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაცია 1951 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1951 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში 34-ე ადგილი უკავია.

კონკაკაფ-ის ჩემპიონი (1981)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთხელ ითამაშა, ჩაატარა 3 მატჩი: +0=2-1, ბურთების შეფარდება: 2-3

მთავარი მწვრთნელი: რეინალდო რუედა (კოლუმბია)

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: ამადო გევარა (131)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - კარლოს პავონი (57)

ჯგუფური ეტაპი

16 ივნისი. ჰონდურასი-ჩილე (ნელსპრუიტი)

21 ივნისი. ესპანეთი-ჰონდურასი (იოჰანესბურგი)

25 ივნისი. შვეიცარია-ჰონდურასი (ბლუმფონტეინი)

### შესარჩევი ტურნირი

**II რაუნდი**

04.06.08 ჰონდურასი-პუერტო რიკო 4:0 (დე ლეონი, პალასიოსი, სუასო-2)
14.06.08 პუერტო რიკო-ჰონდურასი 2:2 (სუასო, პალასიოსი)

**III რაუნდი**

20.08.08 მექსიკა-ჰონდურასი 2:1 (დე ლეონი)
06.09.08 კანადა-ჰონდურასი 1:2 (ნუნიესი-2)
10.09.08 ჰონდურასი-იამაიკა 2:0 (ნუნიესი, გევარა)
11.10.08 ჰონდურასი-კანადა 3:1 (მარტინესი, კოსტლი, ტომასი)
15.10.08 იამაიკა-ჰონდურასი 1:0
19.11.08 ჰონდურასი-მექსიკა 1:0 (ავტოგოლი)

**ფინალური რაუნდი**

11.02.09 კოსტა რიკა-ჰონდურასი 2:0
28.03.09 ტრინიდადი-ჰონდურასი 1:1 (პავონი)
01.04.09 ჰონდურასი-მექსიკა 3:1 (კოსტლი-2, პავონი)
06.06.09 აშშ-ჰონდურასი 2:1 (კოსტლი)
10.06.09 ჰონდურასი-სალვადორი 1:0 (პავონი)
12.08.09 ჰონდურასი-კოსტა რიკა 4:0 (კოსტლი-2, პავონი, ვალიადარესი)
05.09.09 ჰონდურასი-ტრინიდადი 4:1 (პავონი-2, გევარა, სუასო)
09.09.09 მექსიკა-ჰონდურასი 1:0
10.10.09 ჰონდურასი-აშშ 2:3 (დე ლეონი-2)
14.10.09 სალვადორი-ჰონდურასი 0:1 (პავონი)

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| ნოელ ვალიადარესი | 03.05.77 | ოლიმპია | 18 | - |
| **მცველები** | | | | |
| მაინორ ფიგეროა | 02.05.83 | უიგანი (ინგ) | 16 | - |
| ოსმან ჩავესი | 29.07.84 | ნიუკასლი (ინგ) | 11 | - |
| ემილიო ისაგირე | 10.05.86 | მოტაგუა | 11 | - |
| ვიქტორ ბერნანდესი | 24.05.82 | ანდერლეხტი (ბელ) | 10 | - |
| სერხიო მენდოსა | 23.05.81 | ოლიმპია | 8 | - |
| მაურისიო საბილონი | 11.11.78 | ჰანჯუ (ჩინ) | 8 | - |
| ოსკარ ბონიეკ გარსია | 04.09.84 | ოლიმპია | 5 | - |
| ივან გერერო | 30.11.77 | მოტაგუა | 5 | - |
| მარვინ ჩავესი | 03.11.83 | დალასი (აშშ) | 3 | - |
| მარიო ბეატა | 17.10.74 | მარატონი | 2 | - |
| ერიკ ნორალესი | 11.02.85 | მარატონი | 2 | - |
| სამუელ კაბალიერო | 24.12.74 | ჩანჩუნი (ჩინ) | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| ამადო გევარა | 02.05.76 | მოტაგუა | 17 | 2 |
| ვილსონ პალასიოსი | 29.07.84 | ტოტენჰემი (ინგ) | 16 | 2 |
| ჰენდრი ტომასი | 23.02.85 | უიგანი (ინგ) | 15 | 1 |
| რამონ ნუნიესი | 14.11.85 | ოლიმპია | 14 | 3 |
| დანილო ტურსიოსი | 08.05.78 | ოლიმპია | 13 | - |
| ხულიო სესარ დე ლეონი | 13.09.79 | ტორინო (იტა) | 10 | 4 |
| ედგარ ალვარესი | 09.01.80 | ბარი (იტა) | 4 | - |
| ემილ მარტინესი | 17.09.82 | ინდიოსი (მექ) | 2 | - |
| კარლოს მეხია | 29.09.83 | მარატონი | 2 | - |
| მელვინ ვალიადარესი | 14.07.84 | რეალ ესპანია | 2 | 1 |
| მიგელ კასტილიო | 01.12.86 | მოტაგუა | 2 | - |
| მარიო როდრიგესი | 31.01.75 | რეალ ესპანია | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| კარლოს კოსტლი | 18.07.82 | ვასლუი (რუმ) | 16 | 6 |
| დავიდ სუასო | 05.11.79 | ჯენოა (იტა) | 11 | 4 |
| კარლოს პავონი | 19.10.73 | რეალ ესპანია | 9 | 7 |
| ვალტერ მარტინესი | 28.03.82 | მარატონი | 8 | 1 |
| მილტონ ნუნიესი | 30.11.72 | მარატონი | 2 | - |
| ჯერი პალასიოსი | 01.11.81 | ჰანჯუ (ჩინ) | 1 | - |
| ჯორჯ ველკამი | 09.03.85 | მოტაგუა | 1 | - |
| საულ მარტინესი | 29.01.76 | მოტაგუა | 1 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიურ კომიტეტში



# პოტენციალი მეტს გვავალებს

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ ალმასკომის სხდომაზე არაერთი საინტერესო საკითხი განიხილეს.

სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** ვრცლად მიმოიხილა შარშანდელი შედეგები და, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სარბიელზე გარკვეული წარმატებები გვქონდა, რომლთა დარი შესაძლოა სხვა ქვეყნებისთვის წარმატებადაც ჩაითვალოს, ჩვენ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება, რადგან ქართულ სპორტს მეტი პოტენციალი აქვს და ეს არაერთგზის დამტკიცებულა.

მიმდინარე წელი მნიშვნელოვანია „ლონდონი 2012"-ისთვის მზადებისა და ლიცენზიების მოპოვების თვალსაზრისით. მაღალი რანგის ტურნირებში ჩვენმა ათლეტებმა წლეულს გაცილებით უკეთესი შედეგები უნდა აჩვენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დადგება მწვრთნელთა პასუხისმგებლობის საკითხი. ითქვა, რომ ლონდონის ოლიმპიადისთვის საქართველომ 10-12 ლიცენზიით მეტი უნდა მოიპოვოს, ვიდრე ეს პეკინში იყო. ამის პოტენციალი რეალურად გვაქვს, ამასთან, მაქსიმუმს აკეთებს ყველა სპორტული სტრუქტურაც.

სპორტსმენებისთვის ხელფასების დანიშვნის სისტემაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ სტიპენდია მხოლოდ ტიტულოვან ათლეტებს არ ეძლევათ და ორიენტირი მიღწეული შედეგებია. ამასთან, ყველასთვის პრიორიტეტადაა დასახული მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში.

სეოკ-ი არც არაოლიმპიურ სახეობებს აკლებს ზრუნვას. დაარსდა საჭადრაკო კლუბი „სამაია", რომელიც შარშან ევროპის საკლუბო ჩემპიონატში III ადგილზე გავიდა. „სამაიას" სეოკ-ი აფინანსებს. სეოკ-ის მხრიდან ასევე დიდი ყურადღება ექცევა რაგბის. ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ქართულ ჭიდაობაში შარშან 3 დიდი ღონისძიება ჩატარდა,

ალმასკომზე შეფასდა ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლა. კანადაში 8 სპორტსმენი გვყავდა, რაც ჩვენთვის უპრეცედენტოა. უისტლერის ტრასაზე დატრიალებული ტრაგედიის გათვალისწინებით, ქართველი სპორტსმენების ასპარეზობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. აქვე აღინიშნა, რომ ბათუმში სულ მალე დაიწყება ევროპული სტანდარტების ყინულის დარბაზის მშენებლობა, რაც ფიგურული ციგურაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მსჯელობა გაიმართა „თბილისი-2015"-ის პროექტთან დაკავშირებით. ითქვა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად გაწეულ მუშაობასა და სამომავლო გეგმებზე. კანდიდატი ორია – თბილისი და ჩეხეთის ქალაქი ბრნო. კონტინენტის ეოკ-ები არჩევანს წლეულს, ნოემბერში ბელგრადში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე გააკეთებენ. ნიშანდობლივია, რომ ამას წინათ ჩამოსულმა ეოკ-ის ექსპერტმა თბილისზე დადებითი დასკვნა დაწერა.

ამ დღეებში მადრიდში ესპანეთისა და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტებს შორის გაფორმდება მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმს გია ნაცვლიშვილი და მისი ესპანელი კოლეგა **ალეხანდრო ბლანკო** მოაწერენ ხელს.

სეოკ-ის პრესსამსახური

ძიუდო

აზერბაიჯანის ტურნირი

# ქებაძე ისევ საქებია

## ამჯერად – სხვებიც

იმ დროს, როცა ვაჟთა გუნდები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დამამთავრებელ ეტაპზე გადავიდნენ და ყველას ყურადღება მათკენაა მიპყრობილი, ჩვენი ჭაბუკები დროს არ კარგავენ და შედეგებით გვახარებენ. თანაც, არა მხოლოდ ვაჟები, არამედ გოგოებიც. ცხადია, ორივე ნაკრების წარმატება გვიხარია, მაგრამ გოგოებისას უფრო გამოვარჩევთ, რადგან მათი შედეგიანობა შედარებით მოულოდნელია და სიურპრიზადაც შეიძლება მივიჩნიოთ. თუ ადრე მათგან ერთ მოგებას ვნატრობდით, ახლა ზედიზედ მეორე ტურნირია, ჯილდოებით და საჩემპიონო ტიტულით გვიბრუნდებიან.

ჭაბუკთა გუნდები გუშინ დაბრუნდნენ ბაქოდან, სადაც ჰაზიმ ასლანოვის სახელობის 33-ე ტურნირში წარმატებით იჭიდავეს. გოგოებმა ოთხი მედალი მოიპოვეს, აქედან კი თითო-თითო ოქრო და ვერცხლია, ორი - ბრინჯაო. ბიჭებმა ხუთი ჯილდო ირგუნეს - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო.

ისევე, როგორც მარტში ანთალიაში გამართულ ევროპის თასზე, გოგოებიდან ოქრო ამჯერადაც მძიმეწონოსანმა **ელენე ქებაძემ** მოიპოვა. **გია თენაძის** დამოძღვრილი გუნდიდან ფინალში **გურანდა შოთაძეც** (52) გავიდა, მაგრამ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, თუმცა ეს მისთვის პირველი მედალია და შედეგით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ისე მოხდა, რომ ჩვენებმა ყველაზე დიდი წარმატებით 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავეს - მედლისთვის **მარიამ ჯანაშვილი** და **მარინე ციხელაშვილიც** იბრძოდნენ. ციხელაშვილი დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა, ჯანაშვილმა კი მოიგო და ბრინჯაოც ირგუნა. ჩვენი გუნდიდან მესამეზე **ანა მინდიაშვილიც** (57) გავიდა.

ბიჭებში ჩემპიონები **გიორგი ჯიბლაძე** (81) და **კარლო ნემსიწვერიძე** (+90) გახდნენ. ვერცხლი **უშანგი გასიტაშვილმა** (90) მოიპოვა, ბრინჯაო კი მძიმეწონოსნებმა - **გუგა კიბორძალიძემ** და **გიორგი ჯინჯიხაძემ**. აღსანიშნავია, რომ კიბორძალიძე ახლო წარსულის სახელოვანი ქუთაისელი ძიუდოისტის, უდროოდ გარდაცვლილი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ აკაკი კიბორძალიძის შვილია, რომელმაც კარიერაში პირველი მედალი მოიგო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბიჭების ნაკრებს ბაქოში **ანზორ თენაძე** და **დავით თევდორაძე** ახლდნენ.

ანთალიის ტურნირისა არ იყოს, აქაც ძალიან საინტერესო შედეგი მივიღეთ. ჭაბუკები 25-27 ივნისს ჩეხეთში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადებიან, შესარჩევი ეტაპები კი საქართველოს ჩემპიონატი და ანთალიის ტურნირი იყო. ახლანდელი მედალოსნებიდან ჯიბლაძე საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორია, გასიტაშვილმა კი იქ ფინალი წააგო, მაგრამ მერე ანთალიაშიც გაიმარჯვა და ახლა აქაც. ნემსიწვერიძე საქართველოს ჩემპიონია და ანთალიაშიც ბრინჯაო მოიპოვა. ეტყობა, მან საბოლოოდ გაინაღდა ადგილი საევროპო ნაკრებში, აი, სხვებზე კი ჯერ ვერაფერს ვიტყვით. ბაქოს ტურნირი სიძლიერით ბევრად ჩამოუვარდებოდა ანთალიისას და, სავარაუდოდ, ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი **რამაზ ჩოჩიშვილი** დიდ ყურადღებას არ მიაქცევს, მაგრამ გასიტაშვილის სტაბილურობაც გასათვალისწინებელია.

წერილი კი ისევ ქალთა ნაკრებით გვინდა დავასრულოთ. ფედერაციამ და ამ გუნდის ხელმძღვანელობამ ახალი სტრატეგია შეიმუშავეს - აქცენტი სწორედ მოზარდებზე გადაიტანეს. ეტყობა, მიდგომა ამართლებს, რადგან შედეგებიც მოვიდა. ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ მართებულად შენიშნა გია თენაძემ, სპორტსმენმა განვითარების ყველა საფეხური უნდა გაიაროს, შეუძლებელია, ბავშვი სკოლის გვერდის ავლით პირდაპირ უმაღლესში დავსვათ და შედეგი მოვითხოვოთ. მიდგომა მართლაც სწორია და გვჯერა, რომ აუცილებლად გამოიღებს შედეგს, მაგრამ საწყენია, რომ იმ თაობამ ბევრი დაკარგა. იმ გუნდში იყო ფიზიკური მონაცემებით გამორჩეული რამდენიმე სპორტსმენი, რომელსაც სწორი მიდგომის შემთხვევაში გარკვეული წარმატებების მიღწევა შეეძლო, მაგრამ მიზეზთა გამო ასე არ მოხდა, უმთავრეს პრობლემად კი არასწორი სტრატეგია მიგვაჩნია.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# ოროსნები ერთმანეთის წინააღმდეგ



საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტური

ქართველი მოჭადრაკეები რეგულარულად მონაწილეობენ ოცწლამდელთა მსოფლიოს პირველობებში და ხშირად წარმატებასაც აღწევენ. წლეულს მსგავს შეჯიბრებაში ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად 26 ვაჟი და 28 გოგონა იბრძვის. გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში მეორე ტურის პარტიები გაიმართა. გოგონებში წარმატებით ითამაშეს **სოფიკო გურამიშვილმა, მარიამ დანელიამ, მადონა ბოკუჩავამ** და **სალომე ხაჟომიამ**, რომლებმაც, შესაბამისად, **სალომე სირაძე, ნინო კეკელიძე, ნათია ჯალაბაძე** და **ლელა უგულავა** დაამარცხეს. დაზავდნენ **ნანი უნაფქოშვილი** და **თინათინ ბერიძე**, **ქეთი წანალაშვილი** და **ნინო ანაკიძე**, ხოლო **ფატმან რიჟამაძემ** ანა კუჭავას სძლია.

ვაჟებში თავი გამოიჩინეს **დავით ბენიძემ, ლუკა პაიჭაძემ, დავით ლომსაძემ, გიორგი ნიკოლაშვილმა** და **ზვიად ფაციამ**. გუშინ მათ ბექა ფიფიას, ბექა ახალაძეს, კახაბერ წერეთელს, შალვა ნადირაშვილსა და დეა გოგიშვილს მოუგეს.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: გოგონები. სოფიკო გურამიშვილი (2)-მადონა ბოკუჩავა (2), სალომე ხაჟომია (2)-მარიამ დანელია (2), თინათინ ბერიძე (1,5)-ფატმან რიჟამაძე (1,5), ნინო ანაკიძე (1,5)-ნანი უნაფქოშვილი (1,5). ვაჟები. გიორგი ნიკოლაშვილი (2)-დავით ბენიძე (2), ლუკა პაიჭაძე (2)-დავით ლომსაძე (2), ზვიად ფაცია (2)-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (1,5), ირაკლი ბერაძე (1,5)-ოთარ მანგიაშვილი (1,5).

ვაჟა დანელია

## ნახევარი ქულა დაკარგა

თბილისელი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი** კუალალუმპურის საერთაშორისო ტურნირის სტარტზე ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მესამე ტურში თეთრი ფიგურებით ვიეტნამელ **ნგუენ ვან ჰუის** დაუზავდა და ცხრატურიან მარათონში ნახევარი ქულა დაკარგა, სამაგიეროდ, გუშინ მეოთხე ტურში შავი ფიგურებით მალაიზიელი **ჰონგ ჩუინგ ლიმი** დაამარცხა და ლიდერებისგან მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს. 4-4 ქულით ჩინელი მანდილოსანი **ჰოუ იფანი** და ვიეტნამელი **ნგუენ ენ დუნი** დაწინაურდნენ, რომლებმაც გუშინ, შესაბამისად, უნგრელ **ჩაო სანსა** და გერმანელ **თომას ლუთერს** სძლიეს.

დღეს მეხუთე ტურში ჰოუ იფანი და ენ დუნი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მეორე დაფაზე კი მჭედლიშვილი ინდოელ **ჯეირამ ეშვინს** შეხვდება. ასევე ინტერესს იწვევს **ჯურაბეკ ხამრაკულოვისა** (უზბეკეთი) და **ზიაურ რახმანის** (ბანგლადეში), **დოპჰად ვაპნილისა** (ინდოეთი) და **სუსანტო მეგარანტოს** (ინდონეზია) ორთაბრძოლები.

## ლიდერებს ჩამორჩნენ

დუბაიში მოჭადრაკეთა მე-12 საერთაშორისო ტურნირის მესამე ტურში მეწინავეთა შორის ადგილის შენარჩუნების შანსი საქართველოს ოთხ წარმომადგენელს ჰქონდა, მაგრამ ეს შესაძლებლობა მათ ვერ გამოიყენეს: **კონსტანტინე შანავა** ინდოელ **პარიმარიან ნეგის** დაუზავდა, **მერაბ გაგუნაშვილმა** და **თორნიკე სანიკიძემ**, შესაბამისად, ინდოელ **რაჯუ ლაქსმანთან** და ყაზახ **ნურლან იბრაიევთან** გაიყვეს ქულები, ხოლო **დავით არუთინიანი** სულაც ინდოელ დიდოსტატ ქალბატონთან — **ჰარიკა დრონავალისთან** დამარცხდა. თეთრი ფიგურებით თამაშის უპირატესობა ვერ გამოიყენა **ნანა ძაგნიძემ** — იგი სომეხ **გაბრიელ სარგისიანს** დანებდა. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწიეს **თამაზ გელაშვილმა** და **ლევან ფანცულაიამ**. მათ ინდოელ **როუთ რადმინისა** და აზერბაიჯანელ **ზეინაბ მამედიაროვას** გააჩერებინეს საათები. **სოფიკო ხუხაშვილი** ირანელ **ამირ კოვსარინიას** შეუთანხმდა ყაიმზე. სამი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: შანავა, გაგუნაშვილი, სანიკიძე, გელაშვილი, ფანცულაია — 2,5:2,5, არუთინიანი — 2, ძაგნიძე, ხუხაშვილი — 1,5-1,5 ქულა.

## მხოლოდ ზურაბის იმედად

სალონიკიში გრძელდება მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა ასაკში.

17-წლიანებში წინსვლას განაგრძობს **ზურაბ ჯავახაძე**. გუშინ მან ბულგარელი **გეორგი ველიკოვი** დაამარცხა და 4,5 ქულით კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია. თანამემამულეს მხარი აუბა **გიგა დარსაველიძემ** - ბერძენ **ალექსანდროს ცირონისს** სძლია და 3 ქულას მოუყარა თავი. ამავე ასკის გოგონებში **მერი არაბიძემ** აზერბაიჯანელ **ნარმინ კაზიმოვასთან** წააგო და ერთპიროვნულ ლიდერ **ნარმინ ხალაფოვას** 2 ქულით ჩამორჩება.

15-წლიანებში **ანა შამათავა** მე-5 ტურში აზერბაიჯანელ **ულვია ფატალიევას** დაუზავდა და 3,5 ქულა მოაგროვა, **გიორგი დანგაძეს** კი, რომელსაც გუშინ აზერბაიჯანელმა **ადილ პირვერდიევმა** აჯობა, 2,5 ქულა დარჩა.

13-წლიანებში კვლავ დამარცხდა **ვახტანგ ჩაჩხიანი**. გუშინ მას რუსმა **ვალერი შოშინმა** მოუგო. ამ ასაკის გოგონებში ვერც **მარიამ წულაიამ** იყოჩაღა - იგი ბერძენ **ელენი ცოლაკის** დანებდა.

სასკოლო ჩემპიონატზე დღეს მე-6 ტურის პარტიები გათამაშდება.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# ნახევარფინალისტები დღეს გამოვლინდებიან

წლეულს აგვისტოში გერმანული შტუტგარტი 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. გადამწყვეტ პაექრობებში 16 გუნდი ჩაებმება. მათგან ცხრა ნაკრები (წინა ევროპის პირველობის 8 საუკეთესოს+მასპინძელი) ცნობილია. დანარჩენი შვიდი საგზურისთვის ორთაბრძოლები 7 აპრილს ერთდროულად დაიწყო პოლონეთში, ისრაელსა და პორტუგალიაში. ჩვენი ყურადღება პოლონური გორჟოვისკენ არის მიპყრობილი, სადაც 8 გუნდიდან 3 საუკეთესო შეირჩევა. პირველ ჯგუფში ქართველებმა, როგორც გაუწყეთ, სტარტზე ინგლისელებს სძლიეს 10:9, გუშინ კი მეორე შეხვედრა ტურნირის ფავორიტ სლოვაკებთან თითქმის უბრძოლველად დათმეს 3:20 (0:5, 0:5, 2:4, 1:6). ბრიტანელებმა ბელარუსებს მოუგეს 9:6 (2:4, 2:2, 2:0, 3:0). მეორე ჯგუფში პოლონელებმა დანიელებს სძლიეს 16:4 (4:0, 2:1, 5:2, 5:1), ხოლო ბულგარელებმა უკრაინელები დაჯაბნეს 14:7 (3:2, 4:0, 4:2, 3:3).

ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის ორ-ორი საგზური ნეთანიასა (ისრაელი) და პორტოში (პორტუგალია) ექვს-ექვსი გუნდის მონაწილეობით თამაშდება. გაუწყებთ პირველი ორი ტურის შედეგებს:

B ჯგუფი. ნეთანია. **ჩეხეთი-ჰოლანდია 12:6, რუმინეთი-რუსეთი 10:12, ისრაელი-ჰოლანდია 9:14; რუმინეთი-შვეიცარია 23:3, რუსეთი-ჰოლანდია 8:6, ისრაელი-ჩეხეთი 14:12.**

C ჯგუფი. პორტო. **მოლდოვა-მაკედონია 10:7, სლოვენია-თურქეთი 12:12, პორტუგალია-ირლანდია 17:7; ირლანდია-სლოვენია3:13, თურქეთი-მოლდოვა 12:7, მაკედონია-პორტუგალია 8:16**

დღეს გორჟოვში ითამაშებენ: საქართველო-ბელარუსი, სლოვაკეთი-ბრიტანეთი; დანია-ბულგარეთი, უკრაინა-პოლონეთი. ტურნირის ნახევარფინალისტებს სწორედ ეს მატჩები გამოავლენს.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# ისტორიული შეთანხმება სამხრეთაფრიკელებთან



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

წლევანდელი სეზონის დასაწყისი ქართული რაგბისთვის წარმატებული აღმოჩნდა. ეროვნული ნაკრების მიერ მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებას ევროპის ჩემპიონატზე თვრამეტწლამდელთა ბრინჯაოს მედლები მოჰყვა. ორიდან ორივე შეხვედრა მოიგო სამხრეთ აფრიკაში საქართველოს A ნაკრებმა, თუმცა აქ უფრო ბევრად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა.

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქართული რაგბისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. დავიწყებთ ჩვენი თვრამეტწლამდელების მიერ ტრევიზოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული მესამე ადგილით. თუ არ ვცდები, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სპორტის არცერთ სათამაშო სახეობაში ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი არ აუღია.

მწვრთნელთა შტაბმა, მენეჯერებმა, გუნდის ექიმებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს, სწორი და მიზანმიმართული საქმიანობით შეძლეს დიდი შედეგის მიღწევა. გუნდმა შესანიშნავად ითამაშა საკმაოდ სერიოზულ მეტოქეებთან და ბრინჯაოს მედლები დამსახურებულად მოიპოვა, თუმცა უფრო მეტის მიღწევაც შეეძლოთ და იმსახურებდნენ კიდეც.“

**ლევან მგელაძე**, საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„ევროპის ჩემპიონატზე ექვსი ერის სამი ქვეყნის - საფრანგეთის, ირლანდიისა და იტალიის ნაკრებები ასპარეზობდნენ. იტალიაში გამგზავრების წინ მესამე ადგილი საოცნებო გვქონდა და ეს ოცნება აგვიხდა. მეტიც შეგვეძლო. ნახევარფინალში ირლანდიის ნაკრებს პირველი ტაიმი მოვუგეთ, მაგრამ გამოუცდელობისა და უბრალო უიღბლობის გამო დავმარცხდით. მატჩის მსვლელობისას საკვანძო მოთამაშეები, ცხრა და ათი ნომრები დაგვიშავდნენ. ეს რომ არა, დიდი შანსი გვქონდა, ფინალში გვეთამაშა.

წარმატებაში ყველა მორაგბემ დიდი წვლილი შეიტანა. როდესაც ეს ნაკრები ჩავიბარე, მაშინვე ვთქვი, რომ ასეთი კარგი მონაცემების გუნდთან არასდროს მიმუშავია. ერთ-ერთი საუკეთესო თაობაა და ვფიქრობ, მათ ბევრად მეტი ყურადღება სჭირდებათ.“

**გია გორგასლიძე**, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:

„ლევანმა ირლანდიასთან მატჩზე ცოტა მოკრძალებულად თქვა. ირლანდიას ვუგებდით არა მარტო ანგარიშით, არამედ - თამაშითაც. პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა გვქონდა. ალბათ, გამოუცდელობის ბრალია და ბიჭებმაც ვერ დაიჯერეს, რომ ასეთი ძლიერი გუნდის დამარცხება შეეძლოთ. საბოლოოდ, ეს მატჩი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო თამაშად აღიარეს. ფინალში ირლანდიამ საფრანგეთთან დიდი ანგარიშით წააგო და მათმა მენეჯერმა მითხრა, ეს თქვენი გუნდის ბრალიაო. იმდენი ძალა შეალიეს ჩვენთან მოგებას, ფრანგებთან აღარ ეყოთ, ამასთან, ოთხი წამყვანი მორაგბეც დაუშავდათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გუნდის ქცევა როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. სამ თამაშში მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი დავიმსახურეთ და ამითაც გამოგვარჩიეს.

ამ ტურნირმა მორაგბეებს დიდი გამოცდილება შესძინა. ბიჭები უფრო დაოსტატდნენ. კარგი სკოლა იყო მწვრთნელებისთვისაც. ლევან მგელაძემ და დავით კაკაბაძემ ნაყოფიერად იმუშავეს.“

**ლაშა ლომიძე**, საქართველოს ნაკრების წევრი:

„ტურნირმა ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა. საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწია თამაშმა. გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული, ყველამ მაქსიმუმი გაიღო წარმატების მისაღწევად. ირლანდიასთან გამოუცდელობით დავმარცხდით.“

**მერაბ შარიქაძე**, საქართველოს ნაკრების წევრი:

„ძნელი თამაშები გვქონდა. დაწყება ფსიქოლოგიურად ძალიან გვიჭირდა. მაგალითად, რუმინეთთან 0:7-ს ვაგებდით, ბელგიასთან პირველი ტაიმი 0:15 წავაგეთ, მაგრამ მერე მობილიზებას ვახერხებდით და ორივე თამაში მოვიგეთ.

წამყვანი, ექვსი ერის ქვეყნები - ირლანდია და საფრანგეთი ძირითადად ხელით თამაშში, ტექნიკით გვჯობნიან. გამოცდილებაც ჩვენზე მეტი აქვთ. ერთი სიტყვით, ვიცით, სამუშაო რა მიმართულებით გვაქვს.“

**გიორგი ნიჟარაძე:** „ახლა ჩვენი მიზანია, ახალგაზრდული ნაკრებები მთელი წლის განმავლობაში შევინარჩუნოთ. ცხადია, ეს ფინანსებთანაა დაკავშირებული და ვეცდებით, გამოვნახოთ საჭირო თანხები, რათა საქართველოში მაინც მოვახერხოთ რამდენიმე შეკრება და საწვრთნელი შეხვედრების გამართვა. სხვანაირად მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს კონკურენციას ვერ გავუწევთ.

ის, რომ ქართული გუნდი პირველ ტაიმს აგებს, მერე თამაშის შემობრუნებას ახერხებს და მატჩი გამარჯვებამდე მიჰყავს, ბევრის მთქმელია. ეს ნიშნავს, რომ ბიჭებს მებრძოლი ხასიათი უყალიბდებათ, თუმცა ირლანდიასთან მოგებული პირველი ტაიმის შემდეგაც არ უნდა წაგვეგო. ეს ნამდვილად გამოუცდელობის ბრალია.

ძალიან კარგი თაობა მოდის და ყველანაირად ვეცდებით, განვითარებაში ხელი შევუწყოთ. საამისოდ პირველი ნაბიჯები სამხრეთ აფრიკაში საქართველოს A ნაკრების სტუმრობისას გადაიდგა.

კარგად გახსოვთ, რომ ეს ნაკრები შარშან საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით შეიქმნა. შარშანვე, შემოდგომაზე საქართველოს A ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა უკრაინისა და პოლონეთის ნაკრებებთან და ორივე მოიგო.



საქართველოს A ნაკრები-სტელენბოშის აკადემია

ბევრი ვიფიქრეთ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ გუნდის მომავალი მეტოქეები. ისე გამოდიოდა, რომ ჰოლანდიის, ბელგიისა და მათი დონის გუნდებს ვერ ავცდებოდით. ეს კი ჩვენთვის სასარგებლო არაფრით იქნებოდა, მოთამაშეები დონეს ვერ აიმაღლებდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ, სამხრეთ აფრიკაში გუნდის გამგზავრება რაგბის კავშირის ხელმძღვანელების იქ ვიზიტისთვის დაგვემთხვია.

ტურნირის ორგანიზება ძნელი გამოდგა. დიდი დახმარება გაგვიწიეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ზურაბ დვალიშვილმა და პაატა კალანდაძემ, რომლებმაც სამხრეთ აფრიკაში საქართველოს საპატიო კონსულ ჯერალდ ვომანთან დაგვაკავშირეს. ის არის ასაკოვანი, ძალზე შეძლებული კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო. ამ ადამიანების ძალისხმევა რომ არა, ეს ტურნე არ შედგებოდა.

სამხრეთ აფრიკაში, ვესტერნ პროვანსის რეგიონში, სტელენბოშის აკადემიას ვსტუმრობდით. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სარაგბო კერა, რომელთანაც, შეიძლება ითქვას, ისტორიულ შეთანხმებას მოვაწერეთ ხელი.

ხელშეკრულება ხუთწლიანია. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს A ნაკრები წელიწადში ორჯერ, აპრილსა და დეკემბერში სტელენბოშის აკადემიას ეწვევა. გუნდთან ერთად გაემგზავრება სპეციალისტთა ჯგუფიც. ორი კვირის განმავლობაში როგორც მორაგბეებთან, ისე მწვრთნელებთან, მსაჯებთან და მენეჯერებთან უმაღლესი დონის სპეციალისტები იმუშავებენ.

შევთანხმდით, რომ სტელენბოშის აკადემიაში წელიწადში რამდენჯერმე მივავლენთ ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებსაც სპეციალური პროგრამით მოამზადებენ. ამასთან ცალკე გაემგზავრება ერთი ჯგუფი, სადაც მწვრთნელებთან და მსაჯებთან ერთად ექიმებიც იქნებიან.

ამას გარდა, თვე-ნახევრით ამ აკადემიის სპეციალიტთა ჯგუფი საქართველოში ჩამოვა. ამ დროის განმავლობაში ისინი კლუბებში, ახალგაზრდულ ნაკრებებში, თბილისისა და ქუთაისის სარაგბო აკადემიებში იმუშავებენ.

ვფიქრობ, ყოველივე ეს მალე გამოიღებს ნაყოფს და სულ რაღაც ორ წელიწადში შედეგსაც ვნახავთ. სასიხარულოა, რომ მსოფლიოს უძლიერეს სარაგბო ქვეყანაში, სამხრეთ აფრიკაში დავიმკვიდრეთ ადგილი. დავიმსახურეთ პატივისცემა, დავმეგობრდით და, როცა ყოველივე უკვე თქმული ამუშავდება, პროგრესიც უდავოდ თვალსაჩინო იქნება.

მინდა, საქართველოს A ნაკრების მიერ გამართულ შეხვედრებზეც ვთქვა. სამხრეთაფრიკელები არ ელოდნენ, ჩვენი გუნდი ასეთი მაღალი დონისა თუ იქნებოდა. პირველი შეხვედრა რეგიონის 20-21 წლის მორაგბეებით დაკომპლექტებულ ნაკრებთან გავმართეთ. მოწინააღმდეგეს დამატებული ჰყავდა სამხრეთი აფრიკის შვიდკაცა რაგბის ნაკრების კაპიტანი, რომელიც მატჩისას დაშავდა. კარგი გუნდი იყო, მაგრამ რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დიდი ანგარიშით მოგვიგებდნენ. მათ გასაოცრად აღმოჩნდა, რომ ჩვენი გუნდი ბევრად უკეთესია და 41:20 მოვუგეთ.

მეორე თამაში იმავე გუნდთან, ვესტერნ პროვანსის რეგიონის სპორტის მინისტრის თხოვნით, მის მშობლიურ ქალაქში გაიმართა. აკადემიის სპეციალისტებმა მოკლე დროში, ისე კარგად მოამზადეს, რომ მოწინააღმდეგე ვეღარ ვიცანით. თამაშის მსვლელობისას 7:3-ს ვაგებდით, თუმცა საბოლოოდ მაინც მოვიგეთ - 20:10.

ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ. დავინახე, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ჰყავს. ამიერიდან ეროვნულ გუნდში ვერავინ მოხვდება, თუ A ნაკრებში მზადება არ გაუვლია. ყველამ ჯერ იქ უნდა წარმოაჩინოს, ვინ არის და რა შეუძლია.

საქართველოს A ნაკრები სამხრეთ აფრიკაში წლეულს კიდევ ერთხელ, ნოემბრის ბოლოს გაემგზავრება. მასპინძლები ამჯერად უფრო ძლიერ გუნდებს შეგვახვედრებენ. თუ მოვიგებთ, ცხადია, კარგია, მაგრამ ეს თვითმიზანი არ არის. მთავარია, მორაგბეებმა გამოცდილება მიიღონ, ოსტატობა დახვეწონ.

თუ შევძელით და განვითარების ეს ტემპი შევინარჩუნეთ, თუ ამაღლდება მწვრთნელების, მსაჯების, მენეჯერების დონე, მოგვარდება ინფრასტრუქტურული პრობლემები, გარწმუნებთ, 2015 წლის მსოფლიო თასზე რეალური პრეტენზია გვექნება, საუკეთესო 12 გუნდში მოვხვდეთ“

**ლევან მაისაშვილი**, საქართველოს A ნაკრების მწვრთნელი:

„სამხრეთაფრიკული საწვრთნელი შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. სტელენბოშის აკადემიის სპეციალისტებთან ერთად იმდენად ინტენსიურად ვმუშაობდით, რომ ათმა დღემ როგორ გაირბინა, ვერც შევამჩნიეთ. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და მორაგბეებმა დიდი დატვირთვა მიიღეს.

ორი მატჩი ვითამაშეთ და ორივე რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პირველ შეხვედრაში სათანადოდ არ დაგვაფასეს. მერე გარკვეული დასკვნები გააკეთეს და საქმეს ბევრად სერიოზულად მიუდგნენ. ერთი ხანობა მდევრის როლშიც ვიყავით, მაგრამ თამაში მაინც საჩვენოდ შემოვაბრუნეთ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ შერკინებამაც და უკანა ხაზმაც ერთნაირად კარგად ითამაშეს. გუნდი კარგად დაბალანსებული გამოიყურებოდა.“

**ზვიად მაისურაძე**, საქართველოს A ნაკრების კაპიტანი:

„ვფიქრობ, სტელენბოშის აკადემიასთან ხელშეკრულების გაფორმებით უდიდესი საქმე გაკეთდა. ყველაზე მაგარი სარაგბო ქვეყნის ყველაზე მაგარ რეგიონში ვიყავით და ძალიან კარგი იქნება, თუ ამის საშუალება ჩვენს მომავალ თაობებსაც მიეცემათ“.

**ლექსო გუგავა**, საქართველოს A ნაკრების წევრი:

„ყველაზე მთავარი, რაც სამხრეთ აფრიკაში ვნახე, ის არის, რომ რაგბი იქ მეცნიერების დონეზეა აყვანილი. ძალიან კარგია, რომ მალე გაცვლითი პროგრამა ამუშავდება. დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როცა ისეთი გრანდების გვერდით, როგორებიც არიან სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია და ავსტრალია, საქართველოსაც მოიხსენიებენ“

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ვარსკვლავთა მატჩი

# თორმეტი ცამეტის წინააღმდეგ



გუშინდელ პრესკონფერენციაზე... ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ დასრულდა ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა. სუპერლიგის საიტზე მიმდინარე გამოკითხვას „ოლ სტარზში" მოთამაშე გუნდების ხუთეულები უნდა გაერკვია. **მიხეილ ბერუაშვილის** გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ: **კოტე ტულუში** (ენერჯი), **დუდა სანაძე** (დინამო), **ანატოლი ბოისა** (ენერჯი), **გიორგი მარკოიშვილი** (შსს) და **აკაკი დვალიშვილი** (ენერჯი). ამ ხუთეულს **მიხეილ კობეშავიძის** კრებული დაუპირისპირდება: **ბექა წივწივაძე** (აგრარული), **მერაბ ბოქოლიშვილი** (სამედიცინო/აკადემია), **ნოდარ თენიეშვილი** (სამედიცინო/აკადემია), **გიგი ბარბაქაძე** (აგრარული) და **რიჩარდ მათიაშვილი** (აგრარული).

მოგეხსენებათ, თითოეულ გუნდში 12 კალათბურთელი უნდა იყოს. ამიტომ სათადარიგოები თავად მწვრთნელებმა დაასახელეს. მათი გადაწყვეტილების შესახებ გუშინ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ.

„ენერჯის" თავკაცმა მიხეილ ბერუაშვილმა განვლილი დღესასწაულები მოგვილოცა და აღნიშნა, რომ მისთვის მოთამაშეთა შერჩევა ძალიან რთული იყო...

*- „ოლ სტარზში" თამაშს არაერთი კალათბურთელი იმსახურებს, მაგრამ მხოლოდ შვიდი უნდა დამესახელებინა. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ჩემს გუნდში სათადარიგოებად ითამაშებენ: გიორგი გაფრინდაშვილი, დომონიკ ტილფორდი, დავით ბარბაქაძე, გიორგი ნიკოლაძე, სოსო შერმადინი, ლევან მიქაბერიძე და ილია ლონდარიძე. ვიმედოვნებ, დარბაზში მოსული ქომაგი საინტერესო სანახაობას იხილავს.*

მეორე გუნდის მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ გამონაკლისზე ილაპარაკა:

*- სათადარიგოების შერჩევა მეც ძალიან გამიჭირდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მატჩის ორგანიზატორებს გამონაკლისის დაშვება ვთხოვე - იქნებ შემადგენლობაში 13 კალათბურთელის შეყვანის ნება დამრთოთ-მეთქი. საბოლოოდ 8 სათადარიგო შევარჩიე: ტარიელ თავართქილაძე, ბესიკ ლეჟავა, ტატო ჩაჩიბაია, რევაზ დიდია, დავით იმნაძე, გიორგი კვეტენაძე, ირაკლი გულისაბედაშვილი და ბექა ბექაური. აქვე მინდა დავამატო, რომ ვარსკვლავთა მატჩის ქუთაისში გამართვას მივესალმები. ასეთმა აქციებმა რეგიონებში კალათბურთი უნდა გამოაცოცხლოს. იმედია, ქუთაისის მაგალითს სხვა ქალაქებიც მიბაძავენ.*

სუპერლიგის ხელმძღვანელმა **გიორგი ზაბახიძემ** აღნიშნა, რომ ქუთაისის სპორტის სასახლე 10 აპრილის მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია, ხოლო ზედიზედ მეორე წელს „ოლ სტარიზს" იმერეთის დედაქალაქში გამართვამ ხელი უნდა შეუწყოს რეგიონში კალათბურთის განვითარებას.

ასე და ამგვარად, „ოლ სტარზი" 10 აპრილს გაიმართება. მატჩის შესვენებებისას ჩატარდება ჩატენებისა და სამქულიანების კონკურსი. ჩატენებში ერთმანეთს გაეჯიბრებიან: აკაკი დვალიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, **დავით ბარბაქაძე** და გიგი ბარბაქაძე.

სამქულიანების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ: გიორგი მარკოიშვილი (შარშანდელი გამარჯვებული), **გიორგი ნიკოლაძე, ფარნაოზ გურული, ბესიკ ლეჟავა** და კოტე ტულუში.

პრესკონფერენციას ესწრებოდა ჩატენვების კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული დავით ბარბაქაძე:

- ზემოდან გდებებში ორჯერ გავიმარჯვე. ვეცდები, 10 აპრილსაც მოვიგო და ჰეთ-თრიკი შევასრულო. კონკურენტი ჩემი ძმა, გიგი იქნება. იგი ნერვებს მიშლის, მეუბნება გაჯობებო, მაგრამ აქამდე ერთხელაც ვერ მოუგია...

ბოლოს გთავაზობთ გამოკითხვის სრულ შედეგებს.

**მიხეილ ბერუაშვილის გუნდი**

| უკანახაზელები | |
|---|---|
| **დუდა სანაძე** | **1432 ხმა** |
| **კოტე ტულუში** | **958** |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 932 |
| დომონიკ ტილფორდი | 835 |
| ნოდარ სიგუა | 678 |
| დავით არწივიძე | 597 |
| მიხეილ ჩიტაშვილი | 572 |
| გიორგი ნიკოლაძე | 496 |
| დავით ბერიშვილი | 488 |
| შალვა კოხრეიძე | 475 |
| ლევან ცეკვავა | 391 |
| ირაკლი ბერიშვილი | 360 |

| ფორვარდები | |
|---|---|
| **ანატოლი ბოისა** | **1290** |
| **გიორგი მარკოიშვილი** | **1003** |
| დავით ბარბაქაძე | 889 |
| მიხეილ ფანჩულიძე | 595 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 551 |
| ჟულიეტ ტუჯანი | 523 |
| ირაკლი კეიდია | 483 |
| გიორგი პირველაშვილი | 456 |
| შიო ხეცურიანი | 453 |
| ვახტანგ მინაშვილი | 429 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 397 |
| ლუკა შანიძე | 325 |
| მიხეილ ჟოჟუა | 292 |
| სოსო შერმადინი | 267 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 261 |

| ცენტრები | |
|---|---|
| **აკაკი დვალიშვილი** | **1293** |
| სერგო ათუაშვილი | 1086 |
| ლადო სუხიშვილი | 902 |
| ილია ლონდარიძე | 826 |

**მიხეილ კობეშავიძის გუნდი**

| უკანახაზელები | |
|---|---|
| **მერაბ ბოქოლიშვილი** | **1441** |
| **ბექა წივწივაძე** | **1042** |
| სოსო ლეჟავა | 965 |
| ბესიკ ლეჟავა | 947 |
| ტატო თავართქილაძე | 695 |
| გიორგი მარხვაშვილი | 596 |
| ბუბა ბერიშვილი | 595 |
| ირაკლი გულისაბედაშვილი | 519 |
| თემურ კანკია | 508 |
| ირაკლი სორდია | 469 |
| ვანო მაისურაძე | 437 |

| ფორვარდები | |
|---|---|
| **ნოდარ თენიეშვილი** | **1406** |
| **გიგი ბარბაქაძე** | **1344** |
| რეზო დიდია | 1128 |
| კახა მუმლაძე | 1060 |
| გიორგი კვეტენაძე | 1031 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 911 |
| ლაშა კეშელავა | 670 |
| ტატო ჩაჩიბაია | 664 |

| ცენტრები | |
|---|---|
| **რიჩარდ მათიაშვილი** | **1190** |
| ბექა ბექაური | 874 |
| გოგა ჯავახიშვილი | 585 |
| დავით იმნაძე | 514 |
| პლასიდე როდუმტა | 380 |
| რევაზ ათანელიშვილი | 308 |
| მამუკა ბოლქვაძე | 256 |

ვაჟა სიმონიშვილი




ლეგიონერი

# ვლადიმერ ბოისა ერთპიროვნული ლიდერია

ხორვატიის ჩემპიონატში მეორე ეტაპის მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. **ვლადიმერ ბოისას** „ზადარმა" დედაქალაქურ „ზაგრებს" უმასპინძლა და 29-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ტრავმის მოშუშების შემდეგ საუკეთესო მატჩი ითამაშა. მან 28 წუთში 7-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 12 ქულას 2-2 მოხსნა-პასი მიამატა. მატჩის ბომბარდირი ზადარელი **როკ სტიპჩევიჩი** გახდა - 29 ქულა.

„ზაგრებთან" გამარჯვების შემდეგ ბოისას თანაგუნდელები სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდნენ. მათ ხუთივე მატჩი მოგებული აქვთ, ხოლო უშუალო კონკურენტ „ციბონას" 4 გამარჯვება და 1 წაგება უწერია.

ხორვატიის ჩემპიონატის მომდევნო ტური 13 აპრილს გაიმართება. „ზადარი" „ტრიგორს" ესტუმრება.

■ ■ ■

სლოვენიის პირველობაზე მესამედ დამარცხდა **დავით უგრეხელიძის** „კუპერი". ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა კუპერელებმა მეხუთე ტურში „პოლზელას" უმასპინძლეს და ბოლო წუთებზე 79:82 დათმეს.

დათომ, წინა შეხვედრის მსგავსად, 15 წუთი ითამაშა და 4 პერსონალური შენიშვნა მიიღო. მისმა ერთადერთმა ორქულიანმა მიზანს მიაღწია და უგრეხელიძის მონაგარმაც 2-2 ქულა-მოხსნა შეადგინა.

10 აპრილს „კუპერი" „ელექტრას" ეწვევა.

■ ■ ■

პოლონეთის ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **გიორგი ცინცაძის** „სოპოტმა" - შინ „კატოვიცე" 71:69 დაამარცხა. ამ გამარჯვების წყალობით სოპოტელებმა მესამეადგილოსან „პოლფარმასთან" ჩამორჩენა ერთ მოგებამდე შეამცირეს.

ზედიზედ მეორე მატჩია, თანაგუნდელებს ვერ ეხმარება ცინცაძე, რომელსაც კოჭის ტრავმა აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# ტატიშვილი გოვორცოვამ გააჩერა

20 წლის **ანა ტატიშვილმა** კარიერაში საუკეთესო ტურნირი ჩაატარა, WTA-ს სერიის „MPS გრუპ ჩემპიონშიპში", რომლის საპრიზო ფონდიც 220 ათასი ამერიკული დოლარია და რომელიც ფლორიდაში, პონტა ვედრა ბიჩზე იმართება. საკვალიფიკაციო ბადეში ჩვენებურმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სამი, რეიტინგში მასზე მაღლა მდგომი ჩოგბურთელი, პორტუგალიელი **ლარჩერ დე ბრიტო** (122), ავსტრალიელი **მონიკ ადამჩაკი** (141) და ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკი** (143). ანამ ამის შემდეგ კიდევ უფრო გააოცა ჩოგბურთის მოყვარულნი, როცა პირველ წრეში მსოფლიოს 53-ე ჩოგანი, სლოვაკი **მაგდალენა რიბარიკოვა** დაამარცხა.

გუშინ ფლორიდაში, პონტა ვედრა ბიჩის ცენტრალურ კორტზე ანა ტატიშვილი მერვედფინალში ბელარუს **ოლგა გოვორცოვას** (51) დაუპირისპირდა. სტატისტიკა 22 წლის გოვორცოვას სასარგებლოდ მეტყველებდა, სწორედ ის იყო მატჩის აშკარა ფავორიტი. ანა კარიერაში პირველად ეთამაშებოდა ბელარუსს. პირველივე სეტი ქართველისთვის მეტისმეტად ცუდად დაიწყო, ტატიშვილმა ზედიზედ სამი გეიმი დათმო (ორი საკუთარ მოწოდებაზე), თუმცა მერე გაიბრძოლა და გოვორცოვას მოწოდება მშრალად მოიგო. სულ ეს იყო, ანამ მეტი წინააღმდეგობა პირველ სეტში მეტოქეს ველარ გაუწია - 2:6. მეორე სეტიც საკუთარი მოწოდების წაგებით დაიწყო ქართველმა ჩოგბურთელმა, მაგრამ იქვე აულო მეტოქეს მოწოდება. სამწუხაროდ, ანამ შემდეგი (საკუთარი) გეიმი წააგო, მეტოქისა კი უკვე ველარ მოიგო და ბელარუსი 3:1 დაწინაურდა. ამის შემდეგ ქართველის მცდელობას შედეგი აღარ მოჰყოლია, ანამ 2:6, 2:6 დათმო მატჩი.

ტატიშვილმა ამ ტურნირში თამაშით 2 900 დოლარი და 30 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა, რაც მას ორშაბათს საქართველოს პირველ ჩოგნობას დაუბრუნებს. ანა დაახლოებით 155-ე ჩოგანი გახდება, რითაც კარიერის საუკეთესო ნიშნულს მიუახლოვდება (შარშან, მარტში მსოფლიოს 150-ე ჩოგანი იყო).

ბელგიურ ტორჰაუში 50-ათასიანი ტურნირის ერთეულთა ბადეს დაემშვიდობნენ **მაკა ჩახნაშვილი** (211) და **სოფიო შაფათავა** (357). ჩვენმა თანამემამულეებმა პირველივე წრეში ვერ ივარგეს. მართალია, მაკამ ავსტრიელ **ნიკოლა ჰოფმანოვას** (166) დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა - 6:7 (2), 5:7. შაფათავამ კი ხეირიანი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია მე-6 ნომრად განთესილ ბრიტანელ **ანე კეტავონგს** (116) - 2:6, 1:6. მაკა ჩახნაშვილი ტორჰაუში რჩება, სადაც **ანა იოვანოვიჩთან** (263) ერთად წყვილთა თანრიგში ბრწყინვალედ ასპარეზობს. მათ მეოთხედფინალში იოლად დაჯაბნეს ჰოლანდიურ-ბელგიური დუეტი (**სხუურსი, დისტელმანსი**) - 6:2, 6:1. ნახევარფინალში ქართულ-სერბული წყვილი გერმანულს (**ბარტელი, ოზგა**) ეთამაშება.

ეგვიპტეში, სუეცის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) სამმა ქართველმა წარმატებით გაიარა პირველი წრე. მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (436) რუს **იულია პარასიუკს** (859) აჯობა - 6:3, 6:2. მე-8 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (449) მასპინძელ **იასმინ ჰამზავის** მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა - 6:1, 6:0. მოიგო **ეკა გორგოძემაც** (550), რომელმაც იტალიელ **ანდრეა-როქსანა ვაიდენაუს** (645) აჯობა - 6:1, 4:6, 6:3.

ქართულმა ტრიომ სუეცის ტურნირის მეორე ბარიერიც წარმატებით დასძლია. ქვაცაბაიამ ორ სეტში რუმინელ **იონელა იოვას** (830) მოუგო - 6:3, 6:4. მიქაძემ ესპანელი **კლაუდიო ლორენსო ფერნანდესი** (902) დაამარცხა - 6:2, 6:2, ხოლო გორგოძემ მე-7 ნომრად განთესილ რუმინელ **სიმონა-იულია მატეის** (465) აჯობა - 6:2, 6:2. მეოთხედფინალში ქვაცაბაიას მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი რუსი **მარტა სიროტკინა** (364) იქნება. მიქაძე მე-2 ნომრად განთესილ ინდოელ **პუჯაშრე ვენკატეშას** (351) ეთამაშება, გორგოძის მეტოქე კი ესტონელი **მარგიტ რუუტელია** (858). წყვილთა თანრიგს მხოლოდ ერთი ჩვენებური შემორჩა, თათია მიქაძე უკრაინელ **ანასტასია ხარჩენკოსთან** (619) ერთად ნახევარფინალშია გასული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართველი NBA-ში

# 50-ე მოგების მოლოდინში




კაპიტან, **ჯო ჯონსონის** ტრავმა სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა „ატლანტა ჰოქსისთვის". ჯორჯიელებმა ჯოს გარეშე მეორე მატჩი ჩაატარეს და მეორედ დამარცხდნენ. ამჯერად აღმოსავლეთის კონფერენციის აუტსაიდერ „დეტროიტთან" - 88:90. „ქორებს" ერთადერთი გასამართლებელი საბუთი აქვთ - მატჩი დეტროიტში ჩატარდა.

ამ წაგებით ისარგებლა „ატლანტას" უშუალო კონკურენტმა „ბოსტონ სელტიქსმა", „ტორონტოს" 115:104 სძლია და აღმოსავლეთის კონფერენციის სატურნირო ცხრილში „ჰოქსს" დაეწია. ორივეს 49-49 მოგება და 29-29 წაგება აქვს.

**ზაზა ფაჩულიას** ბარძაყის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. იგი მოედანს დეტროიტში დაუბრუნდა და 12 წუთიც ითამაშა. მის ანგარიშზე 3 ქულა (4-დან 3 საჯარიმო), 3 მოხსნა და 1 დაფარებაა.

„ატლანტა ჰოქსი" მომდევნო შეხვედრას 9 აპრილს ჩაატარებს, „ტორონტოს" უმასპინძლებს. საინტერესოა, 9-ში ჯორჯიელები მოგებებს დაამრგვალებენ თუ წაგებებს...

**დეტროიტი–ატლანტა 90:88**

ზაზა ფაჩულია: 12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება, 1 ფოლი.

| I პერიოდი | |
|---|---|
| 03:43 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:52 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:59 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:58 | მოხსნა: შეტ-3, დაც-0 |
| 00:53 | საჯარიმოები: 2/1 (1 ძ, 20:18) |

| II პერიოდი | |
|---|---|
| 08:20 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 07:57 | ფოლი: 1 |
| 07:35 | საჯარიმოები: 2/2 (3ძ, 32:30) |
| 07:06 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

| IV პერიოდი | |
|---|---|
| 08:53 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 07:53 | დაფარება: 1 (ბრაუნს დაუფარა) |
| 05:50 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

**გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. გეგუჩაძე; 7. გუცაევი; 8. დოროხოვი; 10. სნუკერი; 11. ვისოლი; 12. გოგია; 14. ობოლაძე; 15. კიევი; 16. ატაცი; 18. გოკიელი; 19. ლორია; 20. ფაჩულია; 24. ალონჟი; 25. ხარება; 26. თსუ; 27. "სიონი"; 28. "ანჟი".

**შვეულად:** 1. გედევანიშვილი; 2. გერასიმოვა; 3. ჩოხელი; 4. რურუა; 5. ხაბელოვი; 6. ქერივიშვილი; 9. ისელიძე; 13. ბლიცი; 15. კაკულია; 17. ტრიკონი; 18. გოჩა; 21. არეკნი; 22. ალამი; 23. "აჟენი"; 25. შუბი.

ხელბურთი

ეროვნული ჩემპიონატი

# ბათუმს სენსაციამდე მცირედი დააკლდა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. საქართველოს მოქმედ ჩემპიონ სსაუ/"თბილისს" "ბათუმმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და კინაღამ სენსაციაც მოახდინა – დაძაბული მატჩი ჩემპიონთა მინიმალური გამარჯვებით, 31:30 დასრულდა. მეორე შეხვედრაში "ქუთაისმა" თბილისის "ქარიშხალას" დამაჯერებლად, 42:28 სძლია.

დღეს ჩემპიონატის მეორე ეტაპი დასრულდება. 13 საათიდან "ქარიშხალა" "ბათუმს" შეხვდება, სსაუ/"თბილისი" კი ფოთის "ფაზისს" დაუპირისპირდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დრაფტზე ნომრები ჩამოარიგეს

## კეით ტკაჩუკმა კარიერა დაასრულა



ჰოკეის ეროვნული ლიგის ვეტერანი ფორვარდი **კეით ტკაჩუკი** ამ სეზონის შემდეგ დაასრულებს აქტიურ სპორტულ კარიერას. „სენტ ლუის ბლუზს" პლეი ოფში მოხვედრის ყველანაირი შანსი აქვს დაკარგული, ასე რომ, ტკაჩუკს სპორტიდან წასვლამდე სამი მატჩის ჩატარებაღა დარჩა.

ტკაჩუკმა გუშინ გამოაცხადა, რომ ეს სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში. ამერიკელს 19 წელი აქვს გატარებული ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. მას რეგულარულ ჩემპიონატში 1200 მატჩი დაუგროვდა, სულ 538 შაიბა გაიტანა და 525 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. „სენტ ლუისის" გარდა, კეითს „ვინიპეგ ჯეტსში", „ფინიქსსა" და „ატლანტაში" უთამაშია.

38 წლის ტკაჩუკი ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა და ხუთჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

■ ■ ■

გუშინ ჰოკეის ეროვნული ლიგის სკაუტთა ბიურომ წლევანდელი დრაფტის მონაწილეთა სია შეადგინა. ნიჭიერი ჰოკეისტების ლატარია ლოს ანჯელესში გაიმართება.

როგორც მოსალოდნელი იყო, დრაფტის პირველი ნომერი გახდა „პლიმუთ უოლერსის" ფორვარდი **ტაილერ სეგუინი**, მეორე იქნება თავდამსხმელი **ტაილერ ჰოლი** „უინძორიდან", შემდეგ მოდის კიდევ ერთი ფორვარდი **ბრეტ კონოლი**...

შეგახსენებთ, რომ დრაფტის პროცედურის წინ გაიმართება NHL-ის სამ ყველაზე უარეს გუნდს შორის წილისყრა (ამ მომენტისთვის ეს გუნდები არიან - „ედმონტონი", „ტორონტო" და „ტამპა ბეი"), რომლებიც ერთმანეთში გაითამაშებენ პირველი სამი ნომრის არჩევის თანამიმდევრობას. ეს პროცედურა სპეციალურად ტარდება, რათა გუნდებმა რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს სპეციალურად არ წააგონ შეხვედრები.

აი, როგორ გამოიყურება მომავალი დრაფტის პირველი ათეული:

1. ტაილერ სეგუინი (ფორვარდი, „პლიმუთი")
2. ტეილორ ჰოლი (ფორვარდი, „უინძორი")
3. ბრეტ კონოლი (ფორვარდი, „პრინს-ჯორჯი")
4. ერიკ გადბრენსონი (მცველი, „კინგსტონი")
5. კიმ ფაულერი (მცველი, „უინძორი")
6. ბრენდონ გორმლი (მცველი, „მონქტონი")
7. მარკ პაისიკი (მცველი, „ედმონტონ ოილ კინგსი")
8. ემერსონ ეტემი (ფორვარდი, „მედისინ ჰეტი")
9. დერეკ ფორბორტი (მცველი, აშშ-ის იუნიორთა ნაკრები)
10. რაიან იოჰანსენი (ფორვარდი, „პორტლენდი")

ევროპელ ჰოკეისტებს შორის დრაფტზე ყველაზე მაღალი ნომერი ფინეთის ჰიფკ-ის ფორვარდ **მიკაელ გრანლუნდს** ექნება.

### რეინჯერსი-ტორონტო 5:1

3:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 კრისტენსენი-7 (დუბინსკი-23), 2:0 პროსპალი-20 (ო. იოკინენი-35, როჟსივალი-19), 3:0 კრისტენსენი-8 (გაბორიკი-43, დუბინსკი-24), 3:1 ფანოფი-11 (ჯ. მიტჩელი-15, გუნარსონი-11), 4:1 ო. იოკინენი-15 (პროსპალი-38, პარენტო-5), 5:1 ვოროსი-3 (პრუსტი-8, ანისიმოვი-14).

### დეტროიტი-კოლამბუსი 4:3

1:2, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 კრონვალი-7 (ბერტუცი-26, ბ. სტიუარტი-16), 1:1 უმბერგერი-23, 1:2 პალსონი-3 (ბლუნდენი-2, კანა-1), 2:2 ჰოლმსტრიომი-23 (ზეტერბერგი-46, კრონვალი-15), 3:2 ჰოლმსტრიომი-24 (ლიდსტრიომი-40, ფრანცენი-11), 4:2 კლირი-15 (ჰელმი-12), 4:3 ბრუნდენი-2 (კანა-2, პალსონი-13).

### ჩიკაგო-სტ. ლუისი 6:5

4:1, 2:1, 0:3

გოლები: 0:1 პერონი-20 (ენდი მაკდონალდი-30, ოში-30), 1:1 კეიტი-14 (ვერსტეეგი-22, ბიფულინი-15), 2:1 იგერი-7 (პ. კეინი-56, ბიფულინი-16), 3:1 ბიკელი-3 (ლედი-20, ჰენდრი-6), 4:1 ვერსტეეგი-19 (შარპი-41), 5:1 ლედი-17 (ვერსტეეგი-23, კეიტი-54), 6:1 ჰენდრი-2 (სოპელი-6, ვერსტეეგი-24), 6:2 პოლაკი-4 (ბეკსი-30), 6:3 ვინჩესტერი-3 (ე. ჯონსონი-29, ბეკსი-31), 6:4 ოში-18 (კარია-24, ენდი მაკდონალდი-31), 6:5 ბოიესი-14 (ბულიტი).

### ედმონტონი-კოლორადო 5:4 (ო)

2:3, 1:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 დუშენი-24 (ლაილსი-24, რ. უილსონი-16), 0:2 რ. ო'რაილი-8 (მაკლეოდი-10, სალეი-4), 0:3 სვატოსი-7 (ტაკერი-14, ქუინსი-23), 1:3 ჰორკოფი-13 (გილბერტი-22, მორო-9), 2:3 პენერი-32 (გილბერტი-23), 3:3 კომრი-10 (ო'სალივანი-22, ა. ჯონსონი-6), 4:3 კოლიანო-10 (პენერი-30), 4:4 ჰენდრიქსი-9 (მაკლეოდი-11, ლაილსი-25), 5:4 რაიან უიტნი-6 (პენერი-31, კოლიანო-17).

### ფინიქსი-ნეშვილი 5:2

1:1, 1:0, 3:1

გოლები: 0:1 შ. უებერი-16 (რ. სუტერი-33, არნოტი-27), 1:1 კორპიკოსკი-5 (ვინიკი-15), 2:1 ვოლსკი-23 (იენდლი-28), 2:2 სალივანი-17 (ფრანსონი-15, დუმონი-28), 3:2 პიატი-11 (სტემპნიაკი-20, ლეპისტო-10), 4:2 დოუნი-18 (ვოლსკი-40, იენდლი-29), 5:2 ნოკელაინენი-5 (ფიდლერი-21, კორპიკოსკი-6).

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კრისებმა რეგულარული დაასრულეს

## მანუ ჯინობილი სამი წლით სპურსში დარჩება

უიღბლო გამოდგა წლევანდელი სეზონი „ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ლიდერ **კრის პოლისთვის**. ამ კალათბურთელმა რეგულარული ჩემპიონატის ორი თვე ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა, ახლა კი ირკვევა, რომ ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა ბოლო ვარჯიშზე მარჯვენა ხელის შუა თითი მოიტეხა და სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა თავის გუნდს.

„ჰორნეტსის" ოფიციალური განცხადების თანახმად, პოლს სამკურნალოდ ოპერაცია არ დასჭირდება და ის შვიდი კვირის შემდეგ შეძლებს ვარჯიშების განახლებას..

ამ სეზონში პოლმა 45 მატჩის ჩატარება მოასწრო, რომლის დროსაც საშუალოდ 18.7 ქულა, 10.7 პასი და 2.1 ჩაჭრა დააგროვა.

ასევე გუშინ გაირკვა, რომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლომდე ვერ ითამაშებს „ტორონტო რეპტორზის" ლიდერი **კრის ბოში**. პეკინის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერთ-ერთ ბოლო ტურში ცხვირი გაიტეხა და ოპერაცია დასჭირდა. ექიმებმა ბოშს ათდღიანი შესვენება გამოუწერეს, ხოლო თუ კანადური კლუბი პლეი ოფში გასვლას შეძლებს, კრისი მოახერხებს გუნდისთვის დახმარების გაწევას.

■ ■ ■

თითქმის გადაწყვეტილია, რომ არგენტინელი **მანუ ჯინობილი** თავის ამჟამინდელ კლუბში - „სან ანტონიო სპურსში" გააგრძელებს კარიერას. ამ მომენტისთვის კალათბურთელსა და კლუბს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა და უახლოეს დღეებში მხარეები ოფიციალურად გამოაცხადებენ კონტრაქტის გაფორმების შესახებ.

სავარაუდოდ, არგენტინელი მცველი სამი წლით გაახანგრძლივებს „სპურსთან" ხელშეკრულებას და ამის სანაცვლოდ 40 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტის ოფიციალური დეტალები ამ კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

### ინდიანა-ნიუ იორკი 113:105

38:25, 34:34, 20:31, 21:15

ი: გრეინჯერი (33+7 მოხსნა+5 პასი), მერფი (17+12 მოხსნა), ჰიბერტი (15), დანლივი (13+7 მოხსნა), პრაისი (11).

ნ-ი: დაგლასი (20), გალინარი (17), ლი (16+16 მოხსნა), ბერონი (15+9 მოხსნა), უოკერი (15), დუჰონი (10).

### ტორონტო-ბოსტონი 104:115

25:30, 29:22, 22:30, 28:33

ტ: უიმსი (21), რაიტი (17), ჯეკი (17+5 პასი), ბარნიანი (17), დეროზანი (14).

ბ: რონდო (21+7 პასი), პირსი (20+5 პასი), გარნეტი (19), ალენი (18), ფინლი (14).

### დეტროიტი-ატლანტა 90:88

25:20, 23:28, 17:24, 25:16

დ: გორდონი (22+7 პასი), ბინუმი (17), დეი (13+10 მოხსნა), ვილანუევა (10).

ა: კროუფორდი (19+5 პასი), უილიამსი (17+9 მოხსნა), ჰორფორდი (14+12 მოხსნა+6 პასი), ბიბი (14).

### მაიამი-ფილადელფია 99:95

27:25, 26:22, 24:30, 22:18

მ: უეიდი (22), რაიტი (19), აროიო (15), ჩელმერსი (12+5 პასი), ჰასლემი (11+11 მოხსნა).

ფ: დალემბერი (19+16 მოხსნა), იგუოდალა (16+6 პასი), კაპონო (13), უილიამსი (12), გრინი (10).

### მილუოკი-ნიუ ჯერსი 108:89

33:38, 25:20, 24:17, 26:14

მ: სალმონსი (22), სტეკპაუსი (18), ილიასოვა (15+9 მოხსნა), ტომასი (12+10 მოხსნა).

ნ-ი: ჰარისი (25), ლი (19), იანლიანი (11+8 მოხსნა).

### მინესოტა-გ. სტეიტი 107:116

28:31, 29:37, 21:31, 29:17

მ: ფლინი (19+8 პასი), გომესი (19), ლავი (17+18 მოხსნა), ბრიუერი (17), მილიჩიჩი (16+7 მოხსნა).

გ-ს: ტოლივერი (34+8 მოხსნა), კარი (27+14 პასი+8 მოხსნა), ჰანტერი (14), უილიამსი (12+5 მოხსნა), მოროუ (11+7 მოხსნა).

### ნიუ ორლეანი-შარლოტი 103:104

21:32, 17:28, 40:19, 25:25

ნ-ო: ტორნტონი (36), კოლისონი (24+9 პასი), უესტი (13+8 მოხსნა).

შ: ჯექსონი (29+5 პასი), ჩენდლერი (16+10 მოხსნა), ავგუსტინი (14), ფელტონი (12+7 პასი), დიაო (10+6 პასი).

### ოკლაჰომა-დენვერი 94:98

33:30, 19:21, 28:22, 14:25

ო: დურანტი (33+14 მოხსნა), უესტბრუკი (21), კოლისონი (12+9 მოხსნა), გრინი (11+10 მოხსნა+5 პასი).

დ: ბილაპსი (31+8 მოხსნა), ენტონი (24+11 მოხსნა), აფლალო (17), სმიტი (10).

### ორლანდო-ვაშინგტონი 121:94

24:25, 26:19, 34:21, 37:29

ო: ჰოვარდი (17+10 მოხსნა), რედიკი (16), პიეტრუსი (16), ბარნსი (11), ანდერსონი (11), ლუისი (10), კარტერი (10).

ვ: იანგი (21), მილერი (16+9 მოხსნა+5 პასი), ბლეტჩი (13), მაკგი (10).

### დალასი-მემფისი 110:84

33:20, 24:25, 21:21, 32:18

დ: ბატლერი (23), ნოვიცკი (22+9 მოხსნა), ტერი (16+5 პასი), ბარეა (14+6 პასი), კიდი (12+10 პასი), ჰეივუდი (11+7 მოხსნა).

მ: გეი (23), რენდოლფი (17+13 მოხსნა), კონლი (17+7 პასი), მაიო (11).

### ჰიუსტონი-იუტა 113:96

33:22, 27:24, 36:31, 17:19

ჰ: ბრუქსი (28+5 პასი), მარტინი (28), სკოლა (24).

ი: ბუზერი (18+11 მოხსნა), მილსეპი (13+11 მოხსნა), უილიამსი (12+7 პასი), მაილზი (12).

### კლიპერსი-პორტლენდი 85:93

18:27, 28:23, 14:27, 25:16

კ: კამანი (14+8 მოხსნა), ბლეიკი (14+6 პასი), ბატლერი (14), დევისი (11+8 პასი), გუდენი (10).

პ: ოლდრიჯი (27+12 მოხსნა+5 პასი), როი (23+6 პასი), მილერი (13), ბატუმი (11), ჰოვარდი (10).

### ფინიქსი-სან ანტონიო 112:101

29:29, 32:23, 27:28, 24:21

ფ: სტაუდმაიერი (29+8 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ნეში (18+12 პასი), ჰილი (17+8 მოხსნა), ფრაი (12).

ს-ა: მეისონი (18), ჯეფერსონი (17), დანკანი (14+7 მოხსნა), ტემპლი (11), პარკერი (10+5 პასი), ჯინობილი (10).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ბაროუ-კიდერმინსტერი | 1:0 |
| **დანიის თასი** | |
| კიოგე-ოდენსე | 1:3 |
| ვეილე-სონდერიისკი | 2:1 |
| ჰობრო-მიდტიულანდი | 1:2 |
| სილკებორგი-ნორდსილ. | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| პრშიბრამი-პლზენი | 1:1 |
| იაბლონეცი-ტეპლიცე | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| რაპიდი-ჩახლაული | 1:1 |
| პოლიტეხნიკა-კლუჟი | 0:2 |
| პანდური-დინამო (ბ) | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| ველესი-ესტუდიანტესი | 0:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ს. იულაევი-აკ ბარსი | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| ჰვ71-აიკ | 4:1 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 5:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| ვავრინკა-კლიჟანი | 6:4, 0:6, 6:4 |
| ნიემინენი-ჰანესკუ | 6:2, 3:6, 2:6 |
| ჰაიეკი-ელ-ამრანი | 3:6, 6:2, 2:6 |
| გასკე-გოლუბევი | 6:1, 6:1 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| სებალიოსი-სელა | 6:3, 6:2 |
| ოდესნიკი-კუკუშკინი | 6:1, 7:5 |
| ჰიუიტი-დევარმანი | 1:6, 6:0, 7:6 |
| კუერი-კავჩიჩი | 6:2, 6:1 |
| **WTA. მარბელია** | |
| კირსტეა-ჰალეპი | 4:6, 6:7 |
| ერანი-მედინა გარიგესი | 6:1, 7:6 |
| კლაისტერსი-გ. ვიდაგანი | 5:7, 6:4, 4:6 |
| სუარეს ნავარო-ჰერცოგი | 6:4, 7:6 |
| პენეტა-პოუს ტიო | 6:2, 6:2 |
| აზრენკა-კაბესა | 6:2, 6:4 |
| **WTA. პონტე ვედრა** | |
| გოვორცოვა-ტატიშვილი | 6:2, 6:2 |
| ვესნინა-გორჯესი | 6:3, 6:2 |
| კერბერი-ლეპჩენკო | 1:6, 1:6 |

TV პროგრამა

**9 აპრილი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
08:20 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბენფიკა.
10:05 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
10:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ატლეტიკო-ვალენსია.
12:35 პოკერი.
13:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სტანდარდი-ჰამბურგი.
15:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ბარსელონა.
17:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვოლფსბურგი-ფულჰემი.
20:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:05 100% დინამო.
21:35 სპორტკლუბი.
22:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
23:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
00:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-ინტერი.
01:45 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
02:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი.
04:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
06:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბორდო-ლიონი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 100% დინამო.
08:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
09:55 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
12:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ვესტ ჰემი.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
15:20 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ატლეტიკო-ვალენსია.
17:05 პოკერი.
17:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული.
19:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სტანდარდი-ჰამბურგი.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
23:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
23:35 100% დინამო.
23:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბენფიკა.
01:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
03:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ვესტ ჰემი.
04:55 პოკერი.
05:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული.

სხვადასხვა

კალათბურთი

### ობრადოირო მარბერის უმიზნებს

ესპანეთის ჩემპიონატში „ბილბაოსთან" გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, „ობრადოიროს" სამწვრთნელო შტაბმა ფორვარდ **ჯერემაია მესის** სათადარიგოთა სკამზე დასმა გადაწყვიტა. მაკედონიური პასპორტის მქონე ამერიკელი ვერ ამართლებს მწვრთნელთა ნდობას.

ამავდროულად, ესპანურ პრესაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ „ობრადოირო" კონტრაქტის გაფორმებას აპირებს „ნიუ იორკ ნიქსის" ყოფილ მცველთან - **სტეფონ მარბერისთან**. ეს უკანასკნელი წელს ჩინეთის ლიგაში თამაშობდა, მაგრამ ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, რადგან კონტრაქტი დაუმთავრდა ადგილობრივ კლუბ „შანსისთან".

### ხუვენტუდმა კონგოელი გიგანტი დაიმატა

ესპანეთის ჩემპიონატის კიდევ ერთმა მონაწილემ „ხუვენტუდმა" 15 წლის კონგოელი გიგანტი **ბენვენუ ლეტუნი** (224 სმ, 136 კგ) გაიფორმა. აფრიკელმა კალათბურთელმა ექიმებისგან კარიერის გაგრძელების ნებართვა რამდენიმე დღის წინ მიიღო. საქმე ისაა, რომ ლეტუნის ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა „გიგანტიზმის სინდრომის" სამკურნალოდ და სპორტში მისი მომავალი მოღვაწეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

*„გვინდა ბენვენუმ გააუმჯობესოს სათამაშო თვისებები, ამიტომაც თავიდან იუნიორთა გუნდში გავამწესებთ*, - ამბობს „ხუვენტუდის" ერთ-ერთი შეფი **პედრო მარტი**. - *ჩვენი გეგმის მიხედვით, სამი წლის შემდეგ ლეტუნი ჩვენს პირველ გუნდს შეუერთდება, ოთხი წლის შემდეგ კი სასტარტო ხუთეულში დაიკავებს ადგილს".*

ოლიმპიზმი

### ყველაზე სუფთა ოლიმპიადა

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორები სპორტის მოყვარულებს ყველაზე „სუფთა" თამაშების ჩატარებას ჰპირდებიან. მათი განცხადებით, 2012 წელს სპორტსმენებისგან სარეკორდო რაოდენობის დოპინგსინჯებს აიღებენ, კერძოდ, ანალიზების რაოდენობა 5000-ს მიაღწევს. საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის ანტისადოპინგო სააგენტოსთან, ტესტირება კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდება.

*„ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ ასეთი მკაცრი ზომები. ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ლონდონის თამაშებზე დოპინგსკანდალები არ იქნება"*, - ამბობს 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის სპორტული დირექტორი **დები ჯევონსი**.

ბრიტანეთის ეროვნული ანტისადოპინგო კომიტეტი ოლიმპიადისთვის საჭირო რაოდენობის სპეციალისტებს მოამზადებს, გარდა ამისა, 10 პროცენტით მეტ სამუშაოს ჩაატარებს, ვიდრე ეს 2008 წელს პეკინში იყო. ამჟამად რეკორდი სწორედ ჩინეთის ამ ქალაქს ეკუთვნის - იქ 4500 დოპინგსინჯი იქნა აღებული საიდანაც ოცმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ნავრატილოვა ავადაა

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** მძიმედ არის ავად. ამ დღეებში „დიდი სლემის" ტურნირების 18-გზის ჩემპიონმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, რის შემდეგაც ვეტერან მოთამაშეს მკერდის კიბო დაუდგინეს. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი" ავრცელებს.

„მეგონა, რომ ვაკონტროლებდი საკუთარ ცხოვრებასა და სხეულს, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, რადგან ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დამისვეს. არ დავმალავ, რომ ამ ამბავმა წყობიდან გამომიყვანა", - განაცხადა ნავრატილოვამ.

მაისში ამერიკელი ჩოგბურთელი სხივური თერაპიის კურსს დაიწყებს, რომელიც ექვს კვირას გაგრძელდება. ექიმები თვლიან, რომ მარტინას გამოჯანმრთელების კარგი შანსი აქვს. როგორც სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქირურგი ამბობს, ამერიკაში ყოველწლიურად დაახლოებით 70 ათასი ქალი მიმართავს ექიმებს მსგავსი პრობლემით და კიბოს ამ სახეობით სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთ პროცენტს არ აღემატება.



# ფედერერებმა ელინი ანუგეშეს

შვეიცარიულმა გაზეთმა Blick-მა საინტერესო ფოტოები დაბეჭდა, რომელზეც მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** და მისი მეუღლე - **მირკა ვავრინეცი** არიან გამოსახული. საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე ცნობილი წყვილი ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტის **ტაიგერ ვუდსის** მეუღლესთან - ფოტომოდელ **ელინ ნორდგრენთან** ერთად სადილობს.

ფოტოები ფედერერის მაიამიში ყოფნის დროს არის გადაღებული. გასულ კვირას, როჯერმა აქ მასტერსი ითამაშა და ადრეული ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას. სადილი ნორდგრენთან ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აუზთან შედგა.

ცნობილია, რომ ელინსა და ტაიგერს რთული ურთიერთობა აქვთ, რომელიც, შესაძლოა, გაყრით დასრულდეს. როგორც ჩანს, ფედერერებმა ვუდსის მეუღლის მხარდაჭერა გადაწყვიტეს, მის უმცროს ვაჟს კი როჯერმა და მირკამ ჩოგანი აჩუქეს.




კრივი

# მენის სავარაუდო მეტოქეები



ნევადის შტატის ათლეტთა კომისიის დირექტორმა **კიტ კიზერმა** განაცხადა, რომ ამერიკელმა მოკრივეებმა - **ფლოიდ მეივეზერმა** და **შეინ მოსლიმ** უკვე გაიარეს პირველი დოპინგტესტი, რომელიც ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ იყო ორგანიზებული.

კიზერის სიტყვებით, შემოწმება დაუგეგმავი იყო და 1 მაისს დანიშნულ ბრძოლამდე მოკრივეებს კიდევ ორჯერ მოუწევთ დოპინგტესტის ჩატარება. შეგახსენებთ, რომ მეივეზერმა დეკემბერში ერთხელ უკვე ჩააბარა სისხლი და მაშინ მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი ვერ აღმოაჩინეს.

მსგავსი პროცედურა მოკრივეებს შორის ბრძოლაზე გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი პირობაა. ათლეტთა კომისიას ჯერ არ მიუღია აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოსგან პასუხი, თუმცა კიზერი ამბობს, ტესტების შედეგები მალე გახდება ცნობილი.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, თავის დროზე მეივეზერისა და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** ბრძოლა სწორედ დოპინგის საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა. გუშინ მენის პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ ფლოიდთან ჩხუბი კვლავაც პრიორიტეტულია აზიელი მოკრივის გუნდისთვის, ოღონდ ამერიკელმა უარი უნდა თქვას დაუგეგმავ დოპინგსინჯებზე.

არუმის ცნობით, თუ პაკიაოსთვის ღირსეული მეტოქე მოიძებნა, ფილიპინელი სექტემბერში გამართავს მორიგ ბრძოლას. ადრე იტყობინებოდნენ, რომ განელ **ჯოშუა კლოტისთან** გამარჯვების შემდეგ, მენი ნოემბრამდე არ აპირებდა რინგზე გასვლას. ცნობილმა პრომოუტერმა პაკიაოს სავარაუდო მეტოქეებიც დაასახელა - **ხუან მანუელ მარკესი** და **ანტონიო მარგარიტო**. არუმმა არ გამორიცხა მენის შეხვედრა **კოტო-ფორმანის** ბრძოლაში გამარჯვებულთან.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




